

აგრონიუს.გი

მიხედვები მინას; მინა დაგვამურებთ და გავათმობთ თქვენ!

+ 7 999 123 4567

Agró News

# მერიანი სამრეცხლო

ISSN 1987-8729  
  
97719871872003

სამეცნიერო-საინირო ჟურნალი

№3 (71), მარტი, 2017



**AgroVitae**  
აგროვიტა

ჰუმინურ-ორგანული სასუნე



სასუქი „აგროვიტა“ არის უნივერსალური, ფართო მოქმედების მქონე პრეპარატი. იწარმოება ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი ჰუმინტებისაგან, დაპატენტებული ტექნოლოგიის მიხედვით. დანიშნულება: ჰუმინურ-ორგანული სასუქი „აგროვიტა“ გამოიყენება ყველა სახსის მცენარის გამოკვებისათვის, ნებისმიერი ნიადაგურ-კლიმატური რეგიონისათვის, მცენარის განვითარების ყველა ფაზაში – თესლის დამუშავებიდან ვეგეტაციის ბოლომდე და ნიადაგის განაყოფიერებისათვის. წარმატებით გამოიყენება „ორგაანულ“ მინათმოქმედებაში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში. ახასიათებს ზრდის სტიმულაციის ეფექტი და ფუნგიციდური თვისებები.

თბილისი, წერეთლის გამზ. 142, მე-2 სართ., ოთ. №15  
ტელ/ფაქსი: 2 341 678; მობ.: 597 170 709, 597 170 703, 597 170 706, 599 205 969  
ელ. ფოსტა: agrovitae@gmail.com

# შეხვედი გარისათხულს მომზადებული



დავიცვათ  
ჩვენი ცხოველები  
ვარაზიტებისგან



## ელემტ კოლექტიურ პრეპარატებს



საქართველოში "ინტერჯიმის"  
ოფიციალური წარმომადგენელია  
კომპანია შპს "ინვეტი"

(+995 32) 225 19 66

[www.invet.ge](http://www.invet.ge)



## კომპინირებული საკვების საწარმო

## საუკეთესოა ზრდისთვის



მცხეთა



(+995 32) 225 19 66



[www.invet.ge](http://www.invet.ge)



[info@invent.ge](mailto:info@invent.ge)





**ახალი აგრარული  
საქართველო**  
**AKHALI AGRARULI SAQARTVELO**  
(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატივო ჟურნალი.  
Monthly scientific-informative magazine  
მარტი, 2017 წელი.  
№3 (71)

**სარედაქციო კრება:**  
შოთა მაჭარაშვილი (მო. რედაქტორი),  
ნუსარ ებანიძე რექტორი ჯანიძე, მიხეილ  
სოხმაქ, თამარ სანიკოძე, რუსულან  
გიგაშვილი (ქონს ულტრანტივი), თეონა ნოშაძე,  
ნოდარ ბრევეგაძე, გერაშვილი, გიორგი  
ბარისაშვილი (მეცნიერება-მეცნიერების  
რედაქტორის რედაქტორი), თამათ გუგუშვილი  
(ინგლ. კრის. რედაქტორი).

editor of English version Tamta Gugushvili

**სამეცნიერო საბჭო:**  
აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევოზ მახარიძელიძე (თეოდასიანი),  
გურამ ალექსიძე ზაურ ფუტკარაძე,  
ნოდარ ჩხატერიშვილი, ნუსარ ებანიძე,  
პატარა კოლუმბიანი, ელგუჯა შეფაიძე,  
შოთა ჭალაგანიძე, ზვად ბრევეგაძე,  
ელიშვილი, გეგულაძე, გორგოლა  
მარგვალშვილი, ანა გვილაძე, ლევან  
უჯაძევიძე, ზაურ ჯველუხიძე ზურაბ  
ჯინჯხაძე, ქრისტიონ კანიაშვილი, ალონ  
ტელეშვილი, ნატემ ეკამაძე, კუკურ  
ო მერი, კაბ ლომხა, ჯამალ კაცატაძე,  
ნიკოლოზ ზაბაშვილი, მიხეილ ჭიჭავა, დავით  
ბოსტშვილი, ნუსარ სარჯევლაძე, თემ  
გიმ გურაშვილი, ანატოლი გიორგაძე, ლევან  
თორილაძე, ზურაბ ლორდაძე, კობა კობალაძე.

**გამოცემელი:**

„აგრარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).  
საქართველოს რეგიონული კუნიტოვური  
პრიორიტეტების კლეინი ცენტრი „რეგიონი“;  
Regionica — Georgian Research Center for Regional  
Economic Priorities.

**რედაქტორის მისამართი:**

თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53  
ტელ/tel: +995 (032) 2 90-50-00  
599 16-18-31

Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53

[www.agronews.ge](http://www.agronews.ge)

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
„ივერიული“  
(იორული ბაზობრენტები)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
ახალი აგრარული საქართველო

დააკაბაღნა გორგა მაისურაძემ  
უკრნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with the  
principles of free press.  
© საავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.

რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბჭდა შპს „გამოცემლობა გრიფონში“

**WORLD TECHNIC**  
მსოფლი განვითარების  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge)

## ცოდნული წაიკითხვები:



**4**

**კუმუნურ-ორგანიზაციის სასურველი  
გამოყენების არსებობის  
პირარიტუელის წარმოების  
თანხმულობის ტემოდერიზაციის**

სასუქი გამოიყენება წყალში გახ-  
სნილი სახით როგორც დამოუკი-  
დებლად, ასევე მცენარეთა დაცვის  
საშუალებებთან და სხვა სასუქებთან  
ნარევის სახით.



**16**

**რაილი ხორბლის ეპითული ჯიშები -  
მოსავლის წარმოების და გავრცელების  
შესაძლებლობები**

ქართული ეკოლოგიის ხორბლის  
ფორმებისათვის მნიშვნელოვანი  
თვისისებებია: 1. მარცვალში ცილის და  
შეუცვლელი ამინომჟავების გადიდე-  
ბული შედგენილობა.



**26**

**უკალური კულტურების თავსა-მოსახლის  
ჩამოხვეულებები ჯგუფები ზოგიერთისა და  
თავისი ვალების გათვალისწინებით**

შუალედური კულტურების გამო-  
ყენება გამართლებულია ეკონომი-  
კური თვალსაზრისითაც. მათი თეს-  
ვა-მოყვანა საშუალებას იძლევა რა-  
ციონისალურად გამოიყენოთ სახნავი  
მინა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.



**41**

**გამოყენებები რაზოვანი  
მოსახლის განვითარებისთვის**

მდინარის მიერ ჩამოტანილი ორგა-  
ნული და მინერალური ნივთიერებები  
გამოიყენება თევზის ბუნებრივი საკ-  
ვების წარმოსაქმნელად.

**4** „ორგანიზაციი [ილ.] მიწათმოქმედების  
განვითარების არსებობის საქართველოში  
საკართველოში“

დროა და ყოველისმომვალი  
თავისუფალი სავაჭრო სივრცის  
ზოგიერთი ზოგიერთი [DCFTA] და  
პიროვნების რეგულირება  
ევროპის და საქართველოში

**8** როგორი სოფლის გაურცეობა და  
მიმღებ მოსახლეობის სარტიფიცირება  
საქართველოში

**9** პიროვნების განვითარება

სახელმიწოდებელი სოფლის განვითარების  
პიროვნების განვითარების სამსახური და  
მიმღებ მოსახლეობის სარტიფიცირება  
ევროპის განვითარებაში

**12** როგორი სოფლის გაურცეობის  
განვითარების მიღების მიზანი და  
მიმღები პიროვნები

ეროვნული ეროვნული ცენტრის  
გამოყენება გავანების [SCIARID]  
მიმღებ საქართველოს სასამართლო  
სოცეს სარტიფიცირება

**14** ეროვნული ეროვნული ცენტრის  
განვითარები

**18** მიმღებ საექსპო საქართველოს  
ეროვნული მიმღები

**23** საქართველოში დარაიონებული ეროვნის  
ჯიშების დახასიათება

**24** 2016 წლის ქალაგარები განვითარების  
საგრიგონიულ ზონები

**29** საქართველოს აგრარულ სამსახური  
არსებული აროგანული სამგებელის მოგებების  
ზოგიერთი ასაერთო

**31** აზრაულის მიმღები კულტურების  
სამსახურის აგრარულ სამსახური  
არსებული აროგანული სამგებელის  
მოგებების ზოგიერთი ასაერთო

**33** სოფლის აროგანული კულტურების  
განვითარების მიზანი და კავშირი

**35** ქორების ფაზები მიმღები და  
ეროვნული მიმღები

**37** აროგანული კულტურების მიზანი  
XXI საუკანი

**38** გაეთ ქითხვა ვარეგისართან?

**39** გაეთ ქითხვა აგრონომთან?

**40** გალა გალა ვალი

**40** ვარ კაკავილი

**43** ვაუზალი სანაქოს მინი-  
მედიუმები დაზიანება  
მიმღებების წარმოსაქმნელად



## „ორგანული (ბიო) მიწათმოქმედების განვითარების პრიორიტეტის საქართველოში“

სამინისტროს ორგანიზა-  
ორი: კომანდის „აგ-  
როვიტა პროდაქშენ“,  
საქართველოს აგრა-  
რული უნივერსიტეტი.  
სამინისტროს მუშაობაში  
მონაცილეობა მოგანულ  
მიწათმოქმედებაში ცენ-  
ტრი საეციალისტები  
იმაჟინიდან, გერმანი-  
დან და საქართველოდან.  
შერცებული იხილავთ  
სამინისტროს თავისულ  
მოხსენებას.



## ჰუმიცირ-ორგანული სასუების გამოყენების პრიორიტეტის ბიოკომფიცის წარმოების თანამედროვე ტექნილოგიები

პრობლემის აქტუალობა. მინერა-  
ლური სასუების ალტერნატიული  
ორგანული სასუების დანერგვა  
აგროეკოლოგიის პრობლემების მოგ-  
ვარების ერთ-ერთი მიმართულებაა. სოფლის მეურნეობაში მინერალური  
სასუების საყოველთაო გამოყენება  
მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან  
იწყება. გასული საუკუნის 60-იანი  
წლების დასაწყისში მთელ მსოფლი-  
ოს მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეო-  
ბაში ყველა პრობლემის გადაწყვეტა  
მინერალური სასუებით იქნებოდა  
შესაძლებელი. „ქიმიური ეიფორია“  
ჯანსაღი მიდგომით მხოლოდ 90-იან  
წლებში შეიცვალა – ქიმიზაცია არაა

პანაცეა და რომ მინერალური სა-  
სუების საყოველთაო გამოყენებას  
მრავალი ნეგატიური მხარე გააჩნია  
[1,2]. ორგანულ სასუებებს – ნაკელს,  
ტორფს, საპროპელს და სხვას მინათ-  
მოქმედებაში უხსოვარი დროიდან  
იყენებენ. გასული საუკუნის ბოლოს  
მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებ-  
ში ტარდება პირველი მეცნიერიული  
გამოკვლევები, რომლებითაც დას-  
ტურდება, რომ ბუნებრივი ჰუმინურ-  
ორგანული სასუების წარმოება და  
გამოყენება ყველაზე უფრო პერს-  
პეტურიული მიმართულებაა. ის ე.წ.  
„მომავლის ტექნოლოგიებად განიხი-  
ლება“ [3-5].

1981 წელს გადაწყდა შექმნილიყო  
ჰუმინური ნაერთების კვლევის სა-  
ერთაშორისო ორგანიზაცია (IHSS).  
ამავე პერიოდიდან დაიწყო ევროპის  
მოწინავე ქვეყნებში და აშშ-ში ჰუ-  
მინური სასუების ტექნოლოგიების  
შემუშავების აქტიური ხანა [5,6].  
უკანასკნელ პერიოდში ორგანულ  
მინათმოქმედებაში ჰუმინური ტიპის  
სასუების გამოყენება განსაკუთ-  
რებით იზრდება. საქმე ის არის, რომ  
ბუნებრივი ჰუმატები მაღალმოლე-  
კულურ ნაერთთა კომპლექსური  
ნაკრებია, რომლებიც უნიკალური  
სტრუქტურული აგებულების და  
ფიზიკო-ქიმიური თვისებების გამო

მაღალი ბიოლოგიური აქტივობით  
ხასიათდება. მცენარეულ უჯრედში  
ჰუმინური ნაერთების მოქმედების  
მექანიზმი განპირობებულია სტი-  
მულაციის ეფექტით ნივთიერე-  
ბათა ცვლის მრავალ პროცესზე.  
დადგენილია, რომ ჰუმატები აუმ-  
ჯობესებენ უჯრედის მემბრანულ  
განვლადობას, ზრდიან ფერმენტთა  
აქტივობას და ფოტოსინთეზის პრო-  
ცესურულობას. ამასთან ერთად  
ააქტიურებს სუნთქვით პროცესებს,  
ცილების, შაქრების, ვიტამინების და  
სხვა კვებითი ლირებულების ნაერთ-  
თა სინთეზს. ჰუმატები მნიშვნელოვ-  
ნად აუმჯობესებენ ნიადაგის ფიზი-  
კო-ქიმიურ მახასიათებლებს. ასევე  
მნიშვნელოვანია ჰუმატების მოქმე-  
დებით ნიადაგის მიკროფლორის გა-  
აქტიურება, რაც თავის მხრივ ხელს  
უწყობს ნიადაგის რეკულტივაციას  
და ჰუმურის წარმოქმნას. უაღრესად  
მნიშვნელოვანია, რომ ჰუმინურ-ორ-  
განული სასუქები ეკოლოგიურად  
უსაფრთხოა და წარმატებით გამო-  
იყენება ორგანულ მინათმოქმედე-  
ბაში.

ରେତିଜୁମ୍ବେ । ନାରମୋଦ୍ଗର୍ଭନିଲୀ ନାଶରମି  
ହେବା ଆଶାଲୀ ତିପିଳି ତଥେବାଧି କ୍ଷୁମି-  
ନ୍ୟାର-ନରଗାନ୍ୟାଲୀ ସାଶ୍ୱଜିଲୀ ନାରମୋଦ୍ଗର୍ଭନି  
ତ୍ରୈକ୍ଷନ୍ଦୋଲନ୍ଗିଲୀ ଆଦ୍ଗିଲ୍ଲନ୍ଦୋରିଗ୍ରୀ କ୍ଷୁ-  
ନ୍ୟାଦୀରିଗ୍ରୀ କ୍ଷୁମାତ୍ରେବିଲୀ (ତ୍ରୁନ୍ଦରିଜୀ, ଲ୍ଲେମ-  
ନାରଦିତ୍ରୀ) ଦାଢାଚାଠୀ । ଫିନ୍ଦୋବିଲୀଏ, ରନ୍ଧମ  
ଦୁନ୍ଦେବରିଗ୍ରୀ କ୍ଷୁମାତ୍ରେବି ତାତ୍ଵିନାନ୍ତ ଶ୍ରେ-  
ମାଦ୍ଗର୍ଭନ୍ଦୋବାଶି ଶ୍ରେଷ୍ଠାବେନ ମତ୍ରେନାରିଲୀ  
ଥରଦା-ଗାନ୍ଧିତାର୍ଥେବିଲୀଏତାତ୍ତ୍ଵିଲୀ ସାକ୍ଷିରିନ  
ମରାଵାଲ୍ କ୍ରମିକନ୍ଦେନ୍ଦ୍ରିକ୍ଷୁ । ପରିବଲ୍ଲେମିଲୀ  
ଗାନ୍ଧାର୍ଯ୍ୟବ୍ରତୀ ମଦ୍ଗର୍ଭମାର୍କୋବ୍ସ ମିଥିଶି,  
ରନ୍ଧମ ଦୁନ୍ଦେବରିଗ୍ରୀ କ୍ଷୁମାତ୍ରେବି ବ୍ୟାଲ୍ଶି  
ୟୁକ୍ତିନାଦ ମାଲାଲମ୍ବଲ୍ଲେକ୍ଷୁଲ୍ଲୁଜ୍ଞ ନାର୍ତ୍ତ-  
ତା କ୍ରମିକଲ୍ଲେଖିଲୀ ଏବଂ ତ୍ରୈକ୍ଷନ୍ଦୋଲନ୍ଗିଲ୍ଲୁରି  
ଗାନ୍ଧାମୁଖୀବ୍ୟେବିଲୀ ଗାର୍ଜେଶ୍ବି ମତ୍ରେନାର୍ଥୀ-  
ଲୀ ଉଜ୍ଜର୍ବେଦିଲୀ ମିର୍ଜନ ପରାକ୍ରିଯାକୁଲାଦ  
ବେର ଶ୍ରେଷ୍ଠିତାବ୍ୟେବିଲୀଏ । ଶ୍ରେଷ୍ଠାମିଲୀଏ,  
ସାକ୍ଷିରିନା କ୍ଷୁମାତ୍ରେବିଲୀ ଶ୍ରେଷ୍ଠମତ୍ତ୍ଵରେଲୀ ନେଇ-  
ଲ୍ଲେଶୁଲିଡାନ ମତ୍ରେନାରିଲୀଏତାତ୍ତ୍ଵିଲୀ ସାକ୍ଷିରିନ  
ନୀତିତୀର୍ଣ୍ଣବ୍ୟେବିଲୀଏ (କ୍ଷୁମିନିଲୀ ଏବଂ ଜୟନ୍ତିର

მუავები, პეტწიდები, ამინომუავები, ნახშირნები, მიკრო და მაკრო ელემენტები) სსნად მდგომარეობაში გადაყანა და დისპერსიის ისეთი ხარისხის მიღწევა, რომ უჯრედში ადვილად შესათვისებელ ფორმებამდე იყვნენ დიფერენცირებული. ჩვენს მიერ დამუშავებულია ინოვაციური ტექნოლოგია და დაპატენტებულია „ჰუმინურ-ორგანული სასუქის მიღების ხერხი ადგილობრივი ტორფის ბაზაზე“ (პატენტი №3977, 29.11.2005 წ., სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენი, 13(209), თბილისი, 2006წ.). წარმოდგენილ ტექნოლოგიაში ბუნებრივი ჰუმატების ტუტე ჰიდროლიზის და დისპერსიის პროცესში გამოყენებულია ჰიდროსისტემის ულტრაბგერითი რეაქტორი (კავიტაციონი).

აღნიშვნული ტექნოლოგიით მიღწეულია ტორფის შემადგენლობაში არსებული ბუნებრივი მაღალმოლეკულური ჰაუმატების და სხვა მნიშვნელოვანი ნაერთების სრული ექსტრაქცია და დისპერსიის მაღალი ხარისხი. უკანასკნელი თავის მხრივ უზრუნველყოფს ჰაუმინური ნაერთების წყალში ხსნადობას, მათი ბიოლოგიური აქტივობის სრული პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობას და მცენარეული უჯრედის ზრდის სტიმულაციის ეფექტს. პროდუქციის საცდელმა ნიმუშებმა გაიარა ლაბორატორიული და სანარმოო გამოცდები სოფლის მეურნეობის წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში და ფერმერულ მეურნეობებში. იგი დარეგისტრირებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოში, როგორც „ჰაუმინურ-ორგანული სასუქი“ საფირმო სახელწოდებით „აგროვიტა“ (სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობა №56, 10.08.2010წ., ხელახალი რეგისტრაცია №56/15,

04.09.2015წ.). სასუქს მინიჭებული  
აქვს „ბიონარმოების სტანდარტან  
შესაბამისობის სერტიფიკატი” – №  
CC-D-128-01.

კვლევის ობიექტი და მეთოდები.

კვლევის ობიექტად აღებული გვერნ-  
და მარცვლოვანი კულტურები, ბოს-  
ტნეული, ბოლქვოვანი მცენარეები,  
მწვანილი, მრავალწლიანი თეალოვა-  
ნი და კურკოვანი კულტურები, ყვა-  
ვილოვანი და დეკორატიული მცენა-  
რეები. კვლევა ტარდებოდა როგორც  
ლია გრუნტში, ასევე სათბურში.  
ხორციელდებოდა ფესვური და ფოთ-  
ლოვანი კვება. საკვლევ ნიმუშებში  
„აგროვიტას“ სხვადასხვა კონცენ-  
ტრაციების ეფექტი საკონტროლო  
ნიმუშებთან შედარებით ცნობილი  
მეთოდების გამოყენებით დგინდე-  
ბოდა [8,9].

მიღებული შედეგები და მათი გან-  
ხილვა. კვლევის ძირითად მიზანს  
წარმოადგენდა სხვადასხვა ჯიშის  
და სახეობის მცენარეთა გამოკვები-  
სათვის ჰუმინურ-ორგანულ სასუქ  
„აგროვიტას“ ოპტიმალური კონცენ-  
ტრაციების და გადების დადგენა.  
ჩატარებული კვლევების შედეგად  
შემუშავებულია „აგროვიტას“ გამო-  
ყენების ინსტრუქცია და რეკომენდა-  
ციები მოხმარების შესახებ.

რეკომენდაციები მოხმარების შე-  
სახებ. სასუქი გამოიყენება წყალში  
გახსნილი სახით როგორც დამოუკი-  
დებლად, ასევე მცენარეთა დაცვის  
საშუალებებთან და სხვა სასუქებ-  
თან ნარევის სახით. თანაფარდობის  
შერჩევა „სასუქი – წყალი“ ხდება  
თანდართული ინსტრუქციის მიხედ-  
ვით:

1. ფესვიდან კვება – „აგროონტას“ 0,5 – 1,0 % წყალსნარი; 2. ფოთლოვანი კვება – 0,5 % წყალსნარი; 3. ნიადაგის განოყიერება – 4-5 ლ/ჰა-ზე; 4. ჩითილების, ნერგების, სათესლე ბოლოვების ჩატესაგმა.





### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Христева Л.А. Физиологическая функция гуминовой кислоты в процессах обмена высших растений. В сб.: «Гуминовые удобрения, теория и практика их применения». Харьков, 1957, с.95-103;
2. Дурмишидзе С.В., Кахниашвили Х.А. и др. Биотрансформация ксенобиотиков в растениях. Тб. 1989, 288 с.;
3. Перминова И.В. Что такое гуминовые вещества? «Химия и жизнь» 2008, №1, с.57;
4. Наумова Г.В. Торф и биотехнологии. Минск: Наука и техника. 1987, 158с.;
5. Петраков А.Д. Радченко С.М. и др. Способ

დე – 1,0% ნეალხსნარი; 5. სათესლე მასალის დალბობა – 1,0% ნეალხსნარი.

მცენარეთა ფესვური და ფოთლოვანი გამოკვებისათვის რეკომენდებულია ვეგეტაციის განმავლობაში 3-4-ჯერადი გამოყენება 10-12 დღის ინტერვალით.

### ძირითადი პასუხისმგებელი,

ბიოლოგიის მეცნიერებათა

დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიური, მიერთები, შპს „აგროვიტა პროდაქშენის“ წარმოების მენეჯერი, თბილისი, საქართველო

### კახაპარ ხაცივისამი,

შპს „აგროვიტას“ დამფუძნებელი,

ს/მ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

получения органоминеральных удобрений и технологическая линия для его получения. Ратент РФ №2296731, Б.И. 2007, №10;

6. ქ.კახნიაშვილი, ქ.ბეჟანიშვილი და სხვ. „ორგანულ-მინერალური სასუქის მიღების ხერხი“. საქართველოს პატენტი №009083, 2006/ 13(209);

7. ქ.კახნიაშვილი, ქ.ხუციშვილი „ორგანულ-მინერალური სასუქის მიღების ხერხი“ სასარგებლო მოდელი. საქართველოს პატენტი U1849, 2013/09/18;

8. Методические указания по анализу торфа. Л.:ВНИИТП,1973. 87с.;

9. ОрловД.С., Гришина Л.А. Практикум по биохимии гумуса. МГУ, 1969. 288с.



## ლრმა და ურვლისმომავალი თავისუფალი სავაჭრო სივრცის გასახელ უთანხებება [DCFTA] და პირზე რეოგნის რეგულირება ეკოლოგიური და საერთოებრივი

„ვიმეორებოთ, ხელისუფლება ამ საკითხს მეტ ზურადლებას მიაქცივს და გაატარებს შევძით ღონისძიებებს, რათა სოფლის მიურნეობა ნატურალური პროდუქტების წარმოების გზით განვითარდება, რაც ზემოქმედ იქცეს, რადგან მსოფლიოში ეკოლოგიური და უფლებული სუვთა პროდუქტების მომსახურება სულ უფრო და უფრო იზრდება. თუ ეს განხორციელდა, იგი დიდ სიღმულს მისცემს როგორც სოფლის მეურნეობის ნიერებას, ასევე ამ სფეროში გადამაუყავებელი გიზხესის განვითარებას და საერთო შორისო გაზარებების პარტნიორთან ერთობლივ დაგენერირდება.“

ამონარიზი სრულიად საერთოებრივ კათოლიკოს-აათრისა-რის,  
უცმინდესი და უნეტარესი ილია II  
2008 წლის სააღმდეგო ეპისტოლება

2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელ-  
ში ხელი მოეწერა ევროკავშირთან  
ასოცირების ხელშეკრულებას, რომ-  
ლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია  
ევროკავშირთან ლრმა და ყოვლის-

მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA) შეთან-  
ხება (კარი IV). DCFTA მოიცავს  
ევროკავშირთან ეკონომიკური ინ-  
ტეგრაციის მექანიზმებს და ვაჭრო-

ბასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრის.

ხელშეკრულება საქართველოში წარმოებულ სურსათს ევროკავ-  
შირის ბაზარზე შესვლის საშუა-  
ლებას აძლევს, თუმცა, იმის გამო,  
რომ დღეისათვის ევროკავშირის კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვ-  
ნად აყალიბებს მოთხოვნებს, რაც  
მომავალმა პარტნიორმა ქვეყნებმა  
უნდა დააკმაყოფილონ ევროკავში-  
რის ბაზრის გარკვეულ სეგმენტ-  
ზე სურსათის განთავსებისათვის,  
სამუალოვადიან პერსპექტივაში  
აუცილებელი ხდება სურსათის მა-  
რეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობას-  
თან დაახლოება და ექვივალენტუ-

რობის აღიარების სისტემის ჩამოყალიბება.

ორგანული პროდუქტების შესახებ ევროკავშირში პირველი რეგულაცია (COUNCIL REGULATION (EEC) №2092/91 of 24 June 1991 on organic production of agricultural products and indications referring thereto on agricultural products and foodstuffs) ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოფლის მეურნეობის მინისტრებმა 1991 წელს დაამტკიცეს. ევროკავშირის კანონმდებლობაში „რეგულაცია“ ყველაზე ძლიერი, უმუალო მოქმედების ნორმატიული აქტია. წევრ ქვეყნებს არ სჭირდებათ მისი შესაბამისი ეროვნული კანონების მიღება. რეგულაცია ავტომატურად ხდება ყველა წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის უშუალო შემადგენელი ნაწილი და ეროვნული კანონების ყველა დებულება, რომელიც რეგულაციას ენინა-აღმდეგება, რეგულაციის ძალაში შესვლისთანავე ავტომატურად გადაიფარება.

მოგვიანებით, 2004 წლის ივნისში გამოქვეყნდა ევროკავშირში პიონარმოების განვითარების 21-ეტაპიანი სამოქმედო გეგმა (COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT – „European Action Plan for Organic Food and Farming“), რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან და რეკომენდაციებთან ერთად საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებელობის რეკომენდაციასაც იძლევა.

ამ რეკომენდაციის საფუძველზე, ორგანული პროდუქციის ნარმოებისათვის, ევროკავშირის მიერ 2007 წლის 28 ივნისს მიღებულია ევროკავშირის საბჭოს ახალი N834/2007 რეგულაცია (COUNCIL REGULATION (EC) No 834/2007 of 28 June 2007 on organic producti-

on and labelling of organic products and repealing Regulation (EEC) No 2092/91), რომელმაც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის მცენარეული და ცხოველური ნარმოშობის ბიოპროდუქტების (მათ შორის აკვაკულტურის, ველურად მზარდი მცენარეებისა და წყალმცენარეების მოპოვების, ასევე ღვინის ჩათვლით გადამუშავებული სურსათის, ცხოველთა საკვებისა და ორგანული საფუარის) ნარმოებისათვის ძირითადი წესებისა და პრინციპების ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩო შექმნა.

2008 წლის 5 სექტემბერს გამოქვეყნდა ევროკავშირის რეგულაციი №889/2008 (COMMISSION REGULATION (EC) No 889/2008 of 5 September 2008 „laying down detailed rules for the implementation of Council Regulation (EC) No 834/2007 on organic production and labelling of organic products with regard to organic production, labelling and control), რომელიც ორგანული ნარმოებისათვის რეგლამენტი (EC) № 834/2007-ით დადგენილი მოთხოვნების რეალიზაციის, ასევე ნიშანდების, ეტიკეტირების და კონტროლის დეტალურ წესებს იძლევა.

საქართველოში ბიოაგრონარმოების განვითარება ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ამიტომ, ჯერ კიდევ 2013 წელს, მიღებული იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება და განისაზღვრა ბიოპროდუქტების ნარმოებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების საჭიროება.

სწორედ ზემოაღნიშნული ევროპული რეგლამენტები და ასევე გაერთიანებული ერგების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ჩოდეს ალიმენტარიუს-ის კომისიის მიერ შემუშავებული

„სახელმძღვანელო მითითებები ორგანული პროდუქტების ნარმოების, გადამუშავების, ეტიკეტირებისა და მარკეტინგისათვის“ GL 32-1999 (GUIDELINES FOR THE PRODUCTION, PROCESSING, LABELLING AND MARKETING OF ORGANICALLY PRODUCED FOODS GL 32-1999), 2008, 2010 და 2012 სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით, დაედო საფუძვლად საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილებით დამტკიცებულ „ბიონარმოების წესებს“, რომელიც შესაბამისობაშია ევროპულ რეგულაციებთან და განსაზღვრავს ბიომუშრენების მართვის, ბიოპროდუქტის ნარმოების, გადამუშავების, ნიშანდების, ეტიკეტირების, დისტრიბუციის, რეალიზაციის, ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის წესებს და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. დანართების სახით მასში მოცემულია ბიომუშრენებაში/ბიონარმოებაში გამოსაყენებლად ნებადართული ნივთერებებისა და საშუალებების წუსხა, ცხოველების კონვერსიულ მეურნეობაში შეძენის პირობები, სხვადასხვა ცხოველისათვის დასაბინავებელი ნაგებობების მინიმალური ფართობები, დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის დაშვებული საშუალებები და სხვ.

ამდენად, ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა და მაღალი ხარისხის ორგანული პროდუქციის ნარმოება საფუძველს იძლევა ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანი გახდეს როგორც ევროპის, ისე მსოფლიო ბიოპროდუქციის ბაზარზე, რომელიც ეკონომიკური კრიზისისა და სხვა ბაზების შემცირების ფონზეც განუხრელად იზრდება.

**მიმდინარეობა,**  
ბ.ბ. პროფ., საქართველოს ხოფლის მეურნეობის სამინისტრო



# ორგანიული სოფლის გაურცეობა და მცირე მწარმოებელთა სერტიფიცირება საქართველოში



ბიო- / ორგანული სოფლის მეურნეობა, როგორც სისტემა, XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა. ეს იყო ე.წ. იდეალიზმის პერიოდი და ამ პერიოდში ბიომეურნეობა იდეალისტების ახილებად მიაჩნდათ. მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის მდგრადი განვითარების კონცეფციის გავლენით, სახელმწიფო ორგანულ სოფლის მეურნეობას და შეიქმნა ამ სექტორის ხელშემწყობი პროგრამები. სექტორის განვითარებაში განსაკუთრებული როლი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებამ ითამაშა: 1991 წელს მიიღეს ევროკავშირის დადგენილება ორგანული ს/მ რეგულირების შესახებ. მსგავსი დადგენილება 2002 წლიდან მიღებულია ამერიკაშიც. კანონი ბიოგრანულარმობის შესახებ საქართველოში პირველად 2006 წელს შევიდა ძალაში, თუმცა, სახელმწიფო დონეზე, რაიმე სახის ხელშეწყობის პროგრამა ამ მიმართულებით დღემდე არ განხორციელებულა.

რეგულაციების შემოღებასთან ერთად გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სწრაფად ვითარდება ბიოპროდუქტების ბაზარი. დღეს ბიობაზარი პრაქტიკულად ერთადერთი ბაზარია მსოფლიოში, რომელიც განუხ-

თანამედროვე მსოფლიოში ცხოველთა აღდარმო-ებაში გულისხმის უზრუნველყოფის განვითარება მასში გამოიყენება გაფხველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგლობა და აუცილებელი პი-რობა ცარმატებული რეარმიდუებისათვის.

რელად იზრდება (მათ შორის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზეც), რის გამოც სხვა ბაზრები მცირდება), რადგან ბიოპროდუქტებზე მოთხოვნა ბევრად აჭარბებს მიწოდებას. ამ მხრივ საქართველოსთვის ეს ბაზრის პერსპექტიული სეგმენტია, სადაც შედარებით ადვილია შეღწევა, მაგრამ რამდენად მზად ვართ ამისთვის?

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ საქართველოში ორგანული ს/მ-ის განვითარების საკითხებზე 1994 წლიდან მუშაობს გერმანული ორგანიზაციის – Brot für die Welt, ხელშეწყობით. ამ პერიოდში რამოდენიმე ათასმა ფერმერმა გაიარა სატრენინგო მომზადება და/ან მიიღო კონსულტაცია მეურნეობაში ბიო-მეთოდების დანერგვის თაობაზე, თუმცა, ბიოსერტიფიკაცის 100-მდე ბიზნეს-ოპერატორი თუ ფლობს, რამდენადაც. სერტიფიკაციის აღების სურვილი ძირითადად მხოლოდ საექსპორტო პროდუქციისთვის აქვთ, ექსპორტისათვის კი მცირე მეურნეები, რომლებიც საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირთა 98%-შეადგენენ, ვერც პროდუქციის საკარის მოცულობებს აწარმოებენ და სერტიფიცირების თანხის გადახდაც უჭირთ.

2013 წლიდან „ელკანა“ შვეიცარიული ორგანიზაციის – HEKS-EPER-ის ხელშეწყობით ახორციელებს მეთხილეობის პროექტს, რომლის ფარგლებშიც ჯავაფური სერტიფიცირების ინოვაციური მიდგომა დაინერგა. ჯგუფური სერტიფიცირება მნიშვნელოვნად ამცირებს სერტიფიცირების გადასახადს ჯგუფის წევრ მეურნეთათვის, ორგანული სტანდარტის დანერგვა კი მათ საშუალებას აძლევთ 8 %-ით მეტი ანაზღაურება მიიღონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეურნეობის მართვის ორგანულ პრინციპებზე გადასვლისა და ბიომეთოდების გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროექტში მონაწილე მეურნეთა მოსავლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებიც, რასაც გამოკითხულთა 30%-ზე მეტი ადასტურებს.

**გარიაზ ჰუნდავაძე, თამაზ დუდუაზი, გული გამარჯვებული ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“**

# ბიოსერტიფიცირება

ბიოსერტიფიცირებას ეძღვმდებარება სასოფლო-სამუშაოებით კულტურის მოსახლეობი, ველურად ზზარდი მცენარეების ნაყოფი ან სხვა ნაიღლები, სასოფლო-სამუშაოების გადამუშავებული სასტრატეგიული პროდუქცია, უცველთა საკვები, სატესლე და სარგავი მასალა. პროდუქცია, რომელიც დატანილია ინგრედიენტით „პირი“, „მეო“ ან „როგანული“, აუცილებლად უდია იყოს სერტიფიცირებული ბიოსერტიფიცირების აკრედიტირებული ორგანოს მიერ.

ბიოსერტიფიკატის მისაღებად მწარმოებელმა უნდა შეასრულოს ბიოსტანდარტის ყველა მოთხოვნა. ბიოსტანდარტი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში ნებადართული მეთოდებისა და საწარმოო საშუალებების, პროდუქციის შენახვის, გადამუშავების, დაფასოებისა და ტრანსპორტირების წესების ერთობლიობა.

ბიოსერტიფიკატის მიღების მსურველმა საწყის ეტაპზე უნდა:

- შეისწავლოს სტანდარტის მოთხოვნები და შეიმუშაოს ბიოპროდუქციის სტანდარტით ნებადართულ მეთოდებსა და საწარმოო საშუალებებზე დაფუძნებული წარმოების სისტემა;

- შეადგინოს მიწის, სავარგულების, შენობა-ნაგებობების, დანადგარების, ტექნიკისა და საწარმოს სხვა აქტივების აღწერა და დაურთოს მას შესაბამისი რუკები და საჭიროებისამებრ, წყლისა და ნიადაგის ანალიზის შედეგები;

- შეიტანოს განაცხადი ბიოსერტიფიცირების ორგანოში და დაურთოს მას ბიონარმოების სისტემისა და მეურნეობის (საწარმოს) აღწერილობა.

მეურნეობამ უნდა გაიაროს გარდამავალი პერიოდი, სანამ შეძლებს ბიოსერტიფიკატის მიღებას. სერტიფიცირების ორგანო ვალდებულია მწარმოებელს ჩაუტაროს ყოველწლიური ინსპექტორების მიერ მიღების დროს უნდა დაიწყოს გარდამავალი პერიოდის ათვლა. თუ ინსპექტორს სტანდარტის დარღვევის დასაბუთებული ეჭვი გაუჩნდა, მწარმოებელს ჩაუტარდება დამატებითი გაუფრთხილებელი ინსპექტორება. დაახლოებით 10 წელიწადში ერთხელ სერტიფიცირების ორგანომ გაუფრთხილებელი ინსპექტორება შეიძლება ფორმალური მიზეზის გარეშეც ჩაატაროს.

ინსპექტორისათვის შესაძლებელი უნდა იყოს ყველა სახის ჩანაწერის, საბუთის, ნაკვეთის, შენობა-ნაგებობის, ტექნიკის, დანადგარის და ხელსაწყოს შემოწმება და დათვალიერება. ინსპექტორება იწყება მეურნეობისა ან/და საწარმოს ხელმძღვანელთან და ბიონარმოებაზე პასუხიმგებელ პირებთან ინსპექტირების ამოცანებისა და გეგმის განხილვით. შემდეგ. ინსპექტორი ამოცმებს ბიონარმოების საბუთებსა და ჩანაწერებს; ინფორმაციის გადასამოწმებლად აკვირდება წარმოების პროცესს, ათვალიერებს ინფრასტრუქტურას და ესაუბრება რიგით თანამშრომლებს. დათვალიერების დროს მას ლაბორატორიული ანალიზისათვის ნიმუშის აღების უფლება

აქვს. ბოლოს ინსპექტორი გააცნობს წარმოების ხელმძღვანელობას გამოვლენილ შეუსაბამობებს და შეათანხმებს მასთან ამ შეუსაბამობების გამოსასწორებლად აუცილებელ მაკორექტირებელ ქმედებებს. სერტიფიცირების ორგანო მწარმოებელს ინსპექტირების დასრულებულ ანგარიშსა და გადაწყვეტილებას ათი დღის ვადაში უგზავნის. გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილია შეუსაბამობები და მათი შესრულების ვადები, ხოლო სტანდარტის უხეში დარღვევისას – სანქციებიც.

ბიოპროდუქციის ევროკავშირში გატანის შემთხვევაში სერტიფიცირების ორგანო ატარებს საექსპორტო პარტიის დატვირთვის ინსპექტირებას და გასცემს „იმპორტის ინსპექტირების სერტიფიკატს“, რომელიც ევროპელმა მყიდველმა უნდა წარადგინოს თავისი ქვეყნის საბაჟოში ბიოპროდუქციის განსაბაზებლად.

შპს „კავკასერტი“ საქართველოში ბიოსერტიფიცირების ერთადერთი ადგილობრივი კომპანიაა. ის აკრედიტებულია გერმანიის აკრედიტაციის ცენტრის (DakkS) მიერ და შესულია ევროკომისიის მესამე ქვეყნების ბიოსერტიფიცირების ეკვივალენტური კომპანიების სიაში. შპს „კავკასერტი“ გასცემს ბიოსერტიფიკატს, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს როგორც საქართველოში, ისე ევროკავშირის ყველა ქვეყნაში. ამჟამად „კავკასერტის“ სასერტიფიკაციო მომსახურებით სარგებლობს 45 მწარმოებელი, რომელთა ნახევარი უკვე ფლობს ბიოსერტიფიკატს.

**დავთ კავკასერტი,  
ზორაბ ნადარიშვილი,  
(შპს „კავკასერტი“)**



## სამაცნიარო-კვლევითი ცენტრის პირაგროცენარმოების სამსახური და მისი როლი რეგიონული სოფლის გაურვეობის განვითარებაში

გარემოს დაგინძურებამ, საკვეპ პროდუქტები ძიმიური ნარჩენების დაგროვებამ, მავნებლების და დაავადებების ასატიციდებთან სრულ- შეგუებამ მრავალი მრავალი ციცაზი დააყენა სოფლის გაურვეობა, მთელ მსოფლიოს ცალიად აჩვენა ძიმიური მომზადების აღმართა- ვით ჩანაცვლების აუცილებლობა და პირაგროცენარმოების გარდაუცალი მოთხოვებით. ამითომაც ყოველწლიურად ყველგან ვეს იკიდებს გიო- აგროცენარმოება, სორაფად იზრდება გიომურვეობებისა და გიოცენარმოე- ბის რიცხვი. ჩვენი ძვირის გუნდი პირაგი უნიკალურ შესაძლებ- ლობას გვაძლევს გიომურვეობების შეძრისა და როგანული სოფლის გაურვეობის განვითარებისათვის.

სისი „სოფლის მეურნეობის სა- მეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ „ბიოაგრონარმოების სამსახური“ სა- ქართველოში ფუნქციონირებს 2014 წლის 15 ივნისიდან. მისი ფუნქციაა, სამეცნიერო-პრაქტიკული და გამო- ყენებითი კომპლექსური კვლევების განხორციელება საქართველოში ბიოაგრონარმოების განვითარების, მდგრადი ბიომეურნეობების შექმნის, ბიომეურნეთა ხელშეწყობისა და ბი- მომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით. უნდა შემუშავდეს ბიოაგრო- ნარმოების განვითარების სახელმწი- ფო პროგრამა, პროგრამის საბოლოო მიზანი კი საქართველოს აგრო-ეკო- ლოგიურ ცენტრად გარდაქმნაა.

თუ გვსურს, საქართველოს, რო- გორც მცირემინანი ქვეყნის, სოფ- ლის მეურნეობა წარმატებული და კონკურრენტუნარიანი იყოს მსოფ- ლიო ბაზარზე, ბიოაგრონარმოება ერთადერთი გზაა ამ მიზნის განსა- ხორციელებლად. როგორ განვავი- თაროთ ბიოაგრონარმოება? როგორ გავუჩინოთ სურვილი ფერმერს, ინტენსიური მეურნეობიდან ბიონარ- მოებაზე გადავიდეს? მას ნათლად უნდა ვაჩვენოთ ქიმიური საშუალე- ბების გამოყენების უარყოფითი შე- დეგები და ის ფაქტი, რომ ვერაფერი აანაზღაურებს დროთა განმავლობა- ში გარემოსათვის, ჩვენთვის და ჩვენი მომავალი თაობების ჯანმრთელო- ბისათვის მიყენებულ ზიანს. მართა- ლია, ბიოაგრონარმოება სწრაფად არ იძლევა უკუგებას, მაგრამ რამდენიმე წელინადში შემოსავალი თანდათან იზრდება, ეკოლოგიური წონასწორო- ბაც შენარჩუნებულია აგროეკოსის-

ტემაში, რაც მრავალ კატასტროფას აგვაცილებს თავიდან და ჩვენს მომა- ვალსაც გავუფრთხილდებით. ვფიქ- რობთ, ყოველივე აღნიშნული რომ გაიაზროს თითოეულმა მეურნემ, დი- დი მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რა- შიც მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ჩვენი სამსახურის ვალდებულებაცაა. აუცილებელად მიგვაჩნია რეგიონებ-

უკვე გარკვეული მუშაობა გავწიეთ, ჩვენი სამსახურის მიერ მომზადდა და განათლების ხარისხის განვითარე- ბის ეროვნულ ცენტრს გადაეგზავ- ნა განსახილველად „ბიომეურნის“ მოდულური სასწავლო პროგრამა, რომელიც შეიქმნა საქართველოში გაეროს პროფესიული განვითარების ხელშეწყობი პროგრამის UNDP-თან ურთიერთთანამშრომლობით და გან- კუთვნილია მეურნეებისა და პრო- ფესიული კოლეჯების სტუდენტები- სათვის; 2016 წელს უკვე დავიწყეთ რეგულარული სასწავლო ტრენინგე- ბის ჩატარება ბიოაგრონარმოების მიმართულებით როგორც მეურნე- ების, ისე ექსტენციის ცენტრების კონსულტანტებისათვის. სასურველი იქნება, რეგიონების მიხედვით წელი- წადში ერთხელ მაინც გამოცხადდეს



ში გასვლა და ფერმერების ინფორმი- რება (ექსტენციების, ტრენინგების, სემინარების გამართვა, პრეზენტა- ციების წარდგენა, ვიდეო-მასალის გამოყენება, საინფორმაციო ბუკლე- ტების შედგენა-დარიგება და სხვა). შემდეგი ეტაპი უნდა იყოს უკვე სწავ- ლება ტრენინგების ჩატარების გზით. ბიომეურნეობაზე და ბიონარმოებაზე გადასვლის მსურველ ფერმერს უნ- და მიენოდოს შესაბამისი ცოდნა, თუ როგორ მართოს აგროეკოსისტემა, ბიომეურნეობა, როგორ ანარმონის ბიოპროდუქცია და როგორ მოახდი- ნოს მისი რეალიზაცია. ამ მხრივ ჩვენ

სასწავლო კურსები მსურველთათვის ბიოაგრონარმოების მიმართულებით.

აუცილებელია შესაბამისი პრაქტი- კულად გამოსაყენებელი ლიტერა- ტურის გამოცემაც, რაზედაც აქტიუ- რად ვმუშაობთ. მნიშვნელოვანია აგ- რეთვე რეკომენდაციების მომზადება მცენარეთა ცალკეული კულტურე- ბის თუ ცხოველთა ჯიშების ბიომე- თოდებით წარმოების შესახებ.

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მეტად მნიშვ- ნელოვან, ზოგჯერ კი გადამწყვეტ ფაქტორსაც წარმოადგენს ბიოპრე-

აპარატები (ბიოსასუქები, ბიოპესტი-ციდები, ზრდის სტიმულატორები და რეგულატორები). ჩვენი სამსახურის მიერ უკვე შესამე წელია იცდება ადგილობრივი და უცხოური წარმოების სხვადასხვა პრეპარატები: მარცვლოვან და ბოსტნულ კულტურებზე, საკვებ ბალახებზე. 2016 წელს სამეცნიერო-კვლევით ცდებში ჩართული გვქონდა 37 დასახელების როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ბიოპრეპარატი. ცდები წარმოებდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ს. წილკანში სელექციის საცდელ-სადემონსტრაციის წარმოებით (0,15 ჰა) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ღუზავრამას საცდელ ნაკვეთზე (3,0 ჰა): ესპანურ, ლატვიურ და უკრაინულ ბიოპრეპარატებთან ერთად იცდებოდა შპს „ბიოაგროს“, „აგროვიტას“, „ჯეოფერტის“, „ეკოსანდოს“ და სხვათა მიერ წარმოებული პროდუქცია და საკმაოდ კარგი და საინტერესო შედეგებიც იქნა მიღებული.

როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ბიორგულაციებით (European Organic Regulations (EC) No 834/2007, 889/2008 და 1235/2008; IFOAM-ის ძირითადი სტანდარტები ბიოაგრონარმოებისა და გადამუშავებისათვის; საქართველოს მთავრობის 2013 წლის №198 დადგენილება „ბიონარმოების შესახებ“; „გრინკავკაზუსის“ სტანდარტი) ბიოფერმერს უნდა გააჩნდეს ბიონარმოების სერთიფიკატი – შესაბამისობის შეფასების დოკუმენტი, რომლითაც სერთიფიკაციის ორგანო ადასტურებს, რომ პროდუქცია შეესაბამება დადგენილ სტანდარტს. 2016 წლის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი ბიომასერტიფირებელი ორგანო („კავკასერტი“), რაც გარკვეულწილად აფერხებს ბიოაგრონარმოებელი მეურნეობის სერტიფიცირების კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. ქვეყანაში ბიოაგრონარმოების განვითარების მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნება კონკურენტუნარიანი რამდენიმე მასერტიფიცირებელი ორგანოს ფუნქციონირება, რაც შედარებით ადვილად ხელმისაწვდომს გააძლის ფერმერთა ბიოსერტიფიცირების პროცესს. აუცილებელია ქვეყნის მასტერაბით ბიოფერმერთა მონაცემთა დამტკიცება, მაგრამ ამავე დროისათვის აუცილებელია მასტერაბით ბიოსერტიფიცირების დამტკიცება.

პერიოდულად უნდა მოხდეს მოქმედი ბილეთერმარკების წახალისაგრძელება.



აუცილებელია შეიქმნას მცირე  
მასტერაპის საცდელ-სადემონსტრა-  
ციონ ბიომეურნეობების მოდელები,  
რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ  
როგორც ბიოაგროწარმოების პრო-  
ცაგანდისათვის, სხვადასხვა ბიომე-  
თოდისა და ეკოლოგიურად უსაფ-  
რთხო საშუალებების კვლევისა და  
გამოცდისათვის, ასევე სტუდენტე-  
ბის (ბაკალავრები, მაგისტრანტები,  
დოქტორანტები) სამეცნიერო-კვლე-  
ვითი სამუშაოების ხელშეწყობისათ-  
ვის ეკოსისტემების და ბიოაგროწარ-  
მოების მიმართულებით.

მეტად მნიშვნელოვანია ბიოგარო-ნარმოების კუთხით სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავება და განხორციელება. აუცილებელია ურთიერთობა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთში მოქმედ ბიოაგრონარმოების მიმართულების სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და გაზიარება, აგრეთვე მონაწილეობის მიღება ამ კუთხით დაგეგმილ ადგილობრივ და საერთაშორისო სემინარებზე, ტრენინგებზე, გამოფენებსა და კონფერენციებზე. 2016 წელს მონაწილეობა მივიღეთ გაეროს განვითარების პროგრამის UNDP – ის მიერ დაგეგმილ BIOFACH-ის DLG-Feldtage ინოვაციურ ფესტივალში – „მწვანე ფესტივალი“, რომელიც ქ. შტუტგარტში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) 13-16 ივნისს

გაიმართა. მონაწილეობა მივიღეთ, აგრეთვე, FAO ორგანიზებით უნგ-რეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში 2016 წლის 23-25 ნოემბერს ჩატარებულ ეკონომიკისა და აზიის რეგიონალურ სიმპოზიუმში: „აგრობიოეკოლოგია და სურვათის უნგრებლობის სისტემა“.

ରୂପଶ୍ଵାଳାରୁଲ୍ଲାଦ ଉନ୍ଦା ଠେକ୍ଷଣେ-  
ଦୂରଦେଶ ସାମ୍ବିନ୍ଦୀଏରିମ-ପରିପୁଲାରୁଲ୍ଲା  
ସତ୍ତାତ୍ମିକା ଏବଂ ଆମ ମେଳନାମଧ୍ୟ  
ଲୋ ମିମାରିତୁଲ୍ଲାଦୀ ଯୁଗରନ୍ଦାଲ୍ଲାଦୀ,  
ଆମେ ଯୁଗରନ୍ଦାଲ୍ଲାଦୀଯୁଗ ଯୁଗରନ୍ଦାଲ୍ଲା-ଗା-  
ଥୀତେବେଳୀପିରିପି. ସାକ୍ଷିରାମ ଆମ ମେଳନାମଧ୍ୟ  
ଫେରମେରୁଦ୍ଧିକି, ଆମେ ମତେଲି ସାଥିମ-  
ବାଦନ୍ତିକିରିବା ମେତ୍ରି ନିଜୀବନମିର୍ବଦ୍ଧିଲ୍ଲାଦା.  
ରାଜମହାନ୍ତିର ପାଦରୀତିର ସାଥିମବାଦନ୍ତିକିରିବା  
ଯେବେଳା ମନୋବିଜ୍ଞାନ ଦିନପରିପୁଲାଦ୍ୟକ୍ଷିରିବା  
ନାକମିର୍ବଦା ଥିଲୁ, ମେଯରନ୍ଦ ତାଙ୍କିରିବାରେ  
ଗାନ୍ଧିଜୀରିବା ମେଯରନ୍ଦନାମଧ୍ୟ ଆମ ମିମାର-  
ତୁଲ୍ଲାଦାଥିଲୁ. ଦିନପରିପୁଲାଦ୍ୟକ୍ଷିରିବା ଉନ୍ଦା  
ପରିପୁଲାଦ୍ୟକ୍ଷିରିବା ଶିଳ୍ପି ଦାଖାରିପି ଦା ନାରୀଜୀ-  
ତ୍ରିପରିପୁଲାଦ୍ୟକ୍ଷିରିବା ଏବଂ ଉନ୍ଦା ଯୁଗରନ୍ଦାଲ୍ଲା  
ପରିପୁଲାଦ୍ୟକ୍ଷିରିବା ହେବାକୁଣ୍ଡିଥିଲୁ.

**ଭ୍ରମିତାବଳୀ,** କୁନ୍ତଲାପିଲାଙ୍କିରଣ;  
**ଭ୍ରମିତାବଳୀ,** କୁନ୍ତଲାପିଲାଙ୍କିରଣ;  
**ଭ୍ରମିତାବଳୀ,** କୁନ୍ତଲାପିଲାଙ୍କିରଣ;

## ორგანული სოფლის გეურნეობის განვითარების ტენდენციები და ძირითადი პრიცეპები

თანამედროვე მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა სა-სოფლო-სამეურნეო აროდუქტებით უზრუნველყოფა ერთ-ერთ უნიკ-ველობას აროგლებად ითვლება. ამ აროგლების მოგვარება შესაძლებელია მხოლოდ ორგანული სოფლის გეურნეობის განვითარებით, რომელიც წარმოების სრულყოფილი სისტემა და ის უზრუნველყოფს ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესებას, ეკოსისტემების შენარჩუნებას და ადამიანის ჯამრთოლობის დაცვას.

ორგანულ სოფლის მეურნეობას მსოფლიოს 160 ქვეყანაში მისდევენ, რომელიც დაახლოებით 37 მილ/ჰექტარს მოიცავს და მასში 1,6 მილიონი ფერმერია დაკავებული. აქედან ყველაზე მეტი – 3 მილიონი ჰექტარი მოდის ევროპაზე. სქემაზე წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, საიდანაც ჩანს მსოფლიო მასშტაბით 2010-2015 წლებში ორგანული სოფლის მეურნეობით დაკავებული მიწის ფართობების, განსაკუთრებული თოვანული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდა, რაც ამ დარგის განვითარების პერსპექტივებზე და აუცილებლობაზე მიუთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ თვალსაზრისით როგორც მეცნიერების, ასევე მეცხოველობის მხრივ დიდი პერსპექტივა აქვს.

ორგანული სოფლის მეურნეობის სტრატეგიის შემუშავებას უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს, რა დროსაც განსაკუთრებული მნიშვ-

ნელობა ენიჭება პერმაკულტურას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დიზაინის სისტემას, რომლის მიზანია ეკოლოგიურად მიზანშენონილი მოდელების საფუძველზე ადამიანის საარსებო გარემოს სივრცის ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია ადამიანსა და ბუნებას შორის ურთიერთობის ჰარმონიაზე. სწორედ პერმაკულტურის სწორი სტრატეგია განაპირობებს ორგანული სოფლის მეურნეობის წარმატებას.

ორგანული სოფლის მეურნეობის ძირითადი პრინციპებია:

1. პრინციპი – შევინარჩუნოთ და ავამაღლოთ ადამიანის, მცენარის, ცხოველის და ნიადაგის ჯანმრთელობა;

2. ეკოლოგიის პრინციპი – ყალიბდება არსებულ ბუნებრივ-ეკოლოგიურ სისტემებზე და ციკლზე, მათ ერთობლიობაზე და მხარდაჭერაზე;

3. სამართლიანობის პრინციპი-ურთიერთობები ყალიბდება გარემო-


ცველ სამყაროსა და სასიცოცხლო პირობებს შორის;

4. პრინციპი მზრუნველობა-ორგანული სოფლის მეურნეობის მართვა უნდა ითვალისწინებდეს გამამფრთხილებელ ღონისძიებებს და მაღალ პასუხისმგებლობას ჯანმრთელობის დაცვის მხრივ, უზრუნველყოს მომავალი თაობის ბედნიერება, გარემოს დაცვა და მცენარეული პროდუქტების წარმოების ძირითადი პრინციპები. ორგანულ სოფლის მეურნეობაში მცენარეული პროდუქტების წარმოების ძირითადი პრინციპებია:

– თესლბრუნვები, წინამორბედების სწორი შერჩევა და კულტურათა მორიგეობა დროსა და სივრცეში; – პარკოსან კულტურათა დიდი წილით (50%) ჩართვა, რადგან ისინი აგროვებენ დიდი რაოდენობით აზოტს; მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე შუალედური კულტურების გამოყენება;


– მცენარეული ანარჩენების კომპოსტირება, ნაკელის, ტორფის, პერმაკულტურის და სხვადასხვა წარჩენების გამოყენება, რომელიც რეკომენდებულია ორგანულ სოფლის მეურნეობაში; სიდერაცია, მუნჩირება და სარეველა მცენარეებთან ბრძოლა;

– მცენარეთა დაცვის მიზნით ბიოპრეპარატების გამოყენება, ფიტოსანიტარული ხვნა და კულტივაცია. ორგანულ სოფლის მეურნებაზე გადასვლა გამოიწვევს არსებით ცვლილებებს წარმოების პერიოდებში. მიუხედავად ამისა, მისი განვითარება უნდა მოხდეს თანდათანობით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე.



# ეცომოვათოგანური ხემატოდეპის გამოყენება ეპიზოდების [SCIARID] მიმართ საქართველოს სასამართლოს წარმოებაში

ბოლო წლებში საქართველოში ქა-  
მა სოკოს *Agaricus bisporus* ინდუს-  
ტრიაში ნიადაგში ბინადარი მავნე  
მწერები – *Lycoriella* და *Bradyia* spp.  
(Diptera: Sciaridae) გავრცელდა. შცი-  
არიდები ანუ სოკოს კოლონები ინ-  
ტენსიურად მრავლდებიან ორგანულ  
სუბსტრატში. შციარიდები პატარა,  
0.5-2 მმ ზომის მწერები არიან, ვიწ-  
რო სხეულითა და მომრგვალებული  
თავით, რუხი ან შავი შეფერილობით.  
მწერი კვერცხს დებს სველ ადგილზე,  
საიდანაც რამდენიმე დღის შემდეგ  
ჩნდებიან მრგვალი ჭიების მსგავსი  
მატლები (2-10 მმ). ისინი იკვებებიან  
სოკოს მიცელიუმით და დიდ ზიანს  
აყენებენ სახალხო მეურნეობას. ქა-  
მა სოკოს ეკოლოგიურად სუფთა  
მოსავლის მიღებისათვის მკაფიად  
რეკომენდებულია მავნე მწერებისა-  
გან სოკოს დაცვისათვის უსაფრთხო  
საშუალებების გამოყენება. სოკოს  
მოყვანისათვის სუბსტრატის მაღა-  
ლი ტენის შემცველობა ხელს უწყობს  
კოლონების განვითარებას, რაც თა-  
ვის მხრივ ენტომოპათოგენური ნემა-  
ტოდების (epn) გამოყენების უნიკა-



ლურ შესაძლებლობას იძლევა. ეპნ  
მარტივი, მრგვალი, უფერო ჭიებია.  
ინსექტიციდური ნემატოდები – გვა-  
რი შტეინერნემა (Nematoda: Steinernematidae) ასოცირებულია ბაქტერი-  
ებთან, გვარი – *Xenorhabdus*.

მათი მაინფიცირებელი თაობა (IJs)  
ექებს შესაფერის მასპინძელ მწერს,  
იქრება მის სხეულში და მაღა-  
ტოდა და მისი ბაქტერიული პარტ-  
ნიორი ერთობლივად იწყებენ მოქ-  
მედებას, ინვევენ მწერის ცხიმოვანი  
ქსოვილის განადგურებას, ამცირებენ  
მის კოპულაციას და კვერცხდებას.  
მასპინძლის ორგანიზმში ბაქტერია  
მრავლდება, მისი ზემოქმედებით კი  
მწერი სწრაფად იღუპება. წარმოიქმ-  
ნება ზრდასრული ფორმა, საიდანაც  
კვლავ ახალი მაინფიცირებელი თა-  
ობა (IJs) წარმოიშობა. იგი ტოვებს  
მკვდარი მასპინძლის სხეულს და ახალ  
მსხვერპლს ექებს. ეპნ -ის ეს დამასა-  
სიათებელი უნარი და ინვაზიურობის  
ბუნება საფუძვლად დაედო ნემატო-  
დური ინსექტიციდების შექმნას.

გამოკვლევები ჩატარებულია ინტ-  
როდიცირებული (გერმანია, e-nema  
GmbH), კომერციული ნემატოდური  
პრეპარატის NEMYCEL® 300 Steinern-  
nema feltiae გამოყენებაზე შციარიდ-  
ების მიმართ LTD Mushpro Company

(შიდა ქართლი, კასპი) ტერიტორია-  
ზე, 600 კვ.მ. ნემატოდური სუსპენ-  
ზია – ტიტრი (2 × 105) გამოყენებული  
იყო მწერის მატლების მეორე-მე-  
სამე ხნოვანების მიმართ, ყოველი  
14 დღის ინტერვალით, საირიგაციო  
სისტემის საშუალებით. გამოირკ-  
ვა, რომ საცდელ ნაკვეთზე მწერე-  
ბის დასახლების სიმჭიდროვე მათი  
მავნეობის ეკონომიკურ ზღვარს არ  
აღემატებოდა. ნემატოდური პრეპა-  
რატის ბიოლოგიური ეფექტურობა  
90-95%-ს აღწევდა. დასახულია ეპნ-  
ის ფართო გამოყენების ოპტიმალუ-  
რი გზები, შციარიდ-გან ქამა სოკო  
დაცვისათვის საქართველოში.

## მარიამ ჩუბინიშვილი,

განაცნ ჭახაძე,

ოსია ჩხუჭიანიშვილი,

იათავაზე გალანიძე,

## რასუაძენ სხიროლაძე,

ირინე რიჭაბაძე

საქართველოს აგრარული უნი-  
ვერსიტეტი, ყაზბეგის მცენარეთა  
დაცვის ინსტიტუტი;

## მიქოლა გუბარიშვილი

კომპანია შპს „Mushpro”,  
ჭავჭავაძის ქ. 29, კასპი,  
საქართველო

[m.chubinishvili@agruni.edu.ge](mailto:m.chubinishvili@agruni.edu.ge)





## აგრობიორგანული ტექნოლოგიის კონცენტრაცია

ჩვენი პლანეტის მზარდი მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფა შესაძლებელია შემდეგი გზებით:

1. აგრარული სისტემის და ტექ-  
ნოლოგიური პროცესების მართვის  
მუდმივი სრულყოფით;
2. ნიადაგის დამუშავების ინტენსი-  
ფიკაციით, ეფექტური, კომპლექსუ-  
რი ფაქტორების გამოყენების საშუ-  
ალებით;
3. ნიადაგის ნაყოფიერების რაცი-  
ონალური გამოყენებით და რეპრო-  
დუქციული ზრდით;
4. მცენარეთა პოტენციურ შესაძ-  
ლებლობათა მაქსიმალური გამოვ-  
ლენით აგრობიოორგანული მეთო-  
დების გამოყენებით.

ამჟამად მეცნიერები ცდილობენ,  
მსოფლიოს საკვებით უზრუნველყო-  
ფის პრობლემა გადაჭრან პირველი  
სამი გზით.

ჩვენ მიერ მოწოდებულია სა-  
სოფლო-სამეურნეო პროდუქციის  
პროდუქტიულობის გაზრდისა და  
ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმ-  
ჯობესების მეოთხე ეფექტიანი გზა.  
დამუშავებულია აგრობიოორგანული  
ტექნოლოგია, რომელიც მცენარეთა  
ენდოგენური რეგულატორულ სის-  
ტემების მართვის და გარემოს არა-  
ხელსაყრელ პირობებთან მცენარეთა

ადაპტაციის საშუალებას იძლევა,  
რითაც შესაძლებელია მივიღოთ  
ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხა-  
რისხიანი მოსაგალი.

მრავალწლიანი ფუნდამენტური  
კვლევის საფუძველზე ჩვენ მიერ  
შესწავლილია ცოცხალი უჯრედის  
მართვის გზები და გამოვლენილია  
ახალი თაობის უნივერსალური რე-  
გულატორები, რომელთაც ჩვენ  
ბიოენერგოაქტივატორები უზრო-  
დეთ (ბიორაგი, ემატონი, რაგოცი-  
ნი, რაგილი, იმუნორაგი და სხვ.) და  
რომელთაც მსოფლიოში ანალოგები  
არ გააჩნია. ისინი გარემოს დაუბინ-  
ძურებლად ბიოლოგიურად სუფთა  
მოსავლის მიღების საშუალებას  
გვაძლევს, რაც დღეს კაცობრიობის  
ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობ-  
ლემაა.

ბიოენერგოაქტივატორები ახალი  
თაობის რეგულატორებია, რომლე-  
ბიც პრინციპულად განსხვავდება  
ცნობილი ქიმიური პრეპარატე-  
ბისგან და მცენარეთა ენდოგენუ-  
რი (საკუთარი) რეგულატორული  
სისტემების მართვის საშუალებას  
იძლევა.

ბიოენერგოაქტივატო-  
რების ერთ-ერთი წარმომადგენე-  
ლია, რომელმაც ათეული წლების  
განმავლობაში როგორც ჩვენთან,  
ისე უცხოეთში გაარა ტოქსიკურ-  
ეკოლოგიური ექსპერტიზა და სამე-  
ურნეო გამოცდები. დადგინდა მისი  
სრული უვნებლობა. უფრო მეტიც,  
გამოვლინდა მისი მაღალი ანტიმუ-  
ტაგენური აქტივობა და პროფილაქ-  
ტიკურ-სამკურნალო თვისებები,  
რის გამოც რეკომენდებულა მისი  
გამოყენება როგორც სოფლის მეურ-  
ნეობაში, ისე მედიცინასა და კვების  
მრეწველობაში.

ახალი აგრობიოორგანული აგ-  
როტექნოლოგიის გამოყენებით: 1)  
მნიშვნელოვნად ძლიერდება აგრო-  
ქიმიკატების ეფექტიანობა, ფოტო-  
სინთეზური აპარატი, გარემოდან  
წყლისა და საკვები ნივთიერებების  
შეთვისება; 2) მკვეთრად მცირ-  
დება გარემოზე აგროქიმიკატე-  
ბის ნეგატიური გავლენა. ნაყოფი

პრაქტიკულად არ რჩება სასუქები და პესტიციდები. ყოველივე ეს კი მაქსიმალურად ზრდის არსებული აგრძელიმიკატების პოტენციურ შესაძლებლობებს და გამოყენების არეალს.

ბიოენერგოაქტივატორი ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხოა; მცენარეში არ ტოვებს ნაშთს და ერთვება ნორმალურ მეტაბოლიზმში, ამცირებს ნიტრატების და მავნე ნივთიერებების შემცველობას. უფრო მეტიც, ავლენს დამცავ მოქმედებას კანცეროგენების (კიბოს გამომწვევი ნივთიერებების) წინააღმდეგ. ბიოენერგოაქტივატორები უზრუნველყოფს როგორც მცენარეულ, ისე ცხოველურ ორგანიზმთა ბუნებრივ ნორმალიზაციას და წარმოადგენს მათი პროდუქტიულობის მართვის ეფექტიან მეთოდს. ბიოენერგოაქტივატორი, ფიზიოლოგიური რეგულატორული მექანიზმების გამოყენებით, განაპირობებს ადაპტაციას ექსტრემალური პირობების მიმართ; ზემოქმედებს ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა სისტემაზე: სუნთქვაზე, (ცილების, ნახშირნყლების და მეორეული ნივთიერებების ბიოსინთეზზე; მკვეთრად ზრდის ზოგიერთი ფერმენტის (მაგალითად, კატალაზა, პეროქსიდაზა) აქტიურობას; ცვლის პროტოპლაზმის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს და უჯრედის მემბრანაზი წყლის და მინერალურ ნივთიერებათა შეღწევადობას.

ლობიოზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ ბიოენერგოაქტივატორი ადვილად იქრება როგორც თესლში, ისე ფოთლების ქსოვილში და ახდენს სარეზერვო მექანიზმების გააქტიურებას, რაც გამოიხატება არა მარტო ნიადაგიდან, არამედ ატმოსფეროდან საკვებელებით და ადგენილია სანარეზერვო შესაძლებების უნარის გადატენვის მიზანით. მაგალითად, ბიოენერგოაქტივატორის მცენარეული ნივთიერება არა მარტო ნიადაგიდან, არამედ ატმოსფეროდან საკვებელებით და ადგენილია სანარეზერვო შესაძლებლობათა არსებობაზე. ეს კი იწვევს მცენარეთა მოსავლიანობისა

და ხარისხივანი მაჩვენებლების მნიშვნელოვან გაზრდას.

გარემოსთან ადამიანის ადაპტაცია შესაძლებელია ორი გზით: 1) გარემოს დაცვის გაუმჯობესებით და 2) ადამიანის ორგანიზმის მდგრადობის გაზრდით მავნე ფაქტორების მოქმედების მიმართ.

ცოცხალ ორგანიზმთა ადაპტაცია სხვადასხვა პირობების მიმართ შესაძლებელია ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით. ისინი ამჟღავნებენ ძლიერ ბიოპროცესიულ თვისებებს, რითაც ამცირებენ ქიმიზაციის მავნე გავლენას ადამიანზე.

ბოლო პერიოდის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ბიოენერგოაქტივატორების ზემოქმედებით ხდება მცენარის კომპენსატორული უნარის გაძლიერება, რის გამოც მცენარე სწრაფად (3-ჯერ და უფრო მეტად, ვიდრე ბიოენერგოაქტივატორების გარეშე) გამოდის სტრესული მდგრადობიდან. ფოტოსინთეზის და სუნთქვის პროცესების გააქტიურების გამოჩერდება მცენარის რეპარაცია (აღდგენა) და ცვლადი გარემო პირობებისადმი მისი აკლიმატიზაცია (შეგუება), რაც, შესაბამისად, ზრდის ბიოპროცესიულობას.

როგორც მრავალნიანმა გამოკვლევებმა აჩვენა, ბიოენერგოაქტივატორების გამოყენებით შესაძლებელია: ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის (პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებების მქონე) მოსავლის მიღება; ძნელად დასაფესვიანებელი, მრავალნიანი ძვირფასი მცენარეების ვეგეტაციურად გამრავლება და ზრდისა და ნაყოფმსხმიარობის რამდენიმე ნლით დაჩქარება; მექანიზუმების აღდ-

გენა; ცველი ენდემური ვაზის ჯიშების გამრავლება; ინფექციებისადმი მგრძნობიარე მაღალხარისხიანი ლიმონის (როგორიცაა, მაგალითად, „ახალქართული“ ჯიში) პლანტაციების აღდგენა; მაღალპროცესული თხილის პლანტაციების მოშენება; ფრინველთა და ცხოველთა ცოცხალი წონის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანად გაზრდა.

ბიოენერგოაქტივატორებს და მათი გამოყენებით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ახასიათებს მაღალი ანტიმუტაგენური, ანტიციტოტოქსიკური და ანტიზოგადტოქსიკური ეფექტი. ისინი ცნობილ აგროპრეპარატებთან შედარებით რამდენიმეჯერ ამცირებენ პესტიციდების, სასუქებისა და გარემოში არსებულ კანცეროგენურ ნივთიერებათა მიერ გამოწვეულ მუტაგენურ და ტოქსიკურ დარღვევებს, რითაც მკვეთრად აქვეითებენ ავთვისებიან სიმსიცნეთა განვითარების რისკს (შრომის, ჰიგიენისა და პროფესიალური დანართების ინსტიტუტის და ი. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის მონაცემები).

ამგარად, ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი და სხვ.), რომლებიც შექმნილია ხანგრძლივი ფუნდამენტური კვლევის შედეგად, მრავალპროფილიანი ახალი ბიოპრეპარატებია; ისინი იწვევს ცოცხალი ორგანიზმის სარეზერვო მექანიზმების მაქსიმალურად გააქტიურებას და პიტიერულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლინებას.

**რამაზ გაბრიელი,**  
პროფესორი, ჯავახიშვილის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი





## რჩილი ხორბლის ესრთული ჯიშები - მოსავლიანობა და გავრცელების უსაქლებლობები

საქართველო თაროვანის ხორბლის უძველესი კულტურის პირას და მოზღვის ყველა სხვა ძველის შორის გამოიჩინა ამ მცენარის დიდი სახორბრივი და პირობრივი მრავალფაროვებით. მთელი იმ პირობრივი სიმძიდიდან, რომელიც საქართველოში საუკუნეთა მაძიღზე შეიძნა, განსაკუთრებით პირზასია რჩილი ხორბლის საშომოზომოვარი, რომელიც ხასიათდებოდებოთ, მაღალხარისხის მიზანით და წოდებული იყო „დოლის პური“<sup>1</sup> სახელით. საქართველოში ეს ჯიშები ფართოდ იყო გავრცელებული. ესრთული ხორბლის დიდი მრავალფაროვება მათგველას, რომ ხალხური სელვებია ჩავთვი რდითგან გაღალ დონეზე იყო.

ქართული რბილი ხორბლის ფორმათა ფონდი შეიქმნა მათი მოყვანის განსხვავებულ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში. ამიტომ, მრავალფეროვნებაში ცნობილია საგაზაფხულო და საშემოდგომო, ცვენადი და არაცვენადი, მკვრივთავთავიანი და ფაშართავთავიანი, მსხვილმარცვლიანი და წვრილმარცვლიანი, ფქვილისებრი და რქისებური მარცვლის კონსისტენციის მქონე, ადრეული და საგვიანო, ზამთარგამძლე და არაგამძლე, გვალვაგამძლე და ტენის მოყვარული, სოკოვან და ვავადებათა მიმართ მდგრადი და სენმიმძლები, მაღალმოსავლიანი და მცირემოსავლიანი ჯიშები და ფორმები. საქართველოში რბილი ხორბლის ვერტიკალური ზღვარი გადის 200-2300 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ქართული ეკოტიპის ხორბლის ფორმებისათვის მნიშვნელოვანი თვისებებია: 1. მარცვალში ცილის და შეუცვლელი ამინომჟავების გადიდებული შედგენილობა; 2. დაფქვისა და პურცხობის მაღალი ხარისხი; 3. გამომცხვარი პურის ხანგრძლივად შენახვისუნარიანობა; სწორედ ეს ნიშნებია, რითაც ქართული ჯიშები გამოიჩევა და საინტერესოა მსოფლიოს სელექციონერებისათვის.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში ინტენსიურად შემოდის რბილი ხორბლის უცხოური ჯიშები. ეს ჯიშები ხასიათდებიან მაღალმოსავლიანობით, მაგრამ ხარისხობრივი მაჩვენებლებით მკვეთრად ჩამოუვარდება ადგილობრივ ჯიშებს. უხარისხო მოსავალს არ იბარებს წისქვილკომბინაცი და ფერმერებს უჭირთ მათი რეალიზაცია, ამით კი მცირდება ხორბლის მოყვანისადმი ინტერესი. ჩვენი დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შემოტანილი ჯიშების მაღალმოსავლიანობას განაპირობებს შემოტანილი თესლის ხარისხი. შემოტანილი ჯიშების ელიტური თესლი მაღალმოსავლიანია პირველ და მეორე წელს, შემდეგში კი მათი მოსავალი ისეთივეა, როგორც ადგილობრივი ჯიშების, რომლებიც მაღალხარისხიანია.

2014-2016 წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ბაზებზე: დედოფლისისწყაროს, თელავის, ხაშურის და ახალციხის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე შევისწავლეთ ქართული რბილი ხორბლის ჯიშების პოტენციური მოსავლიანობა, რომელიც შედარდა სტანდარტ ბეზოსტაა 1-ს და ინტროდუქცირებულ პერსპექტიულ

ავსტრიულ ჯიშებს: ამიკუს და გალუუს. ცდის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა ჯიშების მოსავლიანობის პოტენციალური შესაძლებლობა, დაგვედგინა კონკურენტუნარიანობა ინტროდუქცირებულ ჯიშებთან შედარებით და დაინტერესებულ ფერმერებს მიგანდოთ დაზუსტებული ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ.

**ახალციხის (მესხური) წითელი დოლის პური** მეურნეობა რბილი ხორბლის წითელთავთავიან სახეს-ხვაობას. გვხვდება ზღვის დონიდან 1500 მეტრ სიმაღლეზე. საკმაოდ ზამთარგამძლე, საგვიანო ჯიშება. ლერო საშუალოდ შეფოთლილი, მაღალ აგროფონზე და სარწყავ პირობებში ახასიათებს ჩანოლა. თავთავი საშუალო ზომისაა, თითოსტარისებრი ფორმისა და მომწიფებისას დახრილია. მარცვალი წითელი, წაგრძელებული რქისებრი კონსისტენციის. მარცვალი კილებში მჭიდროდ არის ჩამოდიდარი და არ ხასიათდება ცვენადობით. მარცვალში მაღალია ცილის შემცველობა (18,8%). ფქვილისაგან პურის ცხობის უნარი საშუალოზე მაღალია. ჯიშები დარეგისტრირებულია 1959 წლიდან და მაღალპროდუქტიულია გავრცელების (მესხეთ-ჯავახეთი) ზონაში.

**გარძა** განვითარების ტიპის მიხედვით ორთესელა (ფაკულტატური) ჯიშებია, საშუალო საადრეო. მცენარის სიმაღლე 80-85 სმ. თავთავი ფხიანი, წითელი, მოკლე, ნახევრად ქინძისთავისებრი, მკვრივი, თავთავის სიგრძე 8-9 სმ, ადვილად ილენება და არ ხასიათდება მარცვალის ცვენადობით. მარცვალი ნახევრადოვალური, მრგვალი. თავთავის მარცვლების

რაოდენობაა 60-72. გამოიჩინება სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლეობით. ჯიში დარეგისტრირებულია 1994 წლიდან და გავრცელებულია შიდა ქართლის კერძო ფერმერულ მეურნეობებში.

**საული 9** განვითარების ტიპის მიხედვით სააღრეო ჯიშია. ბუქე ნახევრადგართხმული, მცენარე სწორმდგომი 95-100 სმ სიმაღლის. ხასიათდება ზამთარ და გვალვაგამძლეობის მაღალუნარიანობით. თავთავი თეთრი, ფხიანი, თითისტარისებრი, მეჩერი, სიგრძით 12-13 სმ. თავთავში 55-60 მარცვალით, კარგად ილენება. მარცვალი წითელი, მარცვალში წებოვგარს შემცველობა 25,0%-ია, ხოლო ცილის – 11%. გასავრცელებლად საქართველოში ჯიში დარეგისტრირებულია 2011 წლიდან.

**მცენარის სიმაღლე.** ინტენსიური ტიპის ჯიშებისადმი მკაცრი მოთხოვნაა მექანიზებული აღებისადმი ვარგისიანობა. ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია მცენარის სიმაღლე. მართალია იგი განპირობებულია ძირითადად მემკვიდრულობით, მაგრამ ხშირად მაღალი აგროფონის შემთხვევაშიც შესაძლებელია მცენარის ზრდა-განვითარება ისე მოხდეს, რომ ნათესი ჩანვეს. ამიტომ, სელექციონერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, როგორც მცენარის სიმაღლეს, ასევე ჩანოლისადმი გამძლეობას. ამ მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენს მიერ შესწავლილ ჯიშები ყველა აკმაყოფილებს მოთხოვნას, გარდა ახალციხის წითელი დოლისა. ამ ჯიშის მაღალმოზარდობა (126.1-139.4 სმ) მემკვიდრულია და მისი თავიდან აცილება შესაძლებელია, მხოლოდ ზრდის რეგულატორების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ახალციხის წითელი დოლი გამოიჩინება იმით, რომ არ ახასიათებს სრული ჩანოლა, არ უარესდება მარცვლის ხარისხი, არ ახასიათებს მარცვლის ცვენადობა და თავთავში მარცვლის გაღივება.

**ერთი თავთავის მარცვლის და 1000 მარცვლის მასა.** ხორბლის ეს ორი ნიშანი განსაზღვრავს, როგორც პროდუქტიულობას, ასევე ხარისხს. გარდა ამისა ისინი კოლერაციაში იმყოფიან სხვა ნიშნებთან. მაღალი ბარტყობა ხშირად იწვევს თავთავში მარცვლების რიცხვის შემცირებას და შესაბამისად ერთი თავთავის მა-

სის კლებასაც. ამიტომ ამ ნიშნებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სელექციის დროს. ცდის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი ჯიში ვარძია ერთი თავთავის მარცვლის მასით (1.9გ-2.9გ) არ ჩამოუვარდება არც სტანდარტ ბეზოსტაია 1-ს (1.7გ-2.4გ) და არც ინტროდუქცირებულ ჯიშებს (2.1გ-2.3გ და 2.0გ-2.9გ). ახალციხის წითელი დოლი კი გაზრდილი ბარტყობის გამო მკვეთრად ჩამორჩება თავთავში მარცვლების რიცხვითაც და ერთი თავთავის მასითაც (1.5გ-1.7გ). 1000 მარცვლის მასით ვარძია ისეთივე მაჩვენებელი აქვს, როგორც შემოტანილ ჯიშებს და მცირედ ჩამორჩება სტანდარტს.

**მოსავლიანობა.** ყველა მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადგილობრივი და შემოტანილ ჯიშები კონკურენტუნარიანები არიან მაღალი მოსავლის მისაღებად, მოსავლიანობაში შედეგები (50 თავთავის და 182-ზე 600 ღეროს მოსავალი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ახალციხის წითელი დოლის, სტანდარტის და შემოტანილ ჯიშების შესაძლებლობები თითქმის ერთნაირია (ცხრილი 1).

ვარძიის მაჩვენებლებია: ყველაზე მაღალი მოსავალი ახალციხე (7.1ტ) და ყველაზე დაბალი თელავში (4.4ტ); შემოტანილი ჯიშებიდან მაქსიმალური მოსავალი მოგვცა ამიკუსმა დედოფლის სწყაროში (8.1ტ);

ჩვენს მიერ შერჩეული ჯიშების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ ადგილობრივი ჯიში ვარძია ფაქტიური მოსავლიანობით თითქმის უთანაბრდება საულ 9-ს და აღმატება ბეზოსტატია 1-ს და ჩამორჩება შემოტანილ ჯიშებს. ახალციხის წითელი დოლი საგრძნობლად ჩამორჩება ფაქტიური მოსავლიანობით სტანდარტსაც და ინტროდუქცირებულ ჯიშებსაც. საინტერესოა პოტენციური მოსავლიანობის შედეგები (50 თავთავის და 182-ზე 600 ღეროს მოსავალი). ამ მაჩვენებლის მიხედვით ახალციხის წითელი დოლის, სტანდარტის და შემოტანილ ჯიშების შესაძლებლობები თითქმის ერთნაირია (ცხრილი 1).

#### ცხრილი 1 ადგილობრივი და ინტროდუქცირებული ჯიშების პოტენციური მოსავლიანობა

№	ჯიში	დერთა თაოდებული 1 მ²-ზე	მოსავალი 1 მ²-ზე, გრამი	50 თავთავის მარცვლის მასა, გრ.	მოსავალი, ტ/ჸ	პოტენციალური
1	ვარძია	461	574.4	117.8	5.7	14.0
2	ახალციხის (მესხური) წითელი დოლი	490	412.4	100.7	4.1	12.1
3	საული 9	459	588.0	101.3	5.9	12.2
4	ბეზოსტატია 1	515	541.0	94.8	5.4	11.4
5	ამიკუს	572	706.7	101.0	7.1	12.0
6	გალლუს	477	600.3	107.0	6.0	12.8

ბის ანალიზი კი აშკარად გვიჩვენებს ცალკეული ჯიშების მკვეთრად განსავებულ შესაძლებლობებს რეგიონების და კლიმატური პირობების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ სტანდარტი ბეზოსტატია 1 და გავრცელებული ჯიში საული 9 გამოიჩინება სტაბილური მოსავლიანობით. მათი მოსავლიანობა რეგიონების მიხედვით თითქმის არ იცვლება და მოსავლიანობის სხვაობა მერყეობს 0.5-0.6 ტონის ფარგლებში. ეს მაჩვენებელი შესაბამისად ჯიშებში ასეთია: ვარძია 2,7 ტონა; ახალციხის წითელი დოლი 2.2 ტონა; ამიკუს 2.2 ტონა და გალლუს 1.8 ტონა. როგორც მოსავლიდნელი იყო ახალციხის წითელმა დოლმა ყველაზე მაღალი მოსავალი მოგვცა ახალციხეში (5.5ტ), ყველაზე დაბალი საშურში (3.3ტ); შესაბამისად და შესაბამისად ერთი თავთავის მა-

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ახალციხის წითელი დოლის აქვს შესაძლებლობა მოვლა-მოყვანის ოპტიმალურ პირობებში მოგვცეს მაღალი და მყარი მოსავალი.

2014-2016 წლებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა:

საქართველოს რბილი ხორბლის აღმოჩენებული ჯიში ახალციხის (მესხური) წითელი დოლი და სელექციური ჯიში ვარძია ხასიათდება მაღალი სამეურნეო და ბიოლოგიური მაჩვენებლებით, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალი, ხარისხი და მყარი მოსავალი. ინტროდუქცირებული ჯიშები მართალია მოგვცა აღმატებიან ადგილობრივ ჯიშებს, მაგრამ ხარისხი მობრივი მაჩვენებლებით აღმატებიან, რომ უპირატესად ჩამორჩება ფაქტიური მოსავალი მოგვცა ახალციხეში (5.5ტ), ყველაზე დაბალი საშურში (3.3ტ); შესაბამისად მაჩვენებლების შედეგების შესაბამისად გამოიჩინება მარცვლის მასით (1.9გ-2.9გ) არ ჩამორჩება სტანდარტს.



მიგვაჩნია ადგილობრივი ჯიშების  
გავრცელება;

ადგილობრივი ჯიშები გამოირჩე-  
ვიან უფრო სტაბილური მოსავლია-  
ნობით, ვიდრე შემოტანილი ჯიშები;

ახალციხის (მესხური) წითელი დო-  
ლი მაღალი მოსავლიანობით ხასიათ-

დება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (5.5ტ/ჰა), საშუალო მოსავლიანობით დედოფლისწყაროში (4.1ტ/ჰა) და დაბალმოსავლიანობით ხამურსა (3.3ტ/ჰა) და თელავში (3.4ტ/ჰა);

ჯიში ვარძია მაღალმოსავლიანო-  
ბით ხასიათდება სამცხე-ჯავახეთის

ଓଡାଇବାଣୀ ଟାଙ୍କା

# მიწის საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში

## 1. მიწა, როგორც განსაკუთრებული საუნდები და ეროვნული სამკვიდრო

გიორგი მერჩულებ ჯერ კიდევ მე-10  
საუკუნეში ბრძანა: „ქართლად ფრიადი  
ქუეყანაი ალირაცხების, რომელსა შინა  
ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და  
ლოცვაი ყოველი ადესრულების.“ ეს  
დეფინიცია საქართველოს ტერიტო-  
რიულ, ენობრივ და სარჩმუნობრივ  
იდენტობას გამოხატავს.

იდენტობის და მადგენ ამ ტრიადაში უწინარესი ქვე-ყანაა, ტერიტორიული იდენტობაა. ქვე-ყანა ქართულად სწორედ მინას აღნიშნავს. „ფრიადი ქუეყანაი“ – მინათა ერთობლიობა და ერთიანი მთლიანობაა; ანუ ტერიტორიული იდენტობაა ეროვნული თვითცნობიერების და შესაბამისად, სახელმწიფო პრიობის ნიადაგი.

ქართული ცივილიზაცია გეორგია-ნულია. საქართველოს ეს საერთაშორისო სახელდება მიწათმოქმედების-გან მოღის. მიწათმოქმედი, „პურისა და ღვინის მომყვანი“ ხალხისთვის საკუთარი ეროვნული იდენტობის სრულად გაცნობიერება უნინარესად მიწათ-მფლობელობისა და მიწათ-სარაებობის მოწინაშენებას

უკავშირდება. „ფრიადი ქუეყანა“ ეს ის ტერიტორია, სადაც მიწათ-  
მფლობელობისა და მიწათ-სარგებ-  
ლობის საერთო ქართული ადათი და  
წეს-რიგია დამკვიდრებული.

მიწა-მფლობელობის მონესრი-  
გებულობიდან წარმოდგებოდა არა  
მხოლოდ იმდროინდელი თაობების,  
არამედ მათ წინაპართა და შთამომა-  
ვალთა ერთიანი იღენტობა, უწყვეტი  
მემკვიდრეობითობა, წარსულის, ან-  
მყოსა და მომავლის ურლვევი კავში-  
რი. ეს სწორედ იმას ნიშნავდა, რომ  
საუკუნეებისა და ათასწლეულების  
განმავლობაში „ფრიადი ქუეყანაცა“  
და ამ ქუეყნის ყოველი სოფელიც ქარ-  
თველებს სამუდამოდ ჰქონდათ დამკ-  
ვიდრებული!

მინის საკითხების ქართული წესით  
მოწესრიგებულობა აუცილებელი  
წინაპირობა იყო, რომ ბედი ამა ქვეყ-  
ნისა, მიუხედავად ათასგვარი ქამთა  
სიავისა, არავითარ შემთხვევაში სას-  
წორზე არ იქნებოდა შეგდებული!

დიდმა ილიამ ახალ ეპოქაში თავი-  
დან, როგორც სამოქმედო დევიზი,  
გაიმეორა საქართველოს რაობის გან-  
მსაზღვრული გიორგი მერჩულევან-

რეგიონში (7.1ტ/ჰა), საშუალო მო-  
სავლიანობით დედოფლისწყაროსა  
(6.7ტ/ჰა) და ხაშურში (5.7ტ/ჰა) და  
დაბალმისავლიანობით თელავში  
(4.4ტ/ჰა);

ჩვენს მიერ მიღებული მონაცემებ-  
ბის საფუძველზე შეგვიძლია კახეთის  
(დედოფლისის წყარო), მესხეთ-ჯავა-  
ხეთის (ახალციხე) და ქართლის (ხა-  
შური) რეგიონებს ვურჩიოთ მაღალი  
და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად  
გამოიყენონ ადგილობრივი ჯიშები  
ახალციხის (მესხური) წითელი დო-  
ლის პური და ვარძია.

ଓଡ଼ିଆ ଶାଖାରେ ଜୀବନ୍ମତ୍ତୁ,  
ପରିବହନ କରିବାକୁ  
ଦୂରନ୍ତରେ ନିର୍ମାଣ କରିବାକୁ,  
ବ୍ୟାପକ ଅନୁଭବ କରିବାକୁ  
ଏହାର ପରିବହନ କରିବାକୁ,



ଲ୍ଲି ଫୁରୋମର୍ମୁଲା : „ମାମୁଲୀ, ଏନା, ସାରନ୍ଦମ୍ବ-  
ନେଇବା !“ ଅଥ ତ୍ରିରୀଦାଶି ଇଗିରେ ଶୁଭବ୍ୟାଳୀ  
ତାନ୍ମିଦିଷ୍ଟେଵରକଣଙ୍କା ଶେରାରଖୁବ୍ରେଦ୍ୟାଲୀ;  
ପ୍ରାଚୀ ଲେଖକ, ରାଜଗୋପ ଗାନ୍ଧାରାଙ୍ଗି ମେହରିଜୁ-  
ଲ୍ଲାଗି – „ଫୁରୀଦାଦି କୁହୁ-ପ୍ରାଚୀବା“, ଲୋଇାମାତ୍ର  
ଏନାସା ଦା ସାରନ୍ଦମ୍ବନେଇବାସତାନ ଉରତାଦ,  
ଶୁଣିନାର୍କୁସ ସାମ୍ବନ୍ଧରେ ଦେଖିବାରେ ମାମୁ-  
ଲ୍ଲି – ମାମା-କାହାତଙ୍ଗାନ କାହାକୁରନ୍ଦନ୍ଦ ଦା  
ମର୍ମାଵଲ୍ଲେଖାଦ ଦାନାତିର୍ପାରି ମିନ୍ଦା ଦାବା-  
କାହାଗାଁ.

აშეკარაა, რომ ქართული ტრადი-  
ციით მინა ნებისმიერი სხვა მატერი-  
ალური სიკეთისაგან გამორჩეული  
განსაკუთრებული ღირებულებაა.  
მეტიც: ცივილიზაციის, განსაკუთრე-  
ბით – გეორგიანული ცივილიზაციის  
მაკონსტიტუირებული მარადიული  
ღირებულება. ამდენად, როგორ არის  
დაცული ეს ღირებულება, უნინა-  
რესად დაცული სამართლის მიერ,  
არსებითად ქვეყნისა და სახელმწი-  
ფოს ბედის განმსაზღვრელია! (უფრო  
დანვრილებით იხ. პაატა კოლუაშვი-  
ლი. დავით ზარდიაშვილი „მინა, ანუ,

ბეჭდი ამა ქვეყნისა” <http://iverioni.com.ge/15969-mitsa-anu-bedi-ama-qveynisa.html>)

## 2. არსებული მიზანი ვითარება: მიზის საკითხის მოძრავი კონსტიტუციის მიზანი და ფონგა

დღეს მოქმედი კონსტიტუციის ტექსტში საერთოდ არ არის არავითარი ჩანაწერი მინის თაობაზე, გარდა კონსტიტუციის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, რომლის ძალითაც „მინის, წიალისეულის და ბუნებრივი რესურსების შესახებ კანონმდებლობა“ „მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება“. თავისთავად მართლზომიერი ეს ჩანაწერი აშკარად უქმარია, რადგან მინის, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯისა და ყოველთა ქართველთა სამკიდროს, მიმართ კონსტიტუციის და საერთოდ, ქართულ სამართალს გეორგიანულ ცივილიზაციის ქვეყანაში გამორჩეული, განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნდა და მარად უნდა გააჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის პრეამბულა ხაზგასმით მოიხსენიებს „ქართველი ერის მრავალსაუნივერსანი სახელმწიფო პრინციპებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას“, როგორც კონსტიტუციის დასაყრდენს, ერთ-ერთი ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი – მინის საკითხი კონსტიტუციით საერთოდ არ წესრიგდება. ამ სასიცოცხლო საკითხის კონსტიტუციის მიღმა დატოვება ეჭვს ქვეშ აყენებს ზოგადად ქართულ სამართლებრივ ტრადიციასაც, კონკრეტულად – 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობასაც, ვინაიდან ტრადიციულ ქართულ სამართლიც და 1921 წლის კონსტიტუციაშიც მინასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ჯეროვანი ყურადღება ყოველთვის ეთმობლივად.

## 3. 1921 წლის საძართველოს კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ განვითარებაშისთვის გენერაციული გაუთავებელი განვითარება

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მინის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მინის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“. სამწუხაროდ, ეს პრინციპი – მინაზე საკუთრების საზოგადოებრივად დამავალდებულებელი ხასიათი, დღეს მოქმედ კონსტიტუციის მიზანია დაკარგულია; მოქმედი კონსტიტუციის მიზანის გამოყენება და გამოყენების მიზანის გამოყენება, თუკი ამ წივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით წივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში. “ამრიგად, თუკი საკანონმდებლო აქტით არ არის დაწესებული, პირს საზოგადო სიკეთისათვის საკუთრებაში არსებული წივთის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა არც ეცავლება.“

ითა და სამართლით მინა არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ღირებულებას, გამორჩეული საჯარო ინტერესისა და ზრუნვის საგანს; იგი არაფრით გამოირჩევა სხვა, რომელიც გნებავთ, ნებისმიერი წივთისა და „სახმარი“, ორდინარული მატერიალური სიკეთისაგან, რაც უდავოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეროვნული ინტერესებისათვის და როგორც ქართულ სამართლებრივ ტრადიციას, ასევე გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასაც ძირშივე ეწინააღმდეგება.

## 4. საკუთრების უფლების საზოგადოების წინაში ვალდებულებით შეზღუდვავობა საძართველოს მოძრავი კონსტიტუციის მიზანი

საზოგადასმელია ის გარემოებაც, რომ მოქმედი კონსტიტუციის 21-ე მუხლი ზოგადად საკუთრებას და შესაბამისად – მინის საკუთრებასაც (ვინაიდან მინა, როგორც აღვიშნეთ, ჩვენდა სავალალოდ, მოქმედ კონსტიტუციასა და სამართალში არაფრით გამორჩეული წივთია!) განიხილავს მხოლოდ უფლებად და ამ უფლების საზოგადოებრივად დამავალდებულებელ ხასიათს ერთი სიტყვითაც არსად მიუთითებს, მაშასადამე, არც ცნობს; ამგვარი ულტრა-ლიბერალური დამკიდებულების გამო, მესაკუთრე საზოგადოების წინაშე ყოველგვარი პოზიტიური ვალდებულებისაგან სრულიად თავისუფალია და უარესიც: მას შეუძლია უპატრონოდ მიატოვოს საკუთარი ქონება და თუნდაც მხოლოდ ამ გზით სახელმწიფო და საზოგადო ინტერესებს საზიანდაც კი მამართოს საკუთრების უფლება; (სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის მე-3 წანილით „სარგებლობის უფლება მოიცავს ასევე შესაძლებლობას, არ ისარგებლოს პირმა თავისი წივთით. კანონით შეიძლება დაწესდეს სარგებლობის ან მოვლისა და შენახ-

ვის ვალდებულება, თუკი ამ წივთის გამოუყენებლობა ან მოუვლელობა ხელყოფს საზოგადო ინტერესებს. ამ შემთხვევაში მესაკუთრეს შეიძლება ან თვითონ დაეკისროს ვალდებულების შესრულება, ან შესაბამისი სასყიდლით წივთის გადაცემა სხვა პირის სარგებლობაში. “ამრიგად, თუკი საკანონმდებლო აქტით არ არის დაწესებული, პირს საზოგადო სიკეთისათვის საკუთრებაში არსებული წივთის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა არც ეცავლება.“

არსებითად არაფერს ცვლის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი („აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასასვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი“), ვინაიდან ეს ჩანაწერი მესაკუთრეს იმთავითვე საზოგადოების წინაშე რაიმე პოზიტიური ვალდებულებებით კი არ ბოჭავს, არამედ, მხოლოდ და მხოლოდ კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ, განსაზღვრულ შემთხვევებში საზოგადოებას უტოვებს უფლებას კერძო საკუთრება ისე შეზღუდოს, რომ „საკუთრების უფლების არსი“, ე.ი. ამ შემთხვევაში – მესაკუთრის საზოგადო ვალდებულებებისგან თავისუფლება არ დაირღვეს; საკუთრების ამგვარი თავისუფლება გამყარებულია სამოქალაქო სამართლითაც. სკ-ის 170-ე მუხლის მიხედვით (იხ. ამ მუხლის 1-ელი წანილი): „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმერ ან სხვაგარ, კერძოდ, სახელშეკრულები შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (წივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება





არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.“ სკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილით „უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა, და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.“ როგორც ვხედავთ, სამოქალაქო სამართლითაც, ისევე როგორც ეს კონსტიტუციაშია, მესაკუთრე სრულიად თავისუფალია და საკუთრების უფლება იმთავითვე არსებული არა რამებ პოზიტური საზოგადოებრივი ვალდებულებით, არამედ მხოლოდ ნეგატიურად იზღუდება (რადგან აკრძალულია საკუთრების ბოროტად გამოყენება);

ამრიგად, აშკარაა, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლი და შესაბამისად, სამოქალაქო სამართლით საკუთრების უფლებას აშკარად უფრო წინ აყენებს, ვიდრე საჯარო და სახელმწიფო ინტერესებს და მესაკუთრეს არაფრით ავალდებულებს ჯეროვნად, საზოგადოებისათვის სასიკეთოდ, საჯარო ინტერესის შესაბამისად უპატრონოს და გამოიყენოს ქონება; განსაკუთრებით, თუკი ეს ქონება, მიუხედავად საკუთრების ფორმისა, საერთო ეროვნულ საუნჯეს, ქართველი ხალხის სამკვიდროს – მინას წარმოადგენს!

##### 5. არსებული საერთაშორისო პრატიკა. საკუთრების უფლების შეზღუდვა საზოგადოების წინაშე პოზიტური ვალდებულებებით გერგანის კონსტიტუციის მაგალითზე

არსებული საერთაშორისო საკონსტიტუციო პრატიკა საკუთრების მეტყველებს: ზოგადად საკუთრების და კონკრეტულად – მინის საკუთრების მიმართ, იმგვარი ულტრა-ლიბერალური დამოკიდებულება, რაც საქართველოს კონსტიტუციაშია, უნიკალურია და ევროპის ქვეყნების

„უახლესი ტალლის“ (ე.ი. სსრკ-ს დაშლის შემდგომ) მიღებულ არც ერთ კონსტიტუციაში ფაქტობრივად არსად გვხვდება.

იმ ევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მინის საკუთრების საკითხს არა ცალკე, არამედ ზოგადად – საკუთრების უფლების საერთო კონტექსტში ანესრიგებს (მაგ. ჩეხეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. კონსტიტუციები), აუცილებლად ხაზს უსავამს საკუთრების, როგორც არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ამ უფლებასთან იმთავითვე განუყოფლად დაკავშირებულ, საზოგადოების წინაშე ვალდებულებით ხასიათს. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა გერმანიის კონსტიტუცია (მიღებულია 1949 წელს, არსებითი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1994 წელს), რომლის მე-14 სტატიის 1-ელი პუნქტი აღიარებს რა საკუთრების უფლებას და განსაზღვრავს, რომ მისი წინაარსი და ფარგლები კანონით დგინდება, იქვე, მე-2 პუნქტი ხაზგასმით მიუთითებს ამ უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებისგან განუყოფლობას:

„საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს.“

ამგვარი შინაარსის ჩანაწერი, სხვადასხვა ფორმულირებებით დამასახიათებელია თითქმის ყველა „უახლოესი ტალლის“ ევროპული კონსტიტუციისათვის.

##### 6. არსებული საერთაშორისო პრატიკა: მიზან, როგორც განსაკუთრებული საზოგადოები და აპსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოების გადაცევების მაგალითზე

გერმანიის კონსტიტუციიაში მინის და მისი წინალის გასაჯაროებაზეც არის საუბარი (იხ. მე-15 სტატია), თუმცა კონსტიტუციის ტექსტში მინის, რო-

გორც განსაკუთრებული ლირებულების შესახებ, პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE 21, 37 [82]) განმარტა: იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მინა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დამობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მინის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე, სხვა ქონებრივი სიკეთების შემთხვევაში“.

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE 21, 73), მოსარჩევის მოსაზრება რომ სასოფლო-სამეურნეო მინის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა კაპიტალის შემთხვევაშია, არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ ის გარემოება, რომ მინა შეუცვლელად და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დამობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობადან და არც მინა სოციალური მნიშვნელობადან გამომდინარე, არ შეიძლება მინა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივი სიკეთებსა და ლირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიწნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

ასევე, ალსანიშნავი უცხოელის მიერ უძრავის ქონების შეძენის შესახებ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც (Laendesgesetzgebungsgesetz ბეჭდატეტი N. 88/1994): „სასოფლო-სამეურნეო მინის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი, რადგან, მინა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა.“

##### 7. არსებული საერთაშორისო პრატიკა: უცხოელებზე მიზან გაზიდვა შეზღუდვა ლიტვის კონსტიტუციის მაგალითზე

ზოგიერთი ევროპული კონსტიტუცია პირდაპირ ზღუდავს უცხოელებზე მინის გასხვისებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკის, დღეს ევროკავშირის წევრი

სახელმწიფოს – ლიტვის კონსტიტუციის 47-ე სტატიის ჩანაწერს:

#### სტატია 47

მინა, შიდა წყლები. ტყეები, პარკები საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთხნოდეთ მხოლოდ ლიტვის მოქალაქებს და სახელმწიფოს. თვითმმართველობებს, სხვა ეროვნულ სუბიექტებს, აგრეთვე ლიტვაში სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელ სუბიექტებს, ლიტვის რესპუბლიკის მიერ არჩეული ევროპული და ტრანსატლანტიკური ინტეგრაციის შესაბამისად და კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება ნება დაერთოთ შეიძინონ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთები, რომლებიც აუცილებელია უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის. ასეთი ნაკვეთების საკუთრებაში შექნის წესი, პირობები და შეზღუდვები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით. კანონით დადგენილი წესით მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეს უცხოელი სახელმწიფოს – მისი დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დასაფუძნებლად. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება მინის წიალი, აგრეთვე შიდა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე ლიტვის ტერიტორიის თავზე საპარო სივრცე, კონტინენტური შელფი და ბალტის ზღვის ეკონომიკური ზონა.“

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდვას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მინის შემთხვევაში – საერთოდაც კრძალავს უცხოელ სუბიექტებზე მინის გასხვისებას.

#### 8. რა უნდა გაკეთდეს?

უნინარეს ყოვლისა, საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მინა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ და ქართველი სალხის სამკვიდროდ;

იმავდროულად, მოქმედ კონსტიტუციაში მოცემული ულტრა-ლიბერალური დამოკიდებულება ზოგადად

საკუთრების, განსაკუთრებით კი მინის საკუთრების მიმართ უნდა შეიცვალოს და გონივრულად ლიბერალური გახდეს; ეს ნიშნავს, რომ საკუთრების ხელშეუვალობის კონსტიტუციურ გარანტიასთან ერთად 21-ე მუხლში აუცილებლად უნდა გაჩნდეს ჩანაწერი საკუთრების, როგორც იმთავითვე საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებით შეზღუდული უფლების, თაობაზე.

რასაკვირველია, მესაკუთრე თავისუფლად ახორციელებს საკუთარ უფლებას ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთარ ქონებას, მაგრამ ულტრა-ლიბერალური მიღებომისან განსხვავებით, „თავისუფლება“ გააზრებული უნდა იქნეს მისი არა ნეგატიური (ე.ო. „თავისუფლება რაიმესან“, მათ შორის, ამ შემთხვევაში – საზოგადოებრივი ვალდებულებებისგანაც, როგორც დღეს გვაქვა მოქმედ კონსტიტუციასა და კერძო სამართალშიც), არამედ პოზიტიური მნიშვნელობით (ე.ო. „თავისუფლება რაიმესათვის“, ამ შემთხვევაში, როგორც ეს, მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციაშია – მესაკუთრის უფლება და მისი თავისუფლება „იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს“).

საკუთრების ამგარი, ე.ო. თავისუფლების პოზიტიური შინაარსის გააზრებიდან გამომდინარე გაგება, თავისთავად გულისხმობს, რომ ეს უფლება არა მხოლოდ ნეგატიური თვალსაზრისით იზღუდება (ე.ო. იკრძალება მისი ბოროტად გამოყენება, როგორც დღესაც არის ჩვენს კერძო სამართალში), არამედ პოზიტიურადაც – მესაკუთრე იმთავითვე, ე.ო. უფლების შექნისთანავე ვალდებული ხდება ამ უფლების განხორციელებისას არა მხოლოდ კერძო, არამედ იმავდროულად საზოგადოებრივ სიკეთეს ემსახუროს.

ეს ფუნდამენტური პრინციპი, პირველ ყოვლისა, მინის საკუთრების მიმართ უნდა იქნეს გავრცელებული და ამგვარად, დღევანდებული კონს-

ტიტუციით უნდა აღდგეს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივი მემკვიდრეობა, კერძოდ – მისი 116-ე მუხლის ის პრინციპი, რომ მინის საკუთრება იმთავითვე გულისხმობს მესაკუთრის პოზიტიურ ვალდებულებას, ჯეროვნად უპატრონოს და დამუშაოს მინა.

ბუნებრივია, თუ კონსტიტუციის ახალი რედაქცია საკუთრების უფლებას ამგვარ ვალდებულებას განუყოფლად დაუკავშირებს, მაშინ ლოგიკურად გამომდინარებს მინის საკუთრების შექნის შეზღუდვაც. მართლაც: ვინაიდან მინაზე, რომელიც განსაკუთრებული ეროვნული საუნჯე და ქართველი ხალხის სამკვიდროა, საკუთრება იმთავითვე განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ ვალდებულებასაც გულისხმობს, მაშასადამე – მინის საკუთრების შემძენმა ნებისმიერმა პირმა შექნისას უნდა დაასაბუთოს (ტექნიკურად ყველაზე მარტივია, თუკი იგი წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, როგორც ეს, მაგ. ლიტვის კონსტიტუციაშია), რომ მას ხელეწიფება ამგვარ ვალდებულებათა ტვირთის ზიდვა.

ასევე ცხადია, რომ იმ სუბიექტებისაც საქართველოს სახელმწიფოსთან სამართლებრივი კავშირი არ გააჩნიათ (უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონები პირები ანდაც საქართველოს არარზიდენტი იურიდიული პირები) და თავისუფალნი არიან მოქალაქეების ვალდებულებათაგან, დასაბუთება უფრო მკაცრი კრიტერიუმებით უნდა მოითხოვბოდეს, როგორც ეს არის ცივილიზაციული ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში.

ბუნებრივია, კონსტიტუცია როგორც ზოგადად საკუთრების, ასევე კონკრეტულად მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის მხოლოდ ძირითად, ფუნდამენტურ პრინციპებს უნდა შეიცვალეს, ხოლო დაწვრილებით საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები კერძო სამართალმა, ხოლო მინის, როგორც კონსტიტუციის განსაკუთრება





ბული მნიშვნელობის საუნჯის, საკუთრების შემთხვევაში კი ორგანულ-მა კანონმა – მიწის კოდექსმა უნდა მოაწესრიგოს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კონსტიტუციის | თავს „ზოგადი დებულებები“, იმ მუხლებში, სადაც სუბარია სახელმწიფო ენა-სა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის განსაკუთრებულ სტატუსზე, უნდა დაემატოს მუხლი, რომელიც მიწას, მიუხედავად მასზე საკუთრების ფორმისა, ცნობს, როგორც განსაკუთრებულ ღირებულებას – ეროვნულ საუნჯესა და ქართველთა – წინაპარი, ანმყო და მომავალი თაობების სამუდამო სამკვიდროს (ამ მუხლის დამატება ენისა და ეკლესიის სტატუსების განმსაზღვრელ ნახსენებ მუხლებთან ერთად კონსტიტუციაში შეკრავს მარადიულ ქართულ ტრიადას – „მამული, ენა, სარწმუნობა“!).

ეს მუხლი შექმნის მიწის განსაკუთრებული დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს, დაადგენს მიწის საკუთრების ფორმებს – სახელმწიფო, მუნიციპალურ (საორმო) და კერძო საკუთრებას, განსაზღვრავს მიწის საკუთრების, როგორც უფლების, იმთავითვე საზოგადოებრივი მიწის ფორმების მიწას, მიწათმობების, კატეგორიების მიხედვით მიწის მასივთა და ლანდშაფტების მართვისა და დაცვის წესებსა და პირობებს ადგენს ორგანული კანონი „საქართველოს მიწის კოდექსი“.

ბის სამუდამო სამკვიდროს, რომელსაც იცავს ხალხი და სახელმწიფო.

2. მიწა შეიძლება იყოს სახელმწიფო, მუნიციპალურ (საორმო) და კერძო საკუთრებაში. მიწის ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში აგრეთვე მისი სათანადო დამუშავება შეადგენს მიწის მესაკუთრის ვალდებულებას ქართველი ხალხისა და ადგილობრივი თემის წინაშე.

3. მიწაზე უფლებების შექმნა ექვემდებარება სავალდებულო რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. მიწაზე უფლებების შექმნისა და დაკარგვის, უფლებების და ვალდებულებების რეგისტრაციის, მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და დაგეგმვის, მიწათმოწყვეტის, კატეგორიების მიხედვით მიწის მასივთა და ლანდშაფტების მართვისა და დაცვის წესებსა და პირობებს ადგენს ორგანული კანონი „საქართველოს მიწის კოდექსი“.

4. მიწის საკუთრების ყოველი შემქნი იმთავითვე თავს იდებს ვალდებულებას, რომ მის მიერ საკუთრების უფლების განხორციელება გარდა კერძო მიზნებისა, იმავდროულად საზოგადო კეთილდღეობას მოემსახურება, ხოლო მიწა, როგორც ეროვნული საუნჯე, დაცული იქნება არა-ჯეროვანი მოვლა-პატრონობის, პოროგად გამოყენების, დაზიანებისა ან მოცდენისაგან. ამ ვალდებულებიდან გამომდინარე, შემქნ პირს მოეთხოვება ორგანული კანონით – „საქართველოს მიწის კოდექსით“ დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილება. იმ სუბიექტების მიმართ, რომელებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები ან საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირები, შეიძლება ორგანული კანონით ცალკე კრიტერიუმები დანესდეს. უცხოელზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვა დასაშევებია მხოლოდ „საქართველოს მიწის კოდექსით“ განსაზღვრულ ცალკეულ საგამონაკლისო შემთხვე-

ვებში, თუ აშკარაა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საზოგადო სარგებელი (სასიცოცხლო სტრატეგიული საჭიროება) და არსებობს ადგილობრივი თემის წინასწარი თანხმობა.“

რაც შეეხება კონსტიტუციის 21-ე მუხლს, იგი შესაძლოა შემდეგი რეაქციით ჩამოყალიბდეს:

## მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების უფლების შინაარსი და ფარგლები კანონით განისაზღვრება. მიწის საკუთრების შექმნისას გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კონსტიტუციის მე-71 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი პირობები.

2. საკუთრების უფლება მესაკუთრეს იმავდროულად ავალდებულებს: მის მიერ საკუთარი ქონების თავისუფლად ფლობა და სარგებლობა გარდა კერძო სიკეთისა, იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადო სიკეთის მიღწევის მიზანს. ქონების განკარგვა ამ მიზანს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. დაუშვებელია საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება.

3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა და-საშვებია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი. მიწის საკუთრების შეზღუდვა დასაშვებია ორგანული კანონით – „საქართველოს მიწის კოდექსით“ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

4. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან.“

**დავთ ზარდაშვილი,  
ექსპერტი მუნიციპალურ  
სამართლები;**

**პაპთ მუდაშვილი,  
საქართველოს ს/მ მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი;**

**ანზურ განიზონილი,  
სერთიფირებული ექსპერტი  
მიწათსარგებლობაში**

# საქართველოში დარაიონებული ქარის ჯიშების დახასიათება

## საშემოდგომო ქარის ჯიშები

**ყაზბეგი-1.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მუტაგენეზის მეთოდით, ქერის ადგილობრივი ჯიშიდან ძევლთესლიდან. მცენარის სიმაღლე 80-98 სმ. ხასიათდება მოკლე და მტკიცე ღეროთი. ჩანოლის მიმართ გამძლეა, თავთავი ფხიანი, კომპაქტური, არის ადრეული სავეგეტაციო დღეთა რიცხვი 217). არის ზამთარ და გვალვაგამძლე. მარცვლის ჩაცვენა არ ახსიათებს. 1000 მარცვლის მასა 36,4 გრ. შეადგენს. არის მაღალმოსავლიანი. დედოფლის სარწყავის ჯიშთა გამოცდის პუნქტზე მან მოგვცა 58,7 ცენტნერი ჰა-ზე. რეკომენდებულია ქართლის სარწყავი ზონებისათვის.

**ძევლთესლი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ მასობრივი გამორჩევით. ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. არის ექვსმნერივიანი, თავთავი მოჩალისფრო ყვითელი, მარცვალი და კილული, ჩალისფერი ყვითელი, ოვალური ფორმის. 1000 მარცვლის მასა 40-50 გრ. არის ზამთარგამძლე, არ წვება, ახსიათებს ძლიერი პროდუქტიული ბარტყობა.

**პალიდუმ 30-1.** გამოყვანილია აზერბაიჯანის სასელექციო სადგურის მიერ. თავთავი ექვსმნერივიანი, ფხიანი, ჩალისფერი ყვითელი, საკმაოდ მკვრივი. ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. მარცვალი დიდი ზომისაა, 1000 მარცვლის მასა 36-40 გრ. ღერო საშუალო სიმაღლის, დაავადებების და მავნებლობის მიმართ შედარებით გამძლეა. რეკომენდებულია საქართველოს სარწყავი და შემაღლებული ზონებისათვის.

**ტრები.** გამოყვანილია ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავთავი მრავალმნერივიანია, ფხიანი, ჩალისებრ ყვითელი. ფხა გრძელი და უხეში, ძლიერ და კილული. ის ძნელად სცილდება თავთუნის. ეკუთვნის სახესხვაობა პალიდუმს. 1000 მარცვლის მასა 33-38 გრ.-ია. ღერო საშუალო სიმაღლისაა, არის საშუალო საადრეო, გვალვაგამძლე, არ წვება, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ არის იმუნური. რეკომენდებულია საქართველოს სარწყავი რაიონებისათვის.

**ზე-5.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში გამა დასხივებით. ჯიში ყაზბეგიდან. არის მრავალმნერივიანი, მიერთვნება სახესხვაობა ნუტანს. მცენარის სიმაღლე 100-110 სმ. 1000 მარცვლის მასა 40-43 გრ. თავთავი მოყვითალო ნარინჯისფერი, მკვრივი, მარცვალი ელიფსისებური ფორმის, სავეგეტაციო პერიოდი 201 დღე. არის დაავადებებისადმი და ჩანოლისადმი გამძლე. ითესება მხოლოდ შემოდგომაზე. მისი საშუალო საკეტარო მოსავალი 57 ცენტნერია.

## საგაზაფხულო ქარის ჯიშები

**ნუტანი 032-28.** გამოყვანილია ყოფილი მიწათმოქმედების ინსტიტუტის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. თავთავი ორმნერივიანი, ღია ყვითელი ფერის. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანს. ხასიათდება მაღალი და მტკიცე ღეროთი. 1000 მარცვლის მასა 39-44 გრ. საშუალო მოსავალი ჰა-ზე 24 ცენტნერს შეადგენს. დარაიონებულია საქართველოს როგორც სარწყავი, ასევე ურნწყავი ზონებისათვის.

**კოლხიკუმი 10-30.** გამოყვანილია ყოფილი მიწათმოქმედების ინსტიტუტის სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით რაჭის ქერებიდან. თავთავი ორმნერივიანი, ღია ყვითელი ფერის, ფხიანი, ფხა თავთავზე გრძელია, მარცვალი ყვითელი ელიფსისებური ფორმის, საშუალო ზომის. 1000 მარცვლის მასა 25-33 გრ. არის საგაზაფხულო, კარგად ბარტყობს, ღერო საშუალო სიმაღლის, გამძლეა დაავადებებისადმი, რეკომენდებულია საქართველოს ურნწყავი რაიონებისათვის.


**ჯავახეთის ახალთესლი.** არის ადგილობრივი ჯიში, გაუმჯობესებული მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ. ეკუთვნის სახესხვაობა ნუტანს. თავთავი ორმნერივიანია, ჩალისებრ ყვითელი. მთიანი ზონის ფორმა, ადრეული. გაზაფხულის წაყინვებისადმი გამძლეა, დაბალტანიანი და არ წვება. მთიან ზონაში მისი საკეტარო მოსავალი შეადგენს 21 ცენტნერს. 1000 მარცვლის მასა მაღალია და შეადგენს 45 გრ. დარაიონებულია საქართველოს მთიანი რაიონებისათვის.

## ქარის როთასელა ანუ ფაზულტატიური ჯიშები

**თეთრულდი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში ჩილედან მიღებული კოლექციის მასალიდან გამორჩევის მეთოდით. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს როგორც გაზაფხულზე, ასევე შემოდგომაზე. თავთავი ორრიგიანია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დაავადება-მავნებლებისადმი გამძლეობით. არ წვება. შემოდგომით თესვის დროს მისი პოტენციური მოსავალი 6-7 ტონაა ჰა-ზე. რეკომენდებულია შემოდგომის ნათესის 43 გრ. გაზაფხულის ნათესისა კი 44 გრ. მარცვალში ცილის შემცველობა 10,9-12,7%-ია. მცენარის საშუალო სიმაღლე 90-100 სმ. რეკომენდებულია ქერის მთესველი ყველა რაიონისათვის.

**ჯვარი.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში საფრანგეთიდან მიღებული კოლექციის მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ორთესელა, შეიძლება მოვიყვანოთ შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე თესვის პირობებში. არის ორრიგიანი, დაავადება-მავნებლების, ასევე ჩანოლის მიმართ გამძლე, მაღალპროდუქტიული, მისი პოტენციური მოსავალი ჰა-ზე საშუალოდ 4,5-7 ტონას შეადგენს. 1000 მარცვლის მასა 40-45 გრ. დარაიონებულია საქართველოს ქერის მთესველი ყველა რაიონისათვის.


**მცხეთა.** გამოყვანილია მიწათმოქმედების ინსტიტუტში მრავალჯერა-



და მასიური გამორჩევით კოლექციის ნიმუშებიდან. არის ბიოლოგიურად ორთესელა, შეიძლება დაითესოს როგორც გაზაფხულზე, ასევე შე-მოდგომაზე. თავთავი ორრიგიანია, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და დაავადება-მავნებლებისადმი გამძლეობით. არ წევბა. შემოდგო-მაზე თესვის დროს მისი საშუალო მოსავალი 4,5 ტონაა ჰექტარზე. 1000 მარცვლის მასა შეადგენს 44 გრამს. ბარტყობა 2,4, მცენარის სიმაღლე 90-100 სმ. თავთავ სწორი, ჩალისფე-რი-მოყვითალო, სიგრძით 10 სმ. გა-მოიყენება ლუდისნარმოებაში. მარ-ცვალში ცილის შემცველობა 10,5%-ია. ექვემდებარება მექანიზებულ აღებას. მისი გავრცელების არეალია ქერის მთესველი ყველა რაიონი.

**მცხეთა-2.** გამოყვანილია ყოფი-ლი მიწათმოქმედების ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურში უკ-რაინიდან მიღებული კოლექციიდან

მრავალჯერადი ინდივიდუალური გამორჩევის მეთოდით. არის ფაქულ-ტატიური ბუნების, ითესება როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე. თავთავი ორრიგიანია, არის მაღალ-მოსავლიანი, მისი პოტენციური



მოსავალი შეადგენს შემოდგომით თესვისას 6-6,5 ტონას და გაზაფხულზე თესვისას 4-4,5 ტონას საშუალოდ ჰა-ზე. მცენარის საშუალო სიმაღლე 95-100 სმ. მცენარე გამძლეა რო-გორც დაავადება-მავნებლების, ასე-ვე ჩანალის მიმართ. ის დარაიონებუ-

ლია საქართველოს ქერის მთესველი ყველა რაიონისათვის.

**P.S. სტატიის პირველ ნაწილს „ქერი - სელექცია და მოვლა-მოყვანის ტექ-ნილოგია საქართველოში“ არ ახლდა ავტორთა გვარები, როსთვისაც ა.ს. რედაქცია ბოლოში უხდის მასალის ავტორებს.**

**მთარ ლიპარიშვლიანი,**  
საქართველოს სოფლის მეურნეობის მცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, დარგობრივი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიე-რო-კვლევითი ცენტრის მარცვლეული კულტურების სამსახურის მთავა-რი სპეციალისტი, პროფესორი.

**ზონაშ ხალხობი,**  
სსიპ სოფლის მეურნეობის სამეც-ნიერო-კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

## ვარგითათვის

# 2016 წლის კლიმატური მაჩვანებლები სუბტროპიკულ ზონაში

გასული 2013-2015 წლის სავაგეთაციო პერიოდი სუბტროპიკულ ზონაში გამოიჩინდა ცხელი კლიმატითა და გვალვებით, 2016 წელი კი – პირი-შით, უცვი ნალექებით, დაპალი ტემპერატურისგანითა და მაღალი ტენიანო-ბით, რამაც ნებანიშრი გავლენა იძონია მცენარეთა ზრდა-აბნვითარე-ბასა და მოსავლითანაზე

2015 წლის 30-31 დეკემბერს სუბ-ტროპიკულ ზონაში მოვიდა თოვლი ბარში 0,5 მ, მთაში 1-2 მ. 1-2 იანვარს აღინიშნა ტემპერატურის დაცე-მა დაბლობ რაიონებში  $-3\text{--}5^{\circ}\text{C}$ -მდე. 5 იანვრიდან ტემპერატურამ აინია  $+5\text{--}6^{\circ}\text{C}$ -მდე და თოვლიმა დაიწყო დნობა. მთელი თვეს განმავლობა-ში ამინდი იყო არამდგრადი. 10-18 იანვრის პერიოდში ტემპერატურამ  $+12\text{--}15^{\circ}\text{C}$ -მდე მიაღწია. 19 იანვრიდან ტემპერატურა დაეცა ძირითადად წვი-მისა და თოვლ-ჭყაპის სახით. 25 იან-ვარს ისევ გათოვდა. 0,5 მ სიმაღლის თოვლი მოვიდა ბათუმში, ქობულეთ-ში, ურეკში. სამეცნიელოსა და იმე-რეთის დაბლობ რაიონებში თოვლის სისქე ნაკლები იყო. აღნიშნულ ზონებში ღამით ტემპერატურა  $-3\text{--}4^{\circ}\text{C}$ -მდე დაფიქსირდა (ბათუმის ბულვარში ხე-ლოვნური ტბაც კი გაყიდნა).

თებერვალში შედარებით დათ-ბა. 1-20 თებერვლის განმავლობაში

მშრალი მზიანი ამინდი დაფიქსირდა, ტემპერატურა დღისით  $+12\text{--}15^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში მერყეობდა. 20-25 თებერვალს აღინიშნა წვიმა, სუსნი  $+8\text{--}9^{\circ}\text{C}$  ტემპერატურით. 26 თებერვ-ლიდან თვის ბოლომდე მშრალი მზია-ნი ამინდი ( $+15\text{--}160$ ) დაფიქსირდა.

მარტის პირველი ნახევარი უჩ-ვეულო დათბობით აღნიშნა. 1-15 მარტამდე დღისით ტემპერატურა  $+20\text{--}23^{\circ}\text{C}$  დაფიქსირდა, რასაც ხეხი-

ლოვანთა მასიური ყვავილობა მოყ-ვა. 15 მარტიდან კლიმატი შეიცვალა ძლიერი წვიმითა და თოვლ-ჭყაპით. ტემპერატურა  $+1\text{--}6^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა, 21 მარტს დაბლობ ადგილებში შეინშე-ბოდა წაყინვები  $-1\text{--}2^{\circ}\text{C}$ . თვის დანარ-ჩენი დღეები აღირიცხა მცირე წვიმი-ანობით, ნისლით, მაღალი სინესტით, რაც უარყოფითად მოქმედებდა აყ-ვავილებულ და ვეგეტაციაში შესულ მცენარეებზე.

აპრილის პირველი დეკადა მშრა-ლი და მზიანი იყო, ტემპერატურა  $+12\text{--}14^{\circ}\text{C}$ . 13 აპრილიდან განვიმდა. 16 აპრილს მთებში ჩამოთვა. 21-22 აპ-რილს ძლიერი ქარის შედეგად დაზი-ანდა ვეგეტაციაში შესული მცენარე-



ები, დაიმტვრა ყლორტები (ვაზი, აქტინიდია, თხილი და სხვა). ჩამოთოვა გურია-აჭარის, სამეგრელოს მთებში. 23 აპრილიდან გამოიდარა, თვის ბოლომდე დღის ტემპერატურა +22+24°C და ლამით +7+8°C შეადგენდა.

1-8 მაისი ღრუბლიანობით, ნალექებითა და მაღალი შეფარდებითი ტენიანობით გამოირჩეოდა. თვის დანარჩენი პერიოდი აღინიშნებოდა მშრალი, მზიანი, ზოგჯერ ღრუბლიანი და ნესტიანი კლიმატით. თვის საშუალო ტემპერატურა +18+20°C, მაქსიმალური კი +24+25°C დაფიქსირდა. იყო გამონაკლისი დღეებიც, მაგალითად 16 მაისს ძლიერმა ქარმა, წვიმაში ჩამოყარა ნაყოფები კურკოვნებზე, ხეხილოვნებზე, თხილზე, დააზიანა აქტინიდისა და ვაზის ნარგაობა.

ივნისის პირველი ნახევარი (1-17 ივნისი) უხვი ნალექით, დაბალი ტემპერატურით (+16+18°C) და მაღალი ტენიანობით გამოირჩეოდა. იყო შემთხვევები, როდესაც წინა დღეებთან შედარებით ტემპერატურა მკვეთრად ეცემოდა. მაგალითად, 14 ივნისს მზეზე დაფიქსირდა +35+36°C, ხოლო მესამე დღეს ტემპერატურა +18+19°C-მდე დაეცა. ტემპერატურის ასეთ რყევას მოჰყვა ძლიერი ქარიშხალი, რამაც ისევ გამოიწვია კულტურული ნარგაობის მექანიკური დაზიანება, ტოტების ხლეჩა, ნაყოფების ცვენა, სიმინდის ნათესების ჩანვენა. 18 ივნისიდან კლიმატი დასტაბილურდა, ტემპერატურა დღისით +18+19°C შეადგენდა, ლამით +12+14°C აღინიშნა

ივლისის პირველი ნახევარი (1-14 ივლისი) ძალზე არამდგრადი, წვიმიანი, ტენიანი და ცივი კლიმატით ხასიათდებოდა. აღინიშნა კოკოსპირული წვიმები, წყალდიდობა და მეწყერული მოვლებები (აჭარა, გურია, სამეგრელო). ტემპერატურა დღისით 7+9°C-მდე დაეცა. სიცივემ და უხვმა ნალექმა დააზიანა ბოსტნეული კულტურები, თხილის პლანტაციები, ხეხილოვნები, ვაზი. 14-25 ივლისი შედარებით უნალექო, მაღლი ტემპერატურით (+25+30°C) და მაღალი შეფარდებითი ტენიანობით (80-90) გამოირჩეოდა. ამ პერიოდში მასიურად შეინიშნებოდა მანებელ დაავადებათა გააქტიურება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე და განსაკუთრებით თხილზე, ვაზზე. თხილზე მასიურად გაჩნდა ნაყოფების, ფოთლებისა და ყლორტების ნაცრისფერი სილაქავე. ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერა 25-31 ივლისის არამდგრადმა ცივმა წვიმიანმა და ნესტიანმა ამინდმა. ლამით ტემპერატურა +11+12°C-მდე დაეცა.

აგვისტოს პირველი დეკადა (1-10) გამოირჩეოდა ცხელი, ტენიანი ამინდით. დღის საშუალო ტემპერატურა +30+32°C ფარგლებში მერყეობდა. 14 აგვისტოს კლიმატი უცრად შეიცვალა, სამხრეთ-დასავლეთიდან შემოიჭრა ძლიერი ქარი წვიმით, ელჭექით, რომელიც გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში. ისევ დაზიანდა ხეხილოვნები, კაკლოვნები, ბოსტნეული კულტურები, სიმინდის ნათესები. 21 აგვისტოდან გამოიდარა მაღალი ტემპერატურითა (+30+32°C) და ტენიანობით.

აგვისტოს არამდგრადი კლიმატი დაემთხვევა საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში თხილის ნაყოფების მასიური დამზადების პერიოდს. მაღალი ტენიანობითა და მავნებელ-დაავადებებით დაზიანებული თხილის ნაყოფების სრულყოფილი შეშრობა მცენარეზე ვრცელდება. მითუმეტეს ძირს ჩამოცვენილი თხილის ნაყოფების შეშრობა კიდევ უფრო რთული პროცესი გახდა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია თხილის ნაყოფების სოკოვანი დაავადებების მასიური განვითარება. დამზადებული ნაყოფების 50-60% სარეალიზაციოდ უვარების გახდა.

სექტემბრის პირველი ორი დეკადა (1-20) გამოირჩეოდა ზომიერი, თბილი და ტენიანი კლიმატით. დღისით საშუალოდ +20+25°C, ხოლო ლამით +13+16°C ფარგლებში მერყეობდა. სექტემბრის მესამე დეკადაში (20-30) აცივდა. 23 სექტემბერს პირველად ჩამოთვა – სამეგრელოს, აფხაზეთის, გურია-აჭარის მაღალმთანი ზონები.

ოქტომბრის პირველი დეკადა (1-10) გამოირჩეოდა მშრალი მზიანი ამინდით, მეორე და მესამე დეკადა ძალზე წვიმიანი, მაღალი სინესტითა და დაბალი ტემპერატურით (10-13°C) დაფიქსირდა. 15 ოქტომბერს მთებში ისევ თოვლი მოვიდა.

ნოემბრის პირველი დღეები ცივი და ნალექიანი დაბალი ტემპერატურით +8+9 დაფიქსირდა მთებში თოვლის სახით, დაბლობში წვიმისა და სეტყვის სახით (ჟობულეთი, ურეკი, ნატანები) აღინიშნა. 5 ნოემბრიდან 14 ნოემბრადმე მშრალი კლიმატი იყო, დღისით ტემპერატურა +20+22°C. ციტრუსებისათვის ეს პერიოდი სასარგებლო აღმოჩნდა, დაინყო მწვანე ნაყოფების მასიური გაყვითლება. 15-18 ნოემბრს ისევ წვიმდა, მთებში თოვლი მოვიდა.

19-24 ნოემბერს დაფიქსირდა აღმოსავლეთის ძლიერი, მშრალი ქარი, განსაკუთრებით იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში, დაზიანა სახლები, მცენარები, საბორუები, გადამცემი ელექტროსაზები. 25 ნოემბრიდან თვის

ბოლომდე შედარებით მშრალი მზიანი ამინდები დაფიქსირდა. ტემპერატურა დღისით +18+20°C შეადგენდა.

ყველაზე ნალექიანი და ცივი დეკემბერი აღმოჩნდა. 1-13 დეკემბერს წვიმა, ნესტი სიცივე დღისით +5+6°C, ლამით +2+3°C. 14 დეკემბრიდან გათვადი პერიოდი პერიოდი -2-5°C აღნევდა. 20-24 დეკემბერი უნალექო იყო, ლამით ყინვა -1-3°C. 25 დეკემბრიდან ისევ წვიმა, მთებში თოვლი.

ამრიგად: 2016 წელი თავისი კლიმატური მაჩვენებლებით დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ძალზე არამდგრადი გამოდგა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების და მოსავლიანობის



თვალსაზრისით. რაც შეეხება ჩაის, ის ერთადერთი კულტურა აღმოჩნდა, რომელმაც გაუძლო ასეთ არახელსაყრელ კლიმატურ ცვლილებებს, ასევე ნაკლებად დაზიანდა ციტრუსოვნები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიან შემოდგომაზე ლოკალურ ადგილებში სეტყვით გამოწვეულ ზარალს.

ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ პლანეტაზე გამოიყენებოდება დათბობის შედეგად გამონაბეჭდი, არამდგრადმა კლიმატურმა პირობებმა შესაძლებელია სერიოზული ზიანი მიაყენოს სუბტროპიკულ სოფლის მეურნეობას. ჩვენი ამოცანა პრეცენტულ ღონისძიებებთან ერთად მკაფიოდ დავიცვათ სუბტროპიკულ კულტურათა მოვლა-მოყვანის მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად აპრობირებული ღონისძიებების კომპლექსური სისტემა.

**ზერვალთათვის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოკუმენტი, პროფესიონალი**

# შუალედური კულტურაების თესვა-მოყვანის რეკომენდაციული ჯგუფები ზონებისა და თესვის ვადების გათვალისწინებით

მეცნიერებების მთაცე საკვები პაზის შემანისა და განვითაცების ერთ-ერთი ძალაური საშუალებაა შუალედური კულტურები თესვა-გამოყვანის გაფართოება, რაც მიზის ინტენსიური გამოყვანის გზით, ერთი და იგივე ფართოგზე, ძირითადი კულტურებისაგან თავისუფალ პრი-ოდგი მეცნიერებისათვის დაგატეაზით მცვალე და ცვინანი საკვების, აგრძოლება სასიღრაციო მასის მიღების საშუალებას იქნივა.

შუალედური კულტურების წარმოების გაფართოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს დაბლობ ზონაში (ზღვის დონიდან 800 მ. სიმაღლემდე), რადგან აქ არსებული კლიმატური პირობები: ხანგრძლივი სავეგეტაციი პერიოდი, მაღალაქტიურ ტემპერატურათა ჯამი, სარწყავი წყალი, ხოლო ზოგიერთ რაიონში ბუნებრივი ტენი, მისი თესვა-მოყვანის საუკეთესო საშუალებას იძლევა.

მიწათმოქმედების ინტენსივობას განსაზღვრავს მისი რენტაბელობის დონე, რომელიც დამოკიდებულია ფართობის ერთეულზე შრომით და მატერიალური დანახარჯების სიდიდესა და მიღებული პროდუქციით მის ანაზღაურებაზე. მაგრამ თანამედროვე ინტენსიურ მიწათმოქმედებაში წარმოების ინტენსივობის საზომად უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე დროის ერთეულის მაჩვენებელიც, ე.ი. რა პროდუქცია იქმნება დროის ერთეულში. ამ თვალსაზრისით ყველაზე უფრო ინტენსიურ და უნდა მიკრიოთ კულტურა, რომელიც შედა-

რებით მოკლე ვეგეტაციის პერიოდში მეტ ბიომასას ქმნის და არ ახასიათებს ფოტოსინთეზის შენელება ან დროებითი შეჩერება სავეგეტაციო პერიოდის ამ თუ იმ მონაკვეთზე. ე.ი მნიშვნელოვანია აქტიური ფოტო-სინთეზისათვის გამოსაყენებელი პერიოდის ხანგრძლივობის გადიდება, რისი მიღების საუკეთესო საშუალებაა შუალედური კულტურების გამოყენება, ე.ი. მიწის დატვირთვის ზრდა. ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობა ამ მიმართულებით ფართოდ არის შესწავლილი და გაანალიზებული [1,2,3]. საქართველოს სარწყავ და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე ჩატარებული ცდები მოწმობს, რომ შუალედური კულტურების გამოყენებით ერთი ჰექტარი მიწის საშუალო ნლიური ბიოლოგიური პროდუქტიულობა შეიძლება გაიზარდოს 7-8 ათას საკვებ ერთეულამდე, მაქსიმალური ბიოლოგიური პროდუქტიულობა კი შეიძლება მივიღოთ მხოლოდ სავეგეტაციო პერიოდის მთლიანად გამოყენების საშუალებით. ე.ი. იმ დროის ჩათვლით, რომელიც ძირითადი კულტურებით არ არის დაკავებული. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სეზონური მორიგეობა ზომიერი და სუბტროპიკული ჰავის ტენით უზრუნველყოფილ პირობებში შეიძლება მოიცავდეს სამ ციკლს: საშემოდგომოს, საგაზაფხულოს და შუალედურს –ზაფხულის მეორე ნახევრიდან შემოდგომის დამლევამდე, ან შემოდგომიდან მომდევნო გაზაფხულამდე.

შუალედური კულტურების გამოყენება გამართლებულია ეკონომიკური თვალსაზრისითაც. მათი თესვა-მოყვანა საშუალებას იძლევა რაციონალურად გამოვიყენოთ სახნავი მიწა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მუშახელი, სარწყავი წყალი და სხვა საშუალებები, რაც განაპირობებს შრომის მწარმოებლობის მაღალ დონეს. ამ კულტურების თესვა-მოყვანა შეიძლება მცირე დანახარჯებით, მექანიზაციის მაქსიმალური გამოყენებით. დადასტურებულია, რომ შუალედური წესით მოყვანის შემთხვევაში საკვების თვითღირებულება 15-20%-ით მცირდება. გარდა ამისა შუალედური კულტურები ზრდიან საკვების წარმოებას და აუმჯობესებენ მის ხარისხს, ასრულებენ სანიტარის როლს სარეველებთან, დაავადებებთან და მავნებლებთან ბრძოლის საქმეში, იცავენ ნიადაგს წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისგან. ამასთან ერთად შუალედური წესით ნათესი ერთწლიანი პარკოსნები: ბარდა, ცერცველა და ცულისპირა ზრდიან ნიადაგის ნაყოფიერებას და დადებითად მოქმედებენ მის მიკროსფეროზე.

წარმოებაში ამჟამად არსებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები რაციონალურად იყენებენ სითბოთი უზრუნველყოფილი პერიოდის 50-60%-ს ადრე გაზაფხულზე და ზაფხულში, ხოლო შემოდგომაზე და შემოდგომა-ზამთარში ძირითადი კულტურებისგან თავისუფალი პერიოდი შუალედური მოსავლისათვის უმეტესად გამოუყენებელი რჩება მაშინ, როცა საქართველოს კლიმატური პირობები იძლევა იმის



გარანტიას, რომ გამოვიყვანოთ ყველა ტიპის შუალედური კულტურა გაზაფხულზე, თავთავიანი კულტურები ნაწვერალზე, შემოდგომაზე და შემოდგომა-ზამთარში.

ქვეყნის ზონების და თესვის ვადების მიხედვით შემუშავებულია შუალედური კულტურების ოთხი ჯგუფი: საგაზაფხულო, საზაფხულო, საშემოდგომო და საშემოდგომო-მოზამთრები.

## საგაზაფხულო შუალედური კულტურები

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავა და ტენით უზრუნველყოფილ პირობებში, ადრე გაზაფხულზე (თებერვლის ბოლო, მარტის დასაწყისი) ძირითადი კულტურების: სიმინდის, ლობიოს, სორგოს, სუდანურას ან რომელიმე საგვიანო ბოსტნეულის თესვამდე ან დარგვამდე მზრალზე უნდა დაითესოს შვრიასთან ან საგაზაფხულო ქერთან შერეული ერთნობიანი პარკოსნების (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა) ორკომპონენტიანი ნარევი. სამარცვლე პარკოსნების თესლის უქონლობის შემთხვევაში შეიძლება წმინდა შვრის თესვაც, მაგრამ ცილებითა და ნახშირნყლებით დაბალანსებული საკვების მიღების მიზნით უმჯობესია მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების ნარევების თესვა. თესვა ტარდება ხორბლის სათესი მანქანით 7,5-15სმ. მწერივთაშორისებით. ერთ ჰექტარზე უნდა დაითესოს წმინდა სახით შვრია 200-220კგ. საგაზაფხულო ქერი 180-200კგ, ხოლო ნარევში შვრია და საგაზაფხულო ქერი 60-80კგ. ბარდა 140-160კგ. ცულისპირა 100-120კგ. საგაზაფხულო ცერცველა 100-120კგ. ნათესის ყოველი ჰექტრიდან შეიძლება მიღებული იქნას 200-250 ცენტნერი მწვანე მასა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ საჭიროების მიხედვით მწვანე საკვებად, თივად, სილოსად, სენაჟისა და ბალახის ფქვილის დასამზადებლად. მწვანე მასის აღების შემდეგ ნიადაგი დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას ზერელედ, 15-20 სმ. სილომზე და მაისში დაითესოს ან დაირგოს რომელიმე ძირითადი საგაზაფხულო კულტურა (სიმინდი, ლობიო, სორგო, სუდანურა, ბოსტნეული და სხვ.). მაისში მეორე ნაცვერაში დათესილი ყველა ძირითადი საგაზაფხულო კულტურა

სამარცვლე სიმინდის ჩათვლით მაღალ აგროფონზე სრულ მოსავალს გვაძლევს.

## საზაფხულო შუალედური კულტურები

საზაფხულო (სანაწვერლო) შუალედურ კულტურებს მიეკუთვნება სიმინდი, სორგო, სუდანურა, მზესუმზირა, შვრია, ერთნობიანი პარკოსანი კულტურები (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა), რომლებიც ითესება თავთავიანი კულტურების, საადრეო ბოსტნეულის და სხვ კულტურების მოსავლის აღების შემდეგ და შემოდგომაზე იძლევა მწვანე მასის, ზოგ შემთხვევაში მარცვლის დამატებით მოსავლს.

ლებელია 30-35 ცენტნერი სიმინდის მოსავლის მიღებაც. ამ შემთხვევაში უნდა დაითესოს შედარებით საადრეო ჯიშები და პიბრიდები, ხოლო სასილოსედ და მწვანე საკვებად მაღალმოზარდი ჯიშები: აჯამეთის თეთრი, აბაშის ყვითელი, ქართული კრუგი და სასილოსე მიმართულების პიბრიდები.

შუა და ზემო ქართლის პირობებში (მცხეთა, გორი, კასპი, ხაშური) სანაწვერლო ნათესებიდან გარანტირებულ მოსავალს იძლევა შვრია. იგი შედარებით ადვილად იტანს შემოდგომის ადრეულ წაყინვებს და მწვანე მასის მაღალ მოსავალს იძლევა.

სანაწვერლო შუალედური კულტურების თესვის დროს აუცილებელია



სანაწვერლო შუალედური კულტურების მოყვანა შეიძლება ჩვენი ქვეყნის დაბლობი ზონის სარწყავა და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში. ცდებით და სანარმოო გამოცდილების საფუძველზე დადგენილია, რომ სანაწვერლო შუალედური კულტურები სწრაფად ვითარდება და მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდს გაზაფხულზე ნათესთან შედარებით და ჰექტარზე საშუალოდ 150-200 ცენტნერ მწვანე მასის დამატებით მოსავალს იძლევა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სილოსის დასამზადებლად ან მწვანე საკვებად. სანაწვერლო სიმინდის შემჭიდროებულ ვადაში თესვა და ნათესის თესვისთანავე მორნევის შემთხვევაში ლაგოდების, ყვარლის, გურჯაანის, თელავის, მარნეულის და გარდაპის რაიონებში დაბლობ, სარწყავა პირობებში ქერის ნაწვერალზე და ხორბლისიგან განთავისუფლებულ მინდოოზე შესაძ-

კლიმატური პირობებისა და მცენარის ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება. სახელდობრ, სიმინდი, სორგო და სუდანურა შემოდგომის ადრეული წაყინვებისგან დაცვის მიზნით უნდა დაითესოს ადრე, თავთავიანებისგან ნაკვეთის განთავისუფლებისთანავე, ხოლო მზესუმზირა და შვრია, როგორც სუფთა სახით, ისე ერთნობიან პარკოსნებთან (ბარდა, ცერცველა, ცულისპირა) ნარევში მოვანებით, რადგან ეს კულტურები შედარებით უკეთ იტანენ შემოდგომის წაყინვებს და ვეგეტაციას აგრძელებენ დაზამთრებადე.

სანაწვერლო შუალედური კულტურებისათვის ნიადაგში უნდა შევიტანოთ მოქმედი ნივთიერების სახით A 60-70; P 40-50 K 30 კგ/ჰა-ზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიმინდის 3-5 ფოთლის ფაზაში რომელიმე რეკომენდებული ჰერბიციდის გამოყენებას. აუცილე-



ბელია ნათესის თესვისთანავე ორი სავეგეტაციო მორნჟვის ჩატარება. სიმინდის მწვანე მასის მოსავალი უნდა ავილოთ მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ფაზაში. სანაწვერ-ლო კულტურების სავეგეტაციო პერიოდის უკეთ გამოყენების მიზნით მაქსიმალურად უნდა შევამციროთ ნინამორბედი კულტურის აღებასა და სანაწვერ-ლო კულტურის თესვას შორის პერიოდი.

### საშემოდგომო შუალედური კულტურები

დასავლეთ საქართველოს დაბლობ ნაწილში შუალედური კულტურების მთავარი ფორმა საშემოდგომო ნათესები. სიმინდის ან სხვა კულტურების აღების შემდეგ (ოქტომბერი) ითესება წმინდა შერია, ჭვავი, ქერი ან მათთან შერეული ერთნოლიანი პარკოსანი კულტურები; ცერცველა, ბარდა ან ცულისპირა მწვანე მასის მისაღებად. მწვანე მასის მოსავლის აღების შემდეგ გაზაფხულზე (მაისი) დაითესება რომელიმე ძირითადი კულტურა (სიმინდი, სოია, ლობიო, ბოსტნეული და სხვა.) მარცვლის მწვანე მასის მისაღებად. ამ შემთხვევაში შუალედური კულტურების თესვის წესი, თესვის ნორმა და ნარევში თესლის შეფარდება იგივეა, როგორც საგაზაფხულო შუალედური კულტურების შემთხვევაში არის ნარმოდგენილი.

### საშემოდგომო-მოზამთრებულები კულტურები

საშემოდგომო-მოზამთრებულები კულტურებია ტურნეფის და რაფსი, რომელებიც ითესება ზაფხულის ბოლოს და რომელიმე საშემოდგომო ან საგაზაფხულო

კულტურის შემდეგ და წვნიან და მწვანე მასის მოსავალს იძლევა შემოდგომაზე, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე. ამ კულტურების თესვა-მოყვანა შეიძლება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ და ბუნებრივი ტენით უზრუნველყოფილ პირობებში.

რაფსი და ტურნეფის, როგორც წვრილოესლიანი კულტურები უნდა დაითესოს თესვამდე 15-20 დღით ადრე მაღალხარისხოვნად დამუშავებულ ნიადაგში. ორივე კულტურისათვის თესვის ოპტიმალური ვადაა აგვისტოს მეორე ნახევარი. ტურნეფის, როგორც სათონენი კულტურა ითესება 60-70სმ მწკრივთაშორისებით, ხოლო რაფსი მთლიანმოთესვის წესით (7,5-15სმ). ერთ ჰექტარზე უნდა დაითესოს ტურნეფის 1.2-2კგ., რაფსი - 7-8კგ. თესვის დროს ფართობზე თესლის თანაბრად განანილების მიზნით სათესლე მასალას უნდა შეერიოს ქვიშა ან ფხვიერი მინა. თესვის წინ და თესვის შემდეგ ნათესი უნდა მოიტკეპნოს და საჭიროების შემთხვევაში მოირწყას. ტურნეფის ნათესში უნდა ჩატარდეს მწკრივთაშორისების კულტივაცია ან გაითოხონოს და გამეჩერდეს.

ოპტიმალურ ვადაში ნათესი რაფსი იმავე წლის შემოდგომაზე (ნოემბერი) იძლევა პირველ, ხოლო გაზაფხულზე (აპრილი) მეორე განათობს. ორივე მოსავლის ჯამი საშუალოდ 250-300 ცენტნერს აღნევს. ტურნეფის სწრაფად იზრდება და გვიან შემოდგომაზე და ზამთარში შეიძლება მისი ძირის და ფოთლის ცხოველის საკვებად გამოყენება, ძირითად მოსავალს კი აპრილში გვაძლევს. ტურნეფის ძირისა და ფოთლის საშუალო საპექტარო მოსავლიანობა 300-350 ცენტნერს აღნევს.

ციტრუსები და რაფსი აპრილის ბოლომდე ათავისუფლებენ ნაკვეთს, რაც საგაზაფხულო კულტურების ოპტიმალურ ვადაში თესვის საშუალებას იძლევა.

სახნავი მიწების ინტენსიურად გამოყენების მიზნით ასევე გამართლებულია ადრე გაზაფხულზე სასილოსედ ან მწვანე საკვებად ნათესი კულტურების; ბარდის, ცერცველას, ცულისპირას ან მათი შერიასთან ნარევის გათიბვის შემდეგ სანათიბო შუალედური კულტურების: სიმინდის ან სუდანურას თესვა-მოყვანა მწვანე საკვებად ან სასილოსედ.

სანათიბო სიმინდის და სუდანურას გაზაფხულზე ნათესს სასილოსე სიმინდთან შედარებით, აქვთ შემდეგი უპირატესობები: სანათიბო სიმინდის ნათესში დგომის სიხშირის გადიდების პარალელურად იზრდება ტაროთა რაოდენობა, ღერო უფრო ნაზი გამოდის, რის შედეგად უმჯობესდება სასილოსე მასის ხარისხი.

შერიანარევი ბარდის შემდეგ ნათესი სანათიბო სუდანურა სწრაფად ვითარდება და ზამთრის დადგომამდე ორ განათობს იძლევა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მწვანე საკვებად, სასილოსედ, თივად და საძოვრად.

სანათიბო ნათესების უპირატესობა გაზაფხულზე ნათეს სასილოსე სიმინდთან შედარებით თვალსაზრისითაც, რასაც ადასტურებს საქართველოს ი.ნ. ლომოურის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წილკინის ექსპერიმენტულ მეურნეობაში ჩატარებული საწარმოო გამოცდის შედეგები, სადაც შერიანარევი ბარდის შემდეგ ნათესი სანათიბო სიმინდი და სუდანურა შედარდა გაზაფხულზე აგრონესებით ნათეს (70X30სმ.) სასილოსე სიმინდთან. ამ მონაცემების მიხედვით გაზაფხულზე ნათესი სიმინდის (საკონტროლო) მწვანე მასის მოსავლიანობამ 412,2 ცენტნერი შეადგინა, ადრე გაზაფხულზე (5 მარტი) ნათესი შერიანარევი ბარდის შემდეგ დათესილი სანათიბო სიმინდის და სუდანურას მოსავალმა კი შესაბამისად 525,3 და 577,6 ცენტნერი, რაც შესაბამისად 113,1 და 165,5 ცენტნერით მეტია საკონტროლო ვარიანტის მოსავალზე.

სანათიბო შუალედური კულტურების თესვა-მოყვანა შეიძლება აღ-

მოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ მინებზე. მზრალად მოხვნის ნინ, ნიადაგში უნდა შევიტანოთ მოქმედი ნივთიერების სახით P90, K30, ხოლო ადრე გაზაფხულზე შევრიანარევი ბარდის თესვის ნინ N35კვ/ჰა. მინერალური სასუქების აღნიშნული დოზით შეტანის შემთხვევაში სანათიბო კულტურების განოყიერება საჭირო არ არის. შევრიანარევი ბარდა უნდა დაითესოს თებერვლის ბოლოს, მარტის და-საწყისში, ერთ ჰექტარზე ითესება ბარდა 150კგ., შევრია 60კგ. მწვანე მასის მოსავლის აღება ტარდება ბარდის დაპარკების დაწყების ფაზაში. მოსავლის აღებისთანავე ნიადაგი იხვნება ზერელედ (18-20სმ.) და ითესება სათანადო სანათიბო სი-მინდი 60Xკვების არით, ხოლო სანათიბო სუდანურა მთლიანმოთესვის წესით 140კგ. ჰა-ზე. უნდა ჩატარდეს ნათესის თესვისთანავე ორი სავეგიტაციო მორწყება, აღმოცენებამდე

ნიადაგის ქერქის გაჩენის შემთხვევაში ნათესი უნდა დაიფარცხოს ზიგზაგით, თესვის გარდიგარდმო. სიმინდის მწვანე მასის მოსავალი უნდა ავილოთ მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფის ფაზაში. სუ-დანურას მწვანე მასის პირველი გათიბვა ტარდება საგველას ამო-ტანის დროს. გათიბვის დაგვიანების შემთხვევაში ღერო უხეშდება, უარესდება საკვების ხარისხი და, რაც მთავარია, მცირდება მეორე განათიბის მოსავალი. მეორე, ნორმალური განათიბის მიღების მიზნით,

საჭიროა გათიბვის შემდეგ ნათესის  
მორწყვა.

## ზაურ პულუშიძე,

შპს. „ლომთაგორას“ დირექტორი,  
ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიუ-  
რი დოკტორი;

## ზურაბ პირველის

## ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କୁ ଲୋକରାତିଶୀଳଙ୍କା:

1. შ. ჭანიშვილი, შ. დევდარიანი. ზ. ჯულუხიძე, რ. მირიანაშვილი. თესლბ-რუნვა საქართველოში, „შუალედური კულტურები ინტენსიურ მიწათმოქმე-დებაში“. თბილისი, 1985წ.
  2. გ. ცაგურიშვილი. შუალედური კულტურების თესვა-მოყვანა, „რეკომენ-დაცია“ 1982წ.
  3. გ. ცაგურიშვილი, რ. გელაძე, ინტენსიურად გამოვიყენოთ მიწა „საქარ-თვის მეურნეობა“, 4, 1982წ.

ଓଡ଼ିଆ

# საქართველოს აგრძარებლ სეპტომბერი არსებული კრონლაგაჭის მოგვარეობის ზოგიერთი კსკვეპტი

გარდამავალ პერიოდში გაჩანაგდა  
აგროკუმპლექსის მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზა, მოიშალა მისი  
ორგანიზაციის მეცნიერული საფუძ-  
ველი, საწარმოო და სოციალური  
ინფრასტრუქტურა. სოფლის მეურ-  
ნეობა არაკონკურენტუნარიანი ნა-  
ტურალური მეურნეობის პრინციპით  
ფუნქციონირებს. გლეხი მეურნეობის  
გაძლოლის თანამედროვე ცოდნას  
(ჩვევებს) გერი იძენს.

ქვეყანაში განვითარების ერთ-ერთი ეტაპი დაიწყო 2013 წლიდან. ახალმა ხელისუფლებამ საერთოდ შეცვალა დამოკიდებულება ეკონო-მიკის მიმართ. გამოიკვეთა სოფლის მეურნეობის განვითარების პრიო-რიტეტი. 2012-2014 წლებში სოფლის მეურნეობაში გამოვლინდა ზოგი-ერთი პოზიტიური სიმპტომი. გარ-კვეულწილად ამაღლდა ორგანიზე-

სთან, ყველა მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადა-საყვანად. ფასდაუდებელია ეკრო-კავშირის დახმარება, რაც სასურსა-თო უზრუნველყოფის პროგრამებით დაწყებული, სასოფლო-სამეურნეო პროექტებით განხორციელდა. ამ მიზნით შემოსული თანხები მილიონებით ევროს ფარგლებს გასცილდა, რამაც ხელი შეუწყო დარგის განვი-თარგება.



ცნობილია, რომ მიწების პრივატიზაციის მოუმზადებლად ჩატარებამ გამოიწვია სავარულების ფრაგმენტაცია, რის შედეგად გართულდა მათი დამუშავება და პროდუქციის მიღება. სწორედ ასეთმა სიტუაცია ამ დააყენა დღის წესრიგში სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების ჩამოყალიბების აუცილებლობა. დაქსაქსული მიწების გაერთიანება კომპერატივების სახით უფრო რეალურ პერსპექტივას ბადებს მიწების დამუშავებისა და მათი ეფექტურად მწყობრში ჩასაყენებლად.

მთავრობის მიერ არჩეული გზა (პირველი ნაბიჯები) სწორად მიგვაჩნია, მაგრამ ამ მიმართულებით მუშაობის დახვეწა საჭირო. ფაქტია, რომ ათათასობით წვრილ გლეხურ (ოჯახურ) მეურნეობას არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალება არ გააჩნია დამოუკიდებლად ფეხზე დასადგომად. სწორედ ასეთ ვითარებაშია სახელმწიფო ვალდე-

ის ღირებულება ყოველ სამეურნეო საფეხურზე იზრდება და აგრონედლეულის მნარმოებლები დაინტერესებული იქნებიან საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგებით. უფრო დაწვრილებით თუ შევეხებით არსებულ სიტუაციას უნდა დავინტერესდეთ პრობლემით, თუ რატომ არის ასეთი ძვირი გლეხის მიერ წარმოებული პროდუქციის თვითლირებულება. თუ ჩვენ გვინდა პრაქტიკულად განხორციელდეს პროგრამა „ანარმო საქართველოში“ მაშინ სახელმწიფო რეგულაციების ამოქმედება საჭირო. უნდა გაანალიზდეს და გაირკვეს რა ჯობია, ხმაურიანი მოთხოვნა წარმოებულ პროდუქციაზე დანამატების გაცემაზე, თუ თავიდან შეღავათების დაწესება (საწვავი, შესამქინებელი და ა.შ.), რაც საგრძნობლად შეამცირებს პროდუქციის თვითლირებულებას, შესაბამისად ხელს შეუწყობს პროდუქციის რეა-



ბული ქმედითი დახმარება გაუწიოს გლეხთა კომპერატიულ გაერთიანებებს და იზრუნოს მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საყურადღებოა, რომ აგროსამრეწველო ინტეგრაციისა და კომპერაციის მრავალი წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ კომპერატიული შრომის უკუგების ხარისხი გაცილებით მაღალია ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებლი იქნება მხოლოდ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კომპერატიული გაერთიანებების შექმნისა და მათი გადამუშავებელ საწარმოებთან ინტეგრირების გზით. ასეთი სისტემის ფორმირებით გლეხებს მიეცემათ აგრონედლეულის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი საწარმოო ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც პროდუქცი-

ლიზაციის პრობლემის დარეგულირებას. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კომპერაციის საქმიანობა სახელმწიფოსთან ერთად ორიენტირებული უნდა იყოს სასოფლო ტერიტორიებზე სადღე-ისოდ არსებული სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეურნეო და სხვა პრობლემების მოვარებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება. ამასთან გლეხს უნდა გავაგებინოთ და თვითონაც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხის საგრძნობლად ამაღლებაზე ევროსტანდარტების შესაბამისად, სხვანაირად შეუძლებელია რაიმე პროგრესის მიღწევა აგროსამრეწველო სექტორში.

კომპერატიული წარმოების ორგანიზაციული ფორმა უნდა უზრუნველყოფდეს სასოფლო პროდუქციის

მნარმოებელთა მიმზიდველობას, სასოფლო კოოპერატივების გაფართოებას და ემსახურებოდეს მათი პრობლემების გადაწყვეტას. განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფო სტრუქტურებმა უნდა დაუთმონარმოებული პროდუქციის რეალიზაციის მოგვარებას. თუ საჭიროება მოითხოვს ამ მიმართულებით შესაძლოა განხორციელდეს სტრუქტურული ცვლილებაც.

ბოლო წლების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის დარღვევი მიღწეულია გარკვეული წარმატებები, განსაკუთრებით მეღვინეობაში. აშენდა დვინის ახალი ქარხნები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა არსებულ ქარხნებს, დაინერგა მონინავე ტექნოლოგიები, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და, რა თქმაუნდა, სახელმწიფოს დამარტინი მნიშვნელოვნად გაიზარდა რეალიზაციის მოცულობა. პროგრესია მარცვლეულის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში, რაც წამდვილად არ ითქმის დასავლეთ საქართველოზე, სადაც თითქმის მივიწყებას აქვს მიცემული მეჩაიერება და მეციტრუსეობა. ამ მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარება სახელმწიფოს უმთავრესი მოვალეობაა. ჩვენ არ გვაქვს ფუფუნება გავხდეთ მოდას აყოლილი საზოგადოება, ბევრი ვილაპრაკოთ, მრავალი პროგრამა შევიმუშაოთ და ამასობაში არ ავამაღლოთ მოთხოვნები მათი პრაქტიკული განხორციელების მისაღწევად. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საკადრო პოლიტიკას, სათანადო გამოცდილების პირების ჩართვას საქმიანობაში და მკაფიობრივი სონიალური პასუხისმგებლობის დაწესებას.

ცალკე თემად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში წლების მანძილზე დაუმუშავებელი მიწების პრობლემა. როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ მიწების პრივატიზაციის ქაოტურად ჩატარების შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობები გადაეცა კერძო საკუთრებაში და რა მოხდა? ერთჯერადად შეივსო სახელმწიფო ბიუჯეტი, ხოლო ხელშეკრულებაში სათანადო პირობების გაუთვალისწინებლობის შედეგად დღეს ამ ფართობებზე არ ინარმოება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ცხადია ამ საქმეში საჭიროა რადიკალური ზომების მიღება.

ვიზიქრობ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის გლობალური პრობლემების ნაწილობრივ მოგვა-

რებას ნაწილობრივ მოემსახურება რამდენიმე წინადადების დაყენება:

— ქვეყნის მასშტაბით უნდა ჩატარდეს სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო მიწების ინვენტარიზაცია. უნდა არსებობდეს მიწის კადასტრი. ვიცით, რომ ეს პროცესი დაწყებულია, მაგრამ ვადების განველვა (3-4 წელიწადი) ნამდვილად საფუძველს მოკლებულია.

— იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამაში არ არის გათვალისწინებული არასასოფლო მიწების გამოყენება, მაშინ რატომ უნდა იყოს თითოების შეუძლებელი მათი გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულად?

— ბენეფიციარების აუცილებელი ცოდნით ალტურვის მიზნით უნდა მოეწყოს სწავლება და ტრენინგები, ვინაიდან დღეს არსებული ცოდნა აბსოლუტურად არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

— დიდი ხანია ვრცელდება მოსაზრება და აუცილებლობა, რომელიც ეყრდნობა რეალობას ქვეყანაში აგრობანების ჩამოყალიბების შესახებ. აგრობანები უნდა იყოს ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, ბანკის პრიორიტეტი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის საწარმოების დაფინანსება დაბალპროცენტიანი (3%) გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებით.



— სოფლის მეურნეობის უფრო ეფექტურად მართვის მიზნით აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მიწების მართვის სადავეები გადაეცეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურებით და საერთოდ თუ უცხოელი ექსპერტები და საკუთარი მოსახლეობა თვლის, რომ საქართველო აგრარული ქვეყანა სასურველია სოფლის მეურნეობის მინისტრი იყოს ვიცე-პრემიერი. ეს ხელს შეუწყობს მთელი რიგი პრობლემური საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას.

— რაც შეეხება თვითმმართველობას რეგიონებში, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში სოფლის მეურნეობის მართვის რგოლი (სტრუქტურა), უნდა ითქვას სიმართლე, უსუსურად გამოიყურება. მათი უფ-

ლებები მკაფიოდ უნდა იყოს გამოყოფილი, რათა რეალურად შეძლონ ადგილზე ოპერატიულად ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და ფინანსური რესურსების მიმართვა სოფლის მეურნეობაში სათანადო უკუგებისა და ეფექტური ანობის გათვალისწინებით, რაც ნამდვილად აამაღლებს მათ ავტორიტეტს.

— და ბოლოს ჩვენს მოსაზრებებს სჭირდება სპეციალისტების მხრიდან ღრმა ანალიზი დარგის მეცნიერების აქტიური მონაწილეობით და კვალიფიციური დასკვნის მომზადება.

**გიგაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის განყოფილების უფროსი**

## — საეციალური თვალსაზრისი —

# აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სოფლის გაურეობები არსებული მდგრადირება და იგა-თა ქვეყნის აგრარულ სექტორი ჩართულობა - პრობლემები და კარსავითვა

აფხაზეთის ავტომობილი რესაუზლიკის აგროსამრევლობრივ კომპლექსს საქართველოს ეროვნულ გაურეობები უმიზველობას აღინიშნა 1991 წელიდან. აფხაზეთის პიუჯეტის თითოების 50% სოფლის გაურეობების წილად მოდიოდა.

ომისწინა პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობის 53% (280 ათასი კაცი) სოფლად ცხოვრობდა. აფხაზეთის აგროსამრეველობრივ კომპლექსში დასაქმებული იყო 60 ათასი ადამიანი. იყო წლები, როცა აფხაზეთში 100-120 ათას ტონა ციტრუსებს, 80-100 ათას ტონა ჩაის, 2-3 ათას ტონა თამბაქოს აწარმოებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომ შექმნილმა რეალობამ აფხაზეთში სოფლის მეურნეობის დარგის ღრმა კრიზისი გამოიწვია, რაც განპირობებული იყო როგორც გარე, ისე შეიგა ფაქტორებით. პირველ რიგში ეს იყო ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ იძულებით ტერიტორიის დატოვება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ეკონომიკური კავშირების მოშლა და

რაც მთავარია, საკადრო დეფიციტი. ამ მდგომარეობას ნათლად ასახავს რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსახლიანობის არსებული მონაცემები. კერძოდ: 1991 წელს მოიკრიფა 120000 ტონა ციტრუსი, ხოლო 2013 წელს – 38000 ტონა. 1991 წელს მოიკრიფა 99000 ტონა ჩაი, 2013 წელს კი – 435 ტონა. 1991 წელს მონეულია 47600 ტონა სიმინდი, ხოლო 2013 წელს – 19850 ტონა, 1991 წელს დამზადდა 2000 ტონა თამბაქო, ხოლო 2013 წელს – 4,4 ტონა, 1991 წელს დაკრიფა – 1520 ტონა ყურძნი, 2013 წელს კი – 347 ტონა. ზემოთაღნიშნული მონაცემები ნათლად

გვიჩვენებს არსებულ სავალალო მდგომარეობას, როდესაც ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის წარმოება ფაქტიურად შეჩერებულია, მაგ. ჩაი, თამბაქო და სხვა.

ომისშემდგომ პერიოდში აფხაზეთში უმნიშვნელო ტემპით დაიწყო თხილისა და კივის პლანტაციების გაშენება, თუმცა მათ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა სოფლის მეურნეობის დარღის განვითარებაში ვერ შეძლეს. საინტერესოა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ექსპორტის ბოლო მონაცემები: ციტრუსები – 28000 ტონა, ხურმა – 2000 ტონა, ფეიხოა – 600 ტონა, თხილი – 1500 ტონა, კივი – 52 ტონა, რაც ომამდელი პერიოდის ერთი სამუალო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის წარმადობის ტოლია.

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაა აგროსამრენველო კომპლექსი.



ბოლო მონაცემებით რეგისტრირებულია 357 სანამო, რომელთაგანაც მხოლოდ 36 ფუნქციონირებს, აქედან 15 სახელმწიფო და 21 კერძო. მათი ფინანსური მაჩვენებლები კი საკმაოდ არასახარბიელოა და უმრავლესობა სერიოზულ ფინანსურ ზარალს განიცდის. მაგ. ჯამურმა ზარალმა 2012 წელს 160 მილიონი რუბლი შეადგინა. აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება დეფაქტო აფხაზეთის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს მაშინ, როდესაც ომამდე ეს ნილი 50-52% შეადგენდა.

ამჟამად საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული ღონისძიებების მთავარი მიმართულებებია:

- მცირე მეურნეობები;
- რეგიონალური და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა;

• ინსტიტუციონალური განვითარება;

• სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა;

• ფერმერთა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

• გარემო და ბიომრავალფეროვნება;

• სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა.

ამ საკითხებზე მიმდინარეობს მუშაობა და ამოქმედებულია შესაბამისი მრავალი პროექტი, მაგრამ მიგვაჩინა, რომ აუცილებელია მეთესლების, სელექციის, სანერგებურნეობების და ჯიშთა გამოცდის ინსტიტუტების რეაბილიტაცია.

არ შევგვიძლია გვერდი ავუაროთ სამეცნიერო პოტენციალს. კერძოდ, ჯერ კიდევ 90-იან წლებში საქართ-

გამოყენებით შესაძლებელია ძალიან დიდი ეკონომიკური ეფექტის მიღება. დაგვეთანხმებით, რომ მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის მთავარი მამოძრავებელი ძალაა და მას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, თუმცა ამ საკითხის განხილვას უფრო სხვა ფორმატი სჭირდება.

მინდა მოკლედ მოგახსენოთ საქმიანობის შესახებ, რომელსაც ეწევა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი დევნილობაში.

– შევქმნით აფხაზეთიდან ი.გ.პ.-თა მონაცემთა ბაზა, რომელიც განსახლებული არიან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ანარმობები სასაოფლო -სამეურნეო პროდუქციისა ან აქვთ სურვილი დასაქმდნენ აღნიშნულ სფეროში.

– მიგალნიერ გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ადრე აფხაზეთის კუთვნილებაში არსებული 350ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწების ჩვენზე გადმოცემას სარგებლობის უფლებით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ყვარლის რაიონში მიწის ფართის გადმოცემის თაობაზე.

– დეპარტამენტის ხელშეწყობით მიმდინარე წელს მოხერხდა გადმოცემული მიწის ფართობებიდან 10ჰა დამუშავება და სიმინდის დათესვა საპილოტე პროექტის სახით. შესაბამისად მოწეულ იქნა 23 ტონა მოსავალი, რომელიც დარჩა იმ 12 დევნილოჯახს, ვინც უშუალოდ ჩაატარა კველა აგროტექნიკური სამუშაოები.

– გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისათვის შემუშავდა 7 პროექტი, რომელიც მოწეულებულ იქნა დროებითი სამთავრობო კომისიის მიერ და სახელმწიფომ აიღო ვალდებულება ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში პროექტის ღირებულების 10% -ით დაფინანსების თაობაზე.

– ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეცნიერებულების პროექტის განხორციელებისათვის სამეცნიეროში – გამყოფ ზოლში 12 000 ფრთა ფრინველზე. პროექტმა უნდა უზრუნველყოს 40-მდე ადამიანის დასაქმება. ამასთან ერთად აღნიშნული პროექტის იმპლიმენტირებით ირიბ სარგებელს მიიღებს კიდევ 300-ზე მეტი ადამიანი. პროექტს გააჩინა პატრიარქის კურთხევა და მსარს უჭერს საპატრიარქო, ამერიკული საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰეი-

ფერი“ და შესაძლებელია კიდევ სხვა ორგანიზაციების მხარდაჭერა. პროექტის საერთო ღირებულებაა 400 000 აშშ ლირა.

— დეპარტამენტი ახორციელებს სერიოზულ საქმიანობას მცხვნარეთა დაცვისა და ვეტერინარიის კუთხით თვით ოკუპირებულ ტერიტორიაზე — საქმიანობა ხორციელდება გალის რაიონის 22 სოფელში. შედეგად გვაქვს ის, რომ უკანასკნელი 2 წლის მანძილზე ალნიშნულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირდებულა შინაური ცხოველების საშიში დაავადების არცერთი შემთხვევა. ასევე პრევენციული ღონისძიებების შედეგად ლოკალიზებულ იქნა საკარანტინო მავნებლების არსებობის კერები.

— ოკუპირებულ ტერიტორიზე გალის რაიონში ჩართული ვართ წყალმომარაგებისა და საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციის პროექტების შედგენაში.

— ქ. თბილისის მერიის მიერ გადმოცემულ 7 ჰა ტერიტორიაზე გატყევება-განაშენიანების მიზნით დაირგო 1500-ზე მეტი ძირი ნინვოვანი და ფოთლოვანი ნარგავები, მომავალ ნელს დაგეგმილია კიდევ 1000 ძირის დარგვა.

— დეპარტამენტი ახორციელებს გარემოსდაცვითსა და ეკოსაგამანათლებლო აქციებს — გამწვანება, დასუფთავება, კეთილმოწყობა და სხვა დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში.

ჩვენ ვთვლით, რომ კიდევ მრავალი ჩანაფიქრის განხორციელება შეგვიძინდა.



ლია რიგი საკითხების მოგვარების შემთხვევაში, კერძოდ:

— სასოფლო-სამეურნეო პროგრამები დევნილთა აქტიური ჩართვისათვის აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შეტანა, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ ჩართულობას პროგრამებში განსხვავებული მიდგომებით.

— დევნილთა სარგებლობაში წლების განმავლობაში არსებული მიწის ნაკვეთების საკითხის მოითხოვს ლეგიტიმაციას, რაც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს და გაუმჯობესებს აფხაზეთიდან ი.გ.პ.-თა ეკონომიკურ მდგომარეობას.

აფხაზეთის ა/რ ლეგიტიმური მთავრობა ენერგიულად მოქმედებს შესაბამის სამთავრობო შტოებთან ზემოთალნიშნული საკითხების მოგვარების მიზნით.

დეპარტამენტს გააჩნია სერიოზული საკადრო პოტენციალი, მას ძალუძს კვალიფიციური კონსულტა-

ციები გაუწიოს ფერმერებს, მოაწყოს მათთვის მნიშვნელოვანი ნოვაციური წინადადებების სადემონსტრაციო ნაკვეთები და შესთავაზოს პრაქტიკული დახმარება ევროპული სტანდარტების შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და მათი გადამუშავების საკითხებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პარალელურ რეაქტივი ემსახურება დევნილი მოსახლეობის დასაქმების პრობლების მოგვარებას და კადრების გადამზადებას, რამაც დასაბამიუნდა მისცეს აფხაზეთში რეპატრიაციის შემთხვევაში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

**რეპატრიაცია, აფხაზეთის ა/რ სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის თავმჯდომარის /მოადგილე, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი**

## ვაჭარის განვითარები

# ცხოველის პროდუქტიულობაზე და ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები

ცხოველის ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა მოვლა-შეანების და კვების დონეზე ანუ მის კათილდღეობაზე, რომელიც უდაბი შევასახმავოდეს თავის უფლების 5 პრიცეპის, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარია „თავის უფლებაზე დისკომუნიკაციული მდგრადი რეაგირება“.

ცხოველისათვის კომიტორტის და დისკომუნიტის შექმნელია ის გარემო, რომელშიც ის მუდმივად იმყოფება (საძოვარი, შენობა).

ეკოლოგიური გარემო ჩამოყალიბებული კლიმატით (ატმოსფერო პროცესების ერთობლიობით) ამა თუ

იმ მეცხოველეობის საწარმოს ფუნქციონირების ზონაში გარკვეულწლად მოქმედებს ცხოველთა სიცოცხლისუნარიანობაზე, პროდუქტიულობაზე, გამრავლების პროცესებზე, დაავადების მიმართ გამძლეობაზე და ამთვისებლობაზე.

კლიმატის (რომელსაც განსაზღვრავს ამინდის მდგრადობა) ნეგატიური ცვალებადობა ხშირად მიზეზი ხდება როგორც ინფექციური, ასევე არაინფექციური დაავადებების მასიური გავრცელებისა. მაგალითად ენზონტიების განვითარება ბუნებაში ბალანსის დარღვევის შედეგია.

ამინდის (ატმოსფეროს ფიზიკური მდგრადი მომარეობის) ცვალებადობის წინასწარ განსაზღვრა მნიშვნელოვანია ხარისხიანი და სუფთა პროდუქტების წარმოებისათვის, რადგან ამინდის

თანმიმდევრული ცვალებადობა ნაკლებად საზიანოა ორგანიზმისათვის, ვიდრე მისი მკვეთრი (მოულოდნელი) ცვლილება. ამ დროს ორგანიზმი ვერ ასწრებს შეგუებითი მექანიზმების ამოქმედებას. ამინდის ცვალებადობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია აგრეთვე დაავადებათა დიაგნოსტიკა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება გადამდები სწრების ტოქსიკოზების და ცხოველთა სხვა პათოლოგიების მიმდინარეობისას.

აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კვლევის იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენება გვაძლევს საშუალებას დროულად გამოვალინოთ ის ძირითადი ფაქტორები (კლიმატი, ამინდი), რომლებიც ხელს

მდებარეობა. ჰავის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობენ შავი ზღვა და კავკასიონი. უკანასკნელი ქვეყანას იცავს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების უშუალო შემოქრისაგან, ხოლო შავი ზღვა და სამხრეთ მთიანეთიდან შემოქრილი ჰაერის თბილი მასები აზომიერებს ტემპერატურის მერყეობას და ხელს უწყობს ნალექების მოსვლას, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ამრიგად, საქართველოს ჰავის ფორმირებაში მონაწილეობენ როგორც ზომიერ, ისე სუბტროპიკულ სარტყელში განვითარებული ატმოსფერული პროცესები.

თავისი მნიშვნელობით ძირითადი ფაქტორი, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტულო-



უწყობენ ცხოველთა დაავადებების მასიურ გაჩენას და გავრცელებას.

კლიმატი, განსხვავებით ამინდი-საგან, უფრო მდგრადია, დამოკიდებულია ლანდშაფტზე და არის სეზონური.

მაღალპროდუქტული ცხოველები უფრო მგრძნობიარენი არიან კლიმატის და ამინდის ცვალებადობისადმი, ვიდრე დაბალპროდუქტული ინდივიდები.

მიუხედავად ცხოველის მაღალი ჯიშმბრივი და სანაშენე ნიშანთვისებებისა, მისთვის არახელსაყრელი კლიმატური პირობები არ აძლევს საშუალებას, ბოლომდე გამოამჟღავნოს თავისი გენეტიკური პოტენციალი.

საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე არის დედამიწის ზედაპირზე არსებული კლიმატის (ჰავის) თითქმის ყველა ზონა - დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. საქართველოს ჰავას განსაზღვრავს მისი

ბაზე და ჯანმრთელობაზე კვების შემდეგ არის გარემო ტემპერატურა.

საქართველო მზისგან მნიშვნელოვან სითბოს იღებს. მზის ნათების სანგრძლივობა 1350-2520 საათია, მზისგან მიღებული ჯამური რადიაცია კი 115-153 კვალ/ს/მ<sup>2</sup> ნელინადში. ჰაერის ტემპერატურა ადგილის ჰავის თავისებურების მაჩვენებლის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია და იგი დიდი კონტრასტებით გამოიჩინება. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია სონებში ( $15^{\circ}\text{C}$ ) ხოლო დაბალი - კავკასიონის თხემზე ( $5000\text{ m}$ ) -  $12,5^{\circ}\text{C}$ . განსაკუთრებული თბილი ზამთრით გამოირჩევა კოლხეთი, სა-დაც იანვრის საშუალო ტემპერატურა  $5-7^{\circ}\text{C}$ -ია.

ატმოსფერული პროცესების ერთობლიობა განსაზღვრავს ტერიტორიის ტენიანობის საკმაოდ დიდ კონტრასტებს. საქართველოს დიდი ნაწილი ატმოსფერული ნალექების სიუხვით გამოირჩევა, ნალექების სა-

შუალო წლიური რაოდენობა  $400-500$  მმ ფარგლებში იცვლება. საქართველო გამოირჩევა დღე-დამეში მოსული ნალექების სიუხვითაც (352 მმ). მაქსიმალური ნალექების მოსვლის ზონები დასავლეთ საქართველოში.

გაბატონებული ატმოსფერული პროცესების სირთულის გამო, ნალექების შიგანლიური განაწილება თავისებურია: დასავლეთ საქართველოში ნალექების მაქსიმუმი ზამთარში ან შემოდგომაზეა, მინიმალური - გაზაფხულზე ან ზაფხულში, აღმოსავლეთ საქართველოში მაქსიმუმი ზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისშია, მინიმალური ზამთარში.

ამინდი მრავალმხრივი მოქმედებით ხასიათდება. ცხელ ამინდს შეუძლია გამოიწვიოს ცხოველის ორგანიზმის გადახურება, როგორც შენობაში ასევე, მის გარეთ საძოვარზე ან ტრანსპორტირების დროს. პათოლოგიური პროცესების განვითარებას ინვევს თერმორეგულაციის დაძაბულობა.

ცივი ამინდი ხელს უწყობს ცხოველების გაციებას და მოყინვას. ღრუბლიანი ამინდი (ზამთარში და გაზაფხულზე) მკვეთრად ამცირებს მზის ულტრაიისფერი სხივების აქტიურ მოქმედებას ცხოველის ორგანიზმზე. ამინდი ზემოქმედებით შეიძლება გააქტიურდეს ან შემცირდეს საკვები შცენარეების ზრდა-განვითარება, შეიცვალოს მასში მიმდინარე ბიოქიმიური პროცესები და დაგროვდეს ტოქსიკური ნივთიერებები, ამაღლდეს ან გაუარესდეს საკვებისა და წყლის ხარისხი, შენელდეს ან გაძლიერდეს ცხოველთა რეპროდუქტული აქტიურობა, დაამუხრუჭის ან პირიქით ხელი შეუწყოს ინფექციური და ინვაზიური დაავადებების აღმძრელობის გამრავლებას და გავრცელებას.

ამინდის თანდათანობით ცვლა უარყოფითად არ მოქმედებს ცხოველზე, რადგან ხდება ორგანიზმის ადაპტაცია. ცხოველები ხდებიან უფრო გამძლე. აქტიურდება კანის თერმორეგულაცია, კუნთების და ჰუმორალური აპარატის ტონუსი, ნივთიერებათა ცვლა და ორგანიზმის ფუნქცია და სხვა.

საქართველოში ძირითადად მიმართავენ ცხოველების საძოვრულ შენახვას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტიულობაზე, პირველ რიგში კი ჯანმრთელობაზე. საძოვარზე ცხოველი მრავალი სახეობის მცენარეს იღებს, რომელიც მდიდარია მინერალებით, ვიტამინე-

ბით და ორგანიზმისათვის საჭირო სხვა ნივთიერებებით.

საძოვარზე ცხოველი დროის დიდ ნაწილს სუფთა ჰაერზე ატარებს და აქტიურად მოძრაობს მზის სხივების ზემოქმედების ქვეშ. მზის ულტრა-ინსფერი სხივები დადებითად მოქმედებს ცხოველის ორგანიზმზე. ის ხელს უწყობს D-ვიტამინის სინთეზს და სხვა.

სასურველია, რომ ცხოველი საძოვარზე დღე-ლამის განმავლობაში 10-14 საათი იმყოფებოდეს, ძოვების ოპტიმალური დრო კი ამინდის მიხედვით განვსაზღვროთ. ზაფხულის ცხელ ამინდში ძოვებისათვის საუკეთესოა დილის და სალამოს პერიოდი. შეუადლისას ცხოველი სასურველ შენობას ან ჩრდილს შევაფაროთ. ცხოველთა ამგვარ ძოვებას ხშირად მიმართავენ აზერბაიჯანელი მეჯოგები ქვემო ქართლის და კახეთის მთელ რიც სოფლებში. ასეთი მიდგომა გამორიცხავს მაღალი ტემპერატურის დისკომფორტულ გავლენას ცხოველზე.

ეკოლოგიურად სუფთა და უვნებელი პროდუქტების წარმოებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ცხოველთა სადგომების მიკროებატატის პარამეტრებს და მათ სისტემატურ კონტროლს.

ცხოველთა ფიზიოლოგიური მდგომარეობა დამოკიდებულია იმ პირობებზე, რომელშიც ისინი იმყოფებიან. ნორმალური ფიზიოლოგიური პროცესების დარღვევის შემთხვევაში პროდუქტიულობა ქვეითდება 35%-მდე.

არადამაკმაყოფილებელ გარემოს მივყავართ ცხოველთა მასიურ დაავადებამდე. აქედან გამომდინარე



ცხოველთა სათანადო მიკროელიმატის პირობებში მოთავსება შენობაში სპეციალისტების ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

შენობასთან, სადაც ცხოველებს დაბმულად ინახავნ, უნდა მოვაწყოთ სასეირნი მოედანი, სადაც ცხოველები ზამთარის თბილ ამინდში გაყავთ რამდენიმე საათით.

ცხოველის ფიზიკური აქტიურობა დადებითად მოქმედებს პროდუქტიულობაზე და ჯანმრთელობაზე. მოციონზე გაყავანა განსაკუთრებით სასარგებლობა მაკე პირუტყვისათვის. მოციონით სარგებლობის დროს ნაყოფი კარგად ვითარდება, მშობიარობა მიმდინარეობს ნორმალურად, ადვილად ცილდება მომყოლი, უმჯობესდება სხენის ფორმირება და იზრდება მერძეული პროდუქტიულობა.

შენობაში ცხოველისათვის საჭირო მიკროელიმატის შექმნა შედარებით იოლია, ვიდრე ღია ცის ქვეშ ბუნებასთან ბრძოლა.

ამინდის პროგნოზის მიხედვით უნდა გადავწყვიტოთ თუ როგორი რეჟიმით უნდა ვაძლოვოთ ცხოველები ან როდის გადავიყვანოთ ისინი ბაგურ შენახვაზე. პირუტყვი როგორც საძოვარზე ისე შენობაში სუფთა და სათანადო ტემპერატურის წყალს უნდა ღებულობდეს ნებაზე ან მინიმუმ 3-4 ჯერ დღე-ლამეში.

დაბალი ტემპერატურის (100-ზე ქვევით) წყალი უარყოფითად მოქმედებს წინა კუჭებში მიმდინარე მონელების პროცესებზე. ცივი წყალი გავლენას ახდენს აგრეთვე მაკე პირუტყვზე, შეიძლება განვითარდეს აბორტი.

თბილი წყალი (100-200<sup>0</sup>-ზე ზევით) წყურვილს არ უკლავს ცხოველს მინიმუმ 3-4-ჯერ დღე-ლამეში.

ცხოველებს ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათ არ შეექმნათ დისკომფორტი.

**თანხმო გურაშილი, მათმანი დაბალტა აგრარული უნივერსიტეტი**

## ვარგი თათვის

# ქრონის ფაზის ტიპები და კირველადი დახმარება

მსპილუხება რძოსანი პირუტყვის დაავადებათა გაურნალობა ვეტერინარიუმის კომანდოდია. მიუხედავად ამინდის, ყველა გენეტიკური, რომელიც მაცხოვლეობას მისდევს, უნდა იცოდეს დაავადებათა პროცესის მდგრადი განვითარების სიმართეში. ასეთი დაზიანების გამომდინარე და ზოგივე დაზიანების გამომდინარე და ზოგივე დაზიანების გამომდინარე.

ფაშვის ტიმპანია (ფაშვის შებერილობა) ძროხის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გადამდებ დაავადებად ითვლება და იგი გამოწვეულია ფაშვში დიდი რაოდენობით აირების (გაზების) და გაროვებით. ამ დაავადებას შედარე-

ბით ნაკლებად ვხვდებით წვრილფეხა რქოსან ცხოველებში (თხა, ცხვარი).

## ეტიოლოგია და აპოვანები

მიმდინარეობის მიხედვით არჩევენ მწვავე პირველადი, მწვავე მეორად





და ქრონიკულ ტიმპანიებს. მათი წარმოშობის მიზეზები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

მწვავე (პირველადი) ტიმპანია ვითარდება დიდი რაოდენობით სამყურას, იონჯის, ჭყინტი სიმინდის, ჭარხლისა და კომბოსტოს ფორთლის მიღებისას და ა.შ. ანუ ისეთი საკვების, რომელიც ადვილად განიცდის დუღილს, დაშლას და აირების გამოყოფას. დუღილი სწრაფად მიდის, თუ ეს საკვები საშუალებები ნამიანია და დასველებულია წვიმის წყლით საძოვარზე. სშირად ფაშვის შებერვა გამოწვეულია ზედმეტად კონცენტრირებული საკვების მიცემით. ასეთი ტიმპანიების შემთხვევაში წარმოქმნება ქაფი, რომელიც მიიღება ფაშვის მიკრობების მიერ მარცვლის გადამუშავებით და მათგან ლორწოვანი ნივთიერებების გამოყოფით.

ზოგადად – ტიმპანია ვითარდება მაშინ, როდესაც ფაშვში დარღვეულია აირების გამოყოფა, გამოიყოფა იმაზე მეტი აირი, ვიდრე ლიმიტირებული აირნარმოქმნა.

მეორადი მწვავე ტიმპანია ვითარდება საყლაპავი მიღის ან საყლაპავის დაცობის ფონზე. დაცობის მიზეზი შეიძლება იყოს მსხვილი საკვები (ძირხვენები), ნაგავი საკვებში (ქსოვილოვანი ნაჭერი, პოლიეთილენის პარკი და ა.შ.), შეიძლება სიმსივნური წარმონაქმნებიც და ა.შ.

ფაშვის გადავსება, ნაწლავების და სხვა ორგანოთა პათოლოგია, ნების-მიერი დაავადება, რომელიც ახლავს ფაშვის სეკრეტორული და მოტორული ფუნქციის დარღვევას, ინვენს პერიოდულ ტიმპანიებს, ქრონიკულ ტიმპანიებს.

ქრონიკული ტიმპანია უფრო ხშირად ემართებათ ხბორებს გარდა-მავალი კვების პერიოდში, ასევე ახალდაბადებულებს და ხბორებს, რომლებსაც გადატანილი აქვს დის-პეპსიები (საკვების მოუნელებლობა).

### კლინიკური ნიშნები

მწვავე ტიმპანიის განვითარებისას ცხოველებს ემჩნევათ მოუსვენრობა, იხედებიან მუცლისაკენ, დაბანან მოხრილად, უკანა კიდურებს ირტყამენ მუცელზე, სუნთქვა გახშირებული აქვთ. ქრონიკული მიმდინარეობის დროს ანალოგიური სიმბტომებია, მაგრამ მისი გამოვლინება არ არის სწრაფი, მადა ქვეითდება, ცოხნა მცირდება.

### დიაგნოზი

დიაგნოზი დაისმის კლინიკური ნიშნების საფუძველზე. უნდა გამოირიცხოს მეორადი ტიმპანია, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს საყლაპავი მიღის სრულმა დაცობამ, მონამვლამ ან მწვავედ მიმდინარე ზოგიერთმა ინფექციურმა დაავადებამ.

### პროგნოზი

თუ ცხოველს დროულად აღმოუჩენენ დახმარებას, მეტწილ შემთხვევაში შესაძლებელია მორჩენა.

### მკურნალობა

ტიმპანიის დროს ჩალით, ჯაგრისის ან მუშტის საშუალებით ზელენ მუცლის მარცხენა მხარეს (განსაკუთრებით საშიმშილე ფოსოს მიდამოს). დროხას პირში უდებენ ნავთში ან

მარილიან წყალში (1 სუფრის კოვზი მარილი ჭიქა წყალზე) დასველებულ ბანარს, ცოხნის გამოსაწვევად. შინაგანად შეჰყავთ 1-2 ლიტრი ახლადმოწველილი რძე, ან 1 სუფრის კოვზი ერთ ჭიქა წყალზე კრეოლინის, იხტიოლის, ასევე ნავთის (50-100გ ნავთი, შერეული 200გ არყყი და 2 ჭიქა წყალი) ხსნარი. მიზანშეწონილია ძროხას ხელით რიტმულად გამოვქაჩიოთ ენა და მივცეთ 100 გ დაქუცმაცებული ცარცი. ძროხას აძლევენ ხელმისაწვდომ ხალხურ საშუალებებს, მცენარეულ ზეთებს და მუცლის მარცხენა ნაწილს უსველებენ ცივი წყლით.

ტიმპანიის სამკურნალოდ ვამზადებთ კოქტეინს 0,5 ლ ზეთითა და იმავე რაოდენობის ინგლისური მარილის წყალს სარიცხვით (1 სუფრის კოვზი 0,5 ლ წყალზე). ამას გარდა, ძროხას შეიძლება პირში ჩავუდოთ ჯოხი, რომ პირი იყოს ლია გარკვეული დროის მანძილზე. ძროხამ ჯოხი რომ არ გამოაგდოს, ჯოხის ბოლოები მივაბათ რქებზე. იმავდროულად ძროხას ატარებენ ეზოში. თუ გაზები გამოდის თხევად განავალთან ერთად, ეს კარგია, რადგან ერთი-ორი საათის შემდეგ მუცლის შებერილობა დაცხება და ძროხა დაინტებს თივის ჭამას. ამ დროს სასურველია მივცეთ მხოლოდ ოდნავ შემხმარი ბალახი. შეიძლება დავალევინოთ მცირე რაოდენობით სკიპიდარი, უკეთესია ერთ ჭიქამდე არაყთან ერთად. პროცედურა გავიმეოროთ 15-20 წუთში.

ტიმპანიის დროს შეიძლება დაავამზადოთ ასეთი ხსნარები: ბოთლში ყრიან 2-3 კოვზ საჭმლის სოდას, ბოთლს ბოლომდე ავსებენ ახლად მოწველილი რძით და ყველაფერ ამას, შეჯანჯღარების შემდეგ მიაღებინებენ ძროხას.

აფუების პროცესების შესამცირებლად ფაშვში უნდა შევიყვანოთ იხტიოლი (1-2გ), ფორმალინი (5-10 მლ), კრეოლინი (5-15 მლ), რომლებიც გახსნილია 0,2-0,5 ლ წყალში. გაზების შთანმთქმელ საშუალებად ტიმპანიის დროს გამოვიყენოთ ახლადმოწველილი რძე (0,5-1ლ) კატაბალახას ნაყენთან (5-10მლ) ერთად. ამასთან ერთად, აუცილებელია გამოვიყენოთ მეთოდები, რომლებიც ააქტიურებენ წინა კუჭების პერისტალტიკას, რაც გაზების გამოშვებას აადგილებს. ამისათვის ფაშვს უკეთებენ მასაჟს მუშტით. ცოხნის

გამოსაწვევად ცხოველს პირში უდებენ მსხვილ თოკს, რომელიც უხვად არის დასველებული მძაფრსუნიანი ნივთიერებებით (კუპრი, იხტიოლი); აძლევენ თეთრი შხამას ნაყენს (2-5მლ).

ფაშვში საკუების აფუება შეიძლება შევამციროთ, ან შევწყვიტოთ სხვადასხვა წამლის მიცემით, მაგალითად, შსამას ნაყენი (10მლ – 0,5 ლ წყალში), იხტიოლის 2%-იანი სენარი, რძემუავა (15-20 მლ 0,5 ლ წყალში), აბუსალათინის ზეთი (300-400 მლ თბილ წყალში), გლაუბერის მარილი (500-800გ). ზოგჯერ მწყემსები ავადმყოფ ცხოველებს პირში ასხამენ 500-700 გ დიზელის ზეთს (გამონაკლის შემთხვევაში) და ძლიერ მარილიან წყალს. არის სხვა ხალხური საშუალებაც: ანაწევრებენ ნიორის ორ თავს, ურევენ 2 ლიტრ ახლად-მოწველილ რძეს და პირში ასხამენ ძროხას.

იმისათვის, რომ გამოვიწვიოთ ბო-  
ყინი და ცოხნა, ძროხის ენის ბოლოს  
აღიზიანებენ სკიპიდარში ან ნავთში  
დასველებული ჩალით, ენერგიულად  
სრესენ საშმშილე ფოსოს მიდამოს,  
ასევე მუცლის მარცხენა ნახევარს.  
ექიმის დანიშნულებით აძლევენ  
პრეპარატებს, რომლებიც აფექტის

გამოცემა

# ԱՐԴՅՈՒՆՈՒՅՆԱԳՐԻ ՀԱ ԽI ԿԱՐԿԱՆ

2006 წლიდან აშშ-ში და ევროპაში ამოქანდლა კანონი, როთაც გეცემ-ველეობაში, გეცემის ველეობაში და გეცემის ველეობაში ზრდის სტიმულაცი-რად ანგიბოლიკების გამოყენება აპირდება.

ასევე ფერმერულ მეურნეობებში  
ანტიბიოტიკების მოხმარება სამ-  
კურნალო მიზნითაც შეიზღუდა.  
პროცესს აკონტროლებს სერტიფი-  
ცირებული ვეტერინარი ექიმი, რო-  
მელიც ანტიბიოტიკის საჭიროებას  
განსაზღვრავს და რეცეპტის საშუ-  
ალებით ნიშნავს. კანონმდებლობით  
ასევე მკაცრად არის დაცული პრე-  
პარატის ხორცი, რძეში, კვერცხში  
და თაფლში დაყოვნების პირითიც.  
სამწუხაროდ, მსგავსი რეგულაცი-  
ები საქართველოში ჯერჯერობით  
კანონით არ ამოქმედებულა და შესა-  
ბამისად ცხოველური პროდუქტები  
არ გამოიკვლევა ანტიბიოტიკების  
შემცველობაზე.

მაშინ ვეტერინარებს ცხოველისათვის შეჰქავთ კუჭის ზონდი. უკიდურეს ზომად ფაშვს ხერეტენ სპეციალური ხელსაწყო ტროაკარით, რომელიც წარმოადგენს უჟანგავი ფოლადის მილაკს. მასში მოთავსებულია მახვილწერიანი ღერო. ნახვრეტს აკეთებენ მარცხენა საშიმშილე ფოსოს შუაში. ნახვრეტისათვის ზუსტი ადგილია ბარძაყის ძვლისა და უკანას სტელი ნეკნის შუა ადგილის შემაერთებელი ხაზი. ტროაკარის წვეროს ძლიერი დარტყმით მიმართავენ რამდენადმე წინ და ქვევით. ჩაარჭობენ რა ტროაკარს ფაშვში ღერო ნელა გამოაქვთ, რათა გაზები მილაკის საშუალებით თანდათანობით გამოვიდეს. დროდადრო აუცილებელია მილაკი დავხუროთ. გახვრეტის წინ საშიმშილე ფოსოს ადგილს პარსავენ და უსავმენ იოდის ხსნარს. ცხოველები, რომლებმაც ტიმპანია გადაიტანეს, რამდენიმე დღე ჰყავთ დიეტაზე, აძლევენ კარგი ხარისხის თივას და ქატოს, ან შერიის ფქვილის სალაფავს.

ტიმპანით დავადების თავიდან ასაცილებლად მშერი ცხოველები დილით მაშინვე არ უნდა გავიყვანოთ ქორდა ბალახიან საძოვარზე.

ԱՎՐՈՐԱՆ ծալվածից ցացնեամდյ մատ սնճա մոցպէտ գրութառդենի շեքը սակցըն. առ Շեյօձլեցա ցիրուցլեցն ու դարնցուցլեցա յորդյա ծալակն մոլց- ծուտանցաց. մրուեցն սատզու ուղղո- լուս սանոնա աջմդցա սաշյալեցն աջ Շեյօձլեցա ցամոցուցյնու նոորո. ամ մուննու մուսցան ամֆա գրեն նայեն և Շեմդցցու ցանցարումըն: 100 ց նոո- րու յորտ լուգր նյալնից. յորտու մրո- ւսատզու ամ նայեն օրնիւա 50-60 ց ենարո.

პრეპარატ მენბუთინის 10%-იანის  
გამოყენების შემთხვევაში, შეძლებთ  
ნაკლები შრომისა და ენერგიის და-  
ხარჯვით უმცურნალოთ ტიმბანიასა  
და ძროხის საჭმლის გადამამუშავე-  
ბელი სისტემის სხვა გართულებებს,  
როგორიცაა ფაშვის გადატვირთვა,  
შებერილობა, ყაბზობა და ა.შ. პრეპა-  
რატი ნელა შეჰყავთ ვენაში ან ღრმა  
ინერციით კუნთში.

ରୀତ ଉତ୍ତରମ ଧରନୁଣ୍ଡି ପକ୍ଷିରେ  
ବୀସ ଫ୍ରାଙ୍ଗାଦ୍ୟବିଶ୍ଵିଳି ପିର୍ବତେଲାଦ୍ୟ  
ଫାଶମାର୍ଗରେବା, ଶେର୍ଦ୍ଦେଶି ପକ୍ଷିରେ ହେବେକ୍ଟିଶ୍ଵ-  
ରୀତି.

## ମିଶନ୍ ମିଶନ୍ରେ,

“ମୋଦାଯଳୀର ଜ୍ୟେଷ୍ଠମେରୀର”



შორის, საქართველოშიც გაიზარდა  
მოთხოვნილება სრულყოფილ, ეკო-  
ლოგიურად უსაფრთხო და მეცხო-  
ველეობის ბიოლოგიურად „სუფთა  
პროდუქტების“ წარმოებაზე, რისთვი-  
საც ანტიბიოტიკების და სხვა ქიმი-  
ური ნივთიერებების მაქსიმალური  
შეზღუდვა და მეურნეობებში ბიო-  
ლოგიური პროდუქტების დანერგვაა  
საჭირო.



მედი პრეპარატებით გამოწვეული ნინილების და გოჭების დაზიანებული ნაწლავების ნორმალიზებით, მონელების პროცესის და საკვების ათვისების გაუმჯობესებით. პრობიოტიკები ფართოდ გამოიყენება არასპეციფიკური იმუნიტეტის სტიმულაციისათვის, პროფილაქტიკის და მკურნალობისათვის კუჭ-ნაწლავის ინფექციების, ალიმენტარული ეტიოლოგიის მონელების დარღვევისათვის, რაც ხშირად გამოწვეულია: უსარისხო და არაბალანსირებული კვებით, ხანგრძლივად და უკონტროლოდ ანტიბიოტიკებს და სულფანილამიღური პრეპარატების მიღებით, არასასურველი ეკოლოგიური გარემოთი, ტექნოლოგიური დარღვევებით და სტრესის ფონზე.

პრობიოტიკები ცოცხალი მიკ-რობული დანამატებია, რომლებიც დადებით გავლენას აძლენს ცხოველების და ფრინველების ორგანიზმში ნაწლავურ მიკროფლორაზე და ხელს უწყობს მონელების პროცესს. პრობიოტიკები ხასიათდება კუჭ-ნაწლავის როგორც პროფილაქტიკური და სამკურნალო მოქმედებით, ასევე ანტიბიოტიკებით და სხვა ძლიერმოქ-

### პრობიოტიკების თვისება და სარგებელი:

- აწესრიგებს სასარგებლო მიკ-როფლორას ნაწლავებში;
- ამცირებს ნაწლავური პათოგენური აგენტების გამრავლებას;
- აუმჯობესებს სხეულის წონის ზრდას;

- აძლიერებს საკვების გარდაქმნას და მონელებას;
- ამცირებს წყლის გამოდინების სიხშირეს ნაწლავის ფორებიდან;
- ამცირებს ცხოველისა და ფრინველის სიკვდილიანობას;
- არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება და მოცდის პერიოდი.

ვეტერინარული კომპანია „ინვეტი“ გთავაზობთ ავსტრიული კომპანია „ბიომინ“-ის ნარმოებულ საკვებ დანამატს Poultry Star-ს, რომელიც დაფუძნებულია ნატურალურ ინგრედიენტზე და მოიცავს პრობიოტიკების და პრებიოტიკების კომპლექსს (Enterococcus sp, Bifidobacterium sp, Pediococcus sp, Lactobacillus sp).

Poultry Star ნარმოადგენს მეფრინველების პრობიოტიკების და პრებიოტიკების რაოდენობას, იცავს კუჭ-ნაწლავს მავნე ბაქტერიებისაგან და მათგან გამოწვეული დავადებებისაგან.

**დავით სირამალაძე,**  
ვეტერინარული კომპანია „ინვეტის“ საკონსულტაციო ჯგუფის ხელმძღვანელი, მეფრინველების ექსპერტი

## ვეტერინარის გვარდი

რუბრიკას უძღვება „მომავლის ფერმერი“

# ტექნიკური კიბეტის მოჭორილების გადამზადების მიზანი

მოგვთხოვთ ან დარიალო, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ასაუგებ მიზანი შემოსილი არა არა სამართლებრივი სამსახურის უფლებამოსია.

1. ზამთრის პერიოდში ხელის ფალარათების მიზანი რა არის და როგორ მოვალესათ ამის შედეგად განვითარებული სისტემი?

უფრო ხშირ მიზანი განეკუთვნება: სიცივე, ჰელმინთები, საკვების მდარე ხარისხი. აუცილებელია სადგომის დათბუნება, დედის ანტიპელმინთური დამუშავება (ზოგჯერ აუცილებელი ხდება ხბოს დამუშავებაც ფენბექსი 500-ით), სწორი და დროული ანტიბიოტიკოთერაპია (რიბაფლოქსი, პენბექსი, ამოქსიცილინი 15% LA). ხანგრძლივი ფალარათის შემთხვევაში (დიდხანს მკურნალობის გარეშე დატოვებისას) ვითარდება პარეზი, ალნერიოლის ლეტალური შემთხვევებიც ძლიერი სისუსტის დროს. ამიტომ აუცილებელია მკურნალობის შემდგომ (ან პარალელურად) პრეპარატების: კალფოლსეტის ან კალსიმინის გამოყენება. სასურველია გაუკეთდეს ვიტამინები (ვიტამინი AD3E ან ბეფორველი). მოზარდს შეურჩევენ კარგი ხარისხის საკვებს ნორმირებული რაოდენობებით.

2. ჩვეს ძროხს ჰელმინთური გავრცელების მიზანი რა და მოვალეობა მავდარი ხდო. არ ჩატარები არავითარი მკურნალობა. გავიდა სამი თვე და აღარ მაკლება. რა ზოგადი უნდა მივიღოთ აა ძროს აა რა უნდა გავითვა-ლისის შემთხვევის?

აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის წინა მდგომარეობა, რამაც გამოიწვია ნაადრევი მშობიარობა. პირველ რიგში უნდა გამოირიცხოს ბრუცელოზი, შემდგომ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ანტიბიოტიკოთერაპია (პრიმაფული, ოქსიტეტრაცილინი 200, ცეფტიკილი ან პენბექსი) და ვიტამინი AD3E-ს ინექციები.

3. რა პრეპარატები გამოვიყენო, როცა ცხოველი მოვალეულია?

აუცილებელია დადგინდეს მოწამვლის ეტიოლოგია. ვაკეთებთ ატროვილს და კალფოლსეტის. ატროვილი წარ-

მოადგენს ატროპინის 1% ხსნარს; ასევე ანტიდოტური მოქმედება აქვთ კალფოსეტს ან კალსიმინს, რომლებიც აგრეთვე გადასხმის შემცვლელ პრეპარატებს წარმოადგენენ და ხსნან კალციუმისა და ფოსფორის დეფიციტს.

#### 4. ჩიმა ძროხამ იმშობიარა და აქვს ცოტა რპმ. რა პრეპარატი გამოვიყენო ამ დროს?

აუცილებელია ჩატარდეს აგალაქტიის პროფილაქტიკა ტილოზინა 200 ან ტილოტექსის საინექციო ხსნარებით. პარალელურად ვუკეთებთ კალფოსეტს ან კალსიმინს და

კვების რაციონს ვაბალანსებთ მეწველი ფურის საკვები რაციონის მიხედვით.

#### 5. ჩიმა 2 თვის ნაგაზის ლაპას სიარულის დროს უცხაბი უმატესად მოხილი დააპას. შიაზე დამუშავებულია და არც გამოდარის.

ამ ჯიშის ძალლების სხეულის წონა უსწრებს ჩონჩხის გაძვალებას, სუსტ ძვლებს კი უჭირთ მეტი მასის ტარება. ამიტომ უნდა ვაძლევდეთ მინერალების ნაკრებს. საუკეთესოა განასუპერვიტის (ვიტამინების მინერალების კომპლექსი) აბები: დღეში ერთი აბი ერთხელ 15-30 დღე.

## აგრონომის გვერდი

რუბრიკას უძლვება „მომავლის ფარმატიკი“

# ჩატოთ პითევა ჩგრძლოთან?

მოგვიანი ან დარჩევი, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ასუს მილებთ ურნალ „ახალი აგრარული საქართველოს“ საშუალებით.

#### 1. რა უძა გავითვალისწინოთ ხეხილის გაღის გაშევისას?

ხეხილოვანი კულტურების გაშენების დროს დიდი ყურადღება ექცევა საბალე ადგილის შერჩევას, მის ადგილ-მდებარეობას, გრუნტის წყლის დონეს, ნიადაგის არის რეაქციას, ნაკვეთის მომზადებას, განიყირებას, ქარსა-ცალი ზოლების მოწყობას, ჯიშების, დამატებულების შერჩევას და უკვე გაშეხებულ ბალში მის გამოკვებას და ინტეგრირებულ დაცვას.

ხეხილის ბალის გაშენებამდე ზემოთხსენებული ღონისძიებების გათვალისწინებით უკვე შერჩეულ-მომზადებულ ნაკვეთზე, სასურველია სარგავი ორმო ამოღებული იყოს რამდენიმე დღით ადრე.

სარგავი ნერგები უნდა მოთავსდეს მზისგან დაცულ ადგილზე და დაეფაროს სველი ტილო ფესვების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად. აუცილებელია ნერგის შემოწმება და მექანიკურად დაზიანებული ფესვის ბოლოების ზომიერად ნაკვეპა. ფესვები ორმოში კარგად უნდა გაიშალოს, მიწა მიეყაროს, ფეხით კარგად დაიტკინოს, ნერგი აწევ-დანევით ფრთხილად შეირჩეს და ჯამი გაუკეთდეს.

ნერგი ირგვება იმ ვარაუდით, რომ ნიადაგის დაჯდომის შემდეგ ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 4-5 სმ-ის სიმაღლეზე მაინც განთავსდეს. ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა მის ვერტიკალურ მდგომარეობას.

ხეხილის ბალი უნდა გაშენდეს ისეთ ადგილზე, სადაც წყალი არ გუბდება და კარგად იწრიტება. ნამყენის დარგვისას აუცილებლია მორნჟა 1 ნერგზე 25-30 ლ წყლის გათვლით, რომელიც მეორდება დარგვიდან მეორე, მე-ოთხე და მეშვიდე დღეს.

დარგვის შემდეგ დაუტოტავი ნერგი გადაიჭრება 60-80 სმ სიმაღლეზე, დატოტვილი კი შემდეგ ფორმირდება, რომელსაც აკრავენ სარზე ან მავთულზე კანაფით.

#### 2. ხეხილის გაღის M9 და M26 (ინტენსიური და ნახვიდან ინტენსიური ტიპის ნაგალა საძირე) საძირეს მახასიათებლები -

\* ხასიათდება სუსტი ზრდით;

\* ახასიათებს მსხმოიარობის ადრე დაწყება, მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მეორე წელს;

\* სრულ მსხმოიარობას იწყებს ნერგის დარგვიდან მე-4-5 წელს;

\* ხეების მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 2,5 მეტრს;

\* მაღალმოსავლიანია;

\* ერთ ჰექტარზე 1 500-2 000 ნერგის დარგვის საშუალებას იძლევა;

\* ხის სიმაღლიდან გამომდინარე ასეთ ბალში გაადგილებულია ნაყოფების დანორმება, არ ახასიათებს მეწლეობა;

\* ფესვთა სისტემის ზედაპირული განვითარების გამო, მოითხოვს სისტემატურ მორწყვას;

\* საძირის სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 20-25 წლით;

\* საჭიროებს საყრდენ სისტემას;

#### საძირე M26

\* ხასიათდება საშუალო ზრდით, მიღრეკილება აქვს უფრო სუსტი ზრდისკენ;

\* M9 საძირეზე 20%-ით მეტი ზრდა აქვს;

\* ახასიათებს მსხმოიარობის ადრე დაწყება, მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მესამე წელს;

\* სრულ მსხმოიარობას იწყებს დარგვიდან მე-5 – 6 წელს;

\* ხეების მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 3 მეტრს;

\* მაღალმოსავლიანია;

\* ერთ ჰექტარზე იძლევა 1000-1500 ნერგის დარგვის საშუალებას;

\* ფესვთა სისტემის ზედაპირული განვითარების გამო, მოითხოვს სისტემატურ მორწყვას;

\* საძირის სიცოცხლის ხანგრძლივობა განისაზღვრება 25-30 წლით;

\* საჭიროებს საყრდენ სისტემას.

რუპრიტას უძღვება „ორგანიკური“

## გელა გელაშვილი



გელა გელაშვილი „ორგანიკური“ ფერმერია. მან ფერმერული საქმიანობა უწევს თვის წინათ, საძართველოში აირველი ნატურალური აროლურტების ჰიპერმარკეტის – „აზროვნაგის“ შექმნის შემდეგ დაიწყო.

„აგროპაბის“ უმთავრესი იდეა მომხმარებლებისათვის ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება და მყიდველისათვის 100%-ით ნატურალური ქართული პროდუქტების შეთავაზებაა. შესაბამისად, საჭირო გახდა მეფრინველებისა და მე-

საქონლეობის ფერმების აშენება. პროფესიონალური ეკონომისტებმა გელა გელაშვილმა თავისი ყოველდღიური საქმიანობა „აგროპაბის“ დაუკავშირა. მიუხედავად იმისა, რომ ფერმერულ საქმიანობასთან შეხება თითქმის არ ჰქონდა, თანამოაზრებთან ერთად

ფერმების მართვას შეუდგა და დიდი მონდომების შემდეგ, მოკლე დროში საქმეს კარგად გაართვა თავი.

გელა გელაშვილის აზრით, დამწეული ფერმერისთვის აუცილებელია ნაკლები სიჩქარე და ხშირი კონსულტაცია გამოცდილ, კომპეტენტურ ადამიანებთან.

„აგროპაბის“ იდეიდან გამომდინარე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია უნდა გაგვეტანა ბაზარზე. უბრალოდ წარნერებსა და ეტიკეტებს ვერ ვენდობოდით, ამიტომ გადავწყვიტეთ საკუთარი ფერმების მშენებლობა, რათა ჩვენი პროდუქციის სიჯანსაღეში ბოლომდე დარწმუნებულები ვყოფილიყვავთ. ფერმების მშენებლობისას უამრავ პრობლემას წავაწყდით, ჩვენი გამოუცდელობიდან გამომდინარე, თუმცა „მომავლის ფერმერის“ კონსულტანტებთან ინტენსიური საუბრების შემდეგ მალევე შევძელოთ პრობლემების აღმოფხვრა და განვითარება“, – ამბობს გელა გელაშვილი.

დღეს გელას და მის თანამოაზრებს ითხო ფერმა აქვთ და უახლოეს პერიოდში გაფართოებას გეგმავენ.

## ვანო კაკაშვილი

ვანო კაკაშვილი ცარგათებული ახალგაზრდა აგრონომია. მას ამ პროფესიისადმი ინტერესი ჯერ კიდევ გავაშვილდა გაუჩედა და ფიქრობს, რომ პროფესიის არჩევისას სოფრი გადაცემასთან გილო. ვანოს თქმით, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის პროფესიონალური აგრონომიას არსებობა მნიშვნელოვანია და დღეს მათზე დიდი მოთხოვთანა.

„გავიზარდე გორის რაიონის სოფელ სკრაში. სოფელში მეხილეობის საცდელი სადგური მდებარეობდა, სადაც მამა მუშაობდა. ადრეული ასაკიდანვე დავყვებოდი ხეხილის ბაღებში და ეს დარგი ჩემში დიდ ინტერესს იწვევდა. მაშინვე დავინტერესდი მყნობით და ხალისით ვმუშაობდი ჩვენს საკუთარ ბაღში განთავსებულ პატარა სანერგეში. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ გა-

დავწყვიტე, აგრონომიული განათლება მიმედო.

2003 წელს აგრარულ უნივერსიტეტში ჩავაბარე. მისი დამთავრების შემდეგ გერმანიაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით წავედი. დავამთავრე გერმანული ენის სასწავლო სკოლა, შემდეგ კი ვაიენსტეფანის უნივერსიტეტში ჩავაბარე. საქართველოში 2011 წელს დავპროდიდ და დავიწყე მუშაობა ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვ-



ნულ ცენტრში, სოფელ ჯილაურაში. ჩემს საქმიანობაში შედიოდა ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ ხე-

ხილის სანერგეში აგროტექნიკური ღონიძების ჩატარება, მყნობის ორგანიზება, ნერგების სხვლა-ფორმირება, აგრეთვე მონაწილეობას ვიღებდი ცენტრის ტერიტორიაზე ახალი ბაღების გაშენებაში. 2013 წლიდან ვმუშაობ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო კვლევით ცენტრში. დაკავებული ვარ სანერგეში ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით და მონაწილეობას ვიღებ ახალი ინტროდუცირებული ხეხილის ჯიშების შესწავლაში. პროფესია რთულია, იქიდან გამომდინარე, რომ გვინევს როგორც უამინდობაში, ასევე ძალიან დიდ სიცხეში გარეთ, საველე პირობებში მუშაობა", – ამბობს ვანო კაკაშვილი, რომელიც სოფლის მეურნეობაში



ახალი მიღწევების გასაცნობად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ გამოფენებსა და სემინარებში მონაწილეობს.

ვანოს თქმით, კარგ აგრონომს აუცილებლად უნდა ჰქონდეს როგორც თეორიული, ასევე – პრაქტიკული გამოცდილება.

## მათევზობა

# გამოუყანებელი რეზერვები მათევზობის განვითარებისთვის

გადაჭარებული არ იქნება თუ ვიზუალ, რომ მათევზობა საქართველოში არსებითად არ ვითარდება მიუხედავად იმისა, რომ მათევზობის განვითარების პრასახატივები საქართველოში მრავალი პუნქტი მონაცემით შეიძლება იყოს განვითარებული.

კავკასიონის ქედზე არსებული მყინვარები, რომელთაც ქედის სამხრეთ ნაწილში ვხვდებით ყოველწლიურად დიდი რაოდენობით ყინულის მასას კარგავენ, რაც ჩვენი ქვეყნის უხერცილიანობას განაპირობებს.

გვაქვს დიდი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელიც შემდეგი სახით ნარმოვიდგება:

1. მდინარის წყალუხობა;
2. მაღალმთიანი ზონებიდან მდინარის ვარდნილობა და მათ მიერ სასუქების სახით ლამის ჩამონატანი;
3. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა, ჰავა და კლიმატი;
4. დამშრობი და სარწყავი საირიგაციო არხების სიმრავლე;
5. ბუნებრივ წყალსატევებში ბინადარი თევზებისთვის საკვების მრავალფეროვნება;
6. მუდმივი დინების სუფთა წყაროს წყლები საკალმახე მეურნეობის მოსაწყობად.

7. საქართველოში შ. ცომაიას მონოგრაფიით აღრიცხულია 32 198 დიდი და პატარა მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე 75 553 კმ-ია. აქედან თევზის მეურნეობის თვალსაზრისით



მხოლოდ 200კმ გამოიყენებოდა. მეცნიერულად შეუსწავლელია ქვეყნის ზოგიერთი წყალსაცავის, მდინარის, არხებისა და ტბების ათვისების, მათში თევზთა სახეობის მიხედვით წარმოებისა და ბუნებრივი საკვების პირობები. ეს უკანასკნელი კი სხვა ხელშემშეღები მიზეზებთან ერთად საშუალებას არ იძლევა კონკრეტული წყალსატევის პასპორტიზაციისთვის. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დღემდე

არ ხერხდება თანამედროვე, მეცნიერული პირობების საფუძველზე დარგში მაღალპროდუქტიულობის მიღწევა, რაც რიგი მიზეზებით არის განპირობებული. არ ხდება დღემდე ჯერ კიდევ შემორჩენილი მეურნეობების აღდგენა-რეკონსტრუქცია, მათი სრულ სისტემიანობაში მოყვანა, მძლავრი საინკუბაციო სამქროს შექმნა, რომელიც ქვეყანას მოამარავს 30-50 გრამიანი სტანდარტული სანაშენე მასალით. არ იკრძალება ჩასასმელი მასალის სხვადასხვა რეგიონებიდან მეცნიერულად დაუსაბუთებელი და უკონტროლო შემოყვანა და წყალსატევების დათევზიანება მაშინ, როდესაც ყველასათვის ცნობილია, რომ აღნარმოება ეკონომიკურად გამართლებული პროცესია და გარკვეული დამზღვევი ეპიზოოტოლოგიური კეთილსამედოობისა.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე ადგილზე უნდა მოხდეს ჩვენში ბინადარი ისეთი ძვირფასი თევზის გადამუშავება – გამოყვანა, როგორიცაა: კალმახი, სქელმუბლა, კობრი, ჭაფალა, სივი, პელიადი და სხვა. თევზის მოშენება-მომრავლება შეიძლება საქართველოს მთისა და ბარის მთელ რიგ რაიონებში. ეკონო-

მიკური გაანგარიშება საფუძველს იძლევა ვთქვათ, რომ ის დიდი არხები, რომლებიც ამჟამად მიტოვებულია და გამოყენებული, აღდგენის შემთხვევაში საკმარისო და მათი სამეურნეო თვალსაზრისით გამოყენების შემთხვევაში მივიღებთ არანაკლებ პროდუქციას, ვიდრე -მეცხოველეობის ფერმები. ასეთ არხებს წარმოადგენენ საქართველოში განლაგებული ჰიდროელექტროსადგურების მკერდის და სადერივაციო არხები და აგრეთვე დამშრობი და სარწყავი საირიგაციო სისტემები.



საქართველოს მდინარეებში მყარი ჩამონადენი ფორმირდება ზედაპირული ჩამონადენის, კლიმატური პირობების, ნიადაგის შედგენილობის, ცხოველური, მცენარეული საფარის და სხვა ფაქტორების ერთობლივი მოქმედების შედეგად. ჩამონარეცხი წყლების ხარჯზე მდინარეებსა და არხების წყლებში დიდი რაოდენობით მოედინება წყალში გახსნილი აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, კალციუმი და სხვა მიკროელემენტები. იკარგება ძვირფასი ბუნებრივი სასუქი, რომლის გამოყენებაც შეიძლება თევზის სამეურნეო წყალსატევებში თევზის პროდუქტიულობის გასაზრდელად.

მდინარის მიერ ჩამოტანილი ორგანული და მინერალური ნივთიერებები გამოიყენება თევზის ბუნებრივი საკვების წარმოსაქმნელად. ეს ნივთიერებანი წლების მანძილზე განიცდიან რა ჰაერისა და მზის უხვის სხივების

აქტიურ მოქმედებას, ხელს უწყობენ მცენარეული და ცხოველური საკვების უხვად წარმოქმნას, რაც 2-3 ჯერ ზრდის თევზის პროდუქტიულობას როგორც დასავლეთ საქართველოში, სადაც სუბტროპიკული ჰავა და კლიმატია, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც გვალვიან ზონად ითვლება.

ცნობილია, რომ მოტივტივე ფრაქციების ნალექი, რომელიც ლამის სახით წარმოგვიდგება და მდინარის ჩამონატანს წარმოადგენს, შეიცავს 72% ორგანულ ნივთიერებას, ხოლო ცხოველური წაკელი ნივთიერებათა

დალექილ ლამს – როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქის სახით, ამით კი ხელს შევუწყობთ თევზის ბუნებრივი საკვების წარმოქმნასა და გაზრდას. ამავე დროს, გაიზრდება წყალში უანგბადიანობა, ხოლო წყლის განახლებით თევზის პროდუქტიულობაც.

მეთევზეობის განვითარებისთვის გამოყენებელი რეზერვებიდან აღსანიშვნაია საქართველოში რეგისტრირებული თერმული წყლების არსებობა, რომელთა ტემპერატურა 50 დან 100°C-მდე აღწევს. აღნიშნულის გამოყენება ზამთრის პერიოდში საგრძნობლად გაზრდის სავეგეტაციო პერიოდს და შესაძლებელს გახდის თევზის ორი მოსავალი მივიღოთ. თბილი წყლით სათავე ტბორის გათბობა და მისი დანერგვა პირველი იქნება საქართველოს თევზის მეურნეობაში, რაც შემოსავლიანს გახდის ქვეყნის მეთევზეობას.

როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, წარსული წლების შეცდომები მნიშვნელოვანი გაკვეთილებია იმისათვის, რომ შინაწყალსატევებში ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნებასა და თევზის მეურნეობათა გაზრდაზე მნარე გამოცდილების გათვალისწინებით ვიზრუნოთ.

1990 წლამდე, ქვეყნის თევზის სამეურნეო კომპლექსის სანარმოო სიმძლავრეების გამოყენების შედეგად, საქართველო ყოველწლიურად მოიპოვებდა ოკეანეებში (ატლანტისა და ინდოეთის) 60-65 ათას ტონა თევზს, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლში 80-100 ათას ტონა ქაფშიას.

ოკეანით გატაცებულნი, რადგან ოკეანე დიდძალ იაფასიან თევზს იძლეოდა, სათანადო ყურადღებას არ ვაქცევდით შინაწყალსატევებს. დადგა დრო შეიქმნას თევზის სამეურნეო ტრადიციები და თევზის სამეურნეო მეცნიერება, რომელიც მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე დაირაზმება. უარი უნდა განვაცხადოთ ნადირობის აზარტზე და გონივრულ მეურნეობრიობაზე გადავიდეთ. საჭიროა დროისა და რესურსების ზედმეტი დანაკარგების გარეშე მოვახდინოთ ერთგვარი შემობრუნება „ნადირობიდან“ მეურნეობისაკენ, ოკეანიდან -შინაწყალსატევებისაკენ. ამასთან, არ უნდა დაგვაფიქტდეს, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ბიოსფეროს დაცვა

მრავალრიცხოვანი პოპულაციების გაქრობისაგან. მნიშვნელოვანია ნებისმიერი საშუალებით იმ აკვატორიუმის ჰიდროფლორისა და ფაუნის დაცვა-შენარჩუნება, რომელიც თავისთავად წარმოადგენებ ენდემური ფორმებით საქართველოს მდიდარ გენეტიკურ მასალას.

აუცილებელია თევზის რენვის ზღვარის გულდასმით შესწავლა. ამ სიდიდის ამჟამად მოქმედი მარეგულირებელი სისტემა არაფრით არ არის გამართლებული, ვინაიდან პოპულაციდან მსხვილი ინდივიდების ამოღება ხელს უწყობს ძნელად მზარდი ინდივიდების გენეტიკურ დამკვიდრებას, რომლებიც საჭიროებენ ბევრ საკვებს და ბიომასას არ ქმნიან. ბიოცენოზში არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით გულდასმით უწდა დასაბუთდეს

სააკლიმატიზაციო სამუშაოები. ადგილობრივი თუ საზღვარგარეთის სამეცნიერო-კვლევითი კორპუსის მიერ მომზადდეს წარმოების სპეციალისტები, რაც დღეისათვის საქართველოში ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენს. ქვეყანაში არ არსებობს იქტიოპათოლოგიური სამსახური, რომელიც პრაქტიკაში დანერგავს მეცნიერულად დასაბუთებულ წინადადებებს. მეთევზობაში მეცნიერული წინადადებებისა და რეკომენდაციების ფართოდ დანერგვა კი საშუალებას მოგვცემს შევამციროთ თევზის დანაკარგები მისი გამოზრდის პროცესში და ამით გავზიარდოთ მისი წარმოება. ყოველივე ითვალისწინებს მნარმანებელთა ელიტური ჯოგის შექმნას და გარკვეული გეგმით გენეტიკურ-სელექციური მიმართულებით მუშა-



ობის წარმართვას მზარდად, ადრე მომწიფების უნარიან და დაავადებათა მიმართ მედეგი სატბორე თევზის წარმოებას.

**თავაზ გავაშვილი,  
გეტერინარიის დოქტორი  
ეკოლოგიურ მეცნიერებათა  
აკადემიის წევრი**

## საკვეთარმოება

# შეფუთული სენაჟის დამზადების ახალი ტექნოლოგია მნიშვნელოვანად განსხვავდება სენაჟის დამზადების ტრადიციული ტექნოლოგიისგან.

შეფუთული სენაჟის ტექნოლოგიას ის უპირატესობა აქვს, რომ საკვების ყოველი ბარდანა ჰერმეტული მინისაცავია და მისი გახსნა არ ქმნის

საკვების განმეორებითი ფერმენტაციის საშიშროებას, რაც ტრანშეისა და საკვების სხვა საცავის ჰერმეტიზაციის დარღვევის შემთხვევაში გვხვდება.

ამ ტექნოლოგიის გამოყენებისას საკვების დანაკარგები საველე სამუშაოების ყველა ეტაპზე 3%-ს არ აჭარბებს.

სენაჟი საკვები ერთეულებისა და პროტეინის მაღალი გამოსავლიანობის გარდა, მიღებული საკვების ენერგეტიკული ყუათიანობით, დაბალი თვითლირებულებითა და შრომის დანახარჯების მაჩვენებლებით გამოირჩევა.

საზღვარგარეთის ქვეყნებში სათიბების დიდ მასივებში შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხი გადაწყვეტილია.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მქონე მეურნეობათა 75,2 % -ს 1-2 ჰა მიწის ნაკვეთი აქვს და 5 სუ-




სურ. 2 ბალახის საქუფმაცებელი „კუბანეც“-ი



სურ. 1. მოტობლოკი-სათიბელათი BCS P.S.A.

ლამდე ფური ჰყავს, თანამედროვე შეფუთული სენაჟის დასამზადებელი დიდგაბარითანი, მაღალი წარმადობის ძვირადლირებული ტექნიკის გამოყენება შეუძლებელია. ამის გამო მცირე მეურნეობების მცირეკონტურიან სათიბებში მაღალი კვებითი ღირებულების შეფუთული სენაჟის თანამედროვე ტექნოლოგიისა



სურ.3. შეფუთული სენაჟის საწნებ-საფუთავი ექსპერიმენტული დანადგარი, სქემა.

და მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამზა-დების საკითხი ძალზე აქტუალურია.

მცირე მექანიზაციით შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგია თავიდან ორ ეტაპად შეიძლება და-იყოს:

– მინდორში შესასრულებელი სა-მუშაოები: ბალაზის მოთიბვა, ოპ-ტიმალურ ტენიანობამდე შეჭრნობა, აღება და საწნებამდე მიტანა;

– სტაციონარულ პირობებში შე-სასრულებელი სამუშაოები: სასენაჟე მასის დაქუცმაცება, დაწნევა, ჰერ-მეტულად შეფუთვა და შენახვა.

შეფუთული სენაჟის დამზადების

ტექნოლოგიის საწყისი ოპერაცია, ბალაზის თიბვა, ნკვტ (7ც.დ) სიმძ-ლავრის მოტობლოკით (მაგალითად BCS P.S.A) – სათიბელათი შეიძ-ლება ჩატარდეს (სურ. 1), რომლის ნარმადობა საათში 0,3პა-ია, ხოლო სასენაჟე მასის დაქუცმაცება – ბა-ლაზის საქუცმაცებელ „კუბანეც“-ით (ელექტროძრავის სიმძლავრე -2კვტ) – 300კგ/სთ. შეფუთული სენაჟის და-სამზადებელი მცირე მექანიზაციის მანქანათა კომპლექსში სიახლეა შე-ფუთული სენაჟის საწნებ-საფუთავი დანადგარი (სურ.3).

შეფუთული სენაჟის საწნებ-სა-ფუთავი დანადგარის (პატენტი CE P2009 4870 B) დანიშნულებაა მცი-

რეკონტურიან სათიბებში მცირე მე-ქანიზაციის ბაზაზე შეფუთული სე-ნაჟის დამზადება, სადაც სათიბების დიდ მასივებში სამუშაოდ რეკომენ-დებული დიდგაბარიტიანი და დიდი ნარმადობის მანქანების გამოყენება შეუძლებელია.

შეფუთული სენაჟის საწნებ-საფუ-თავი დანადგარის სტაციონარულ პირობებში გამოყენება შეიძლება როგორც ცხოველის სადგომთან, ასევე მინდორში, ტრაქტორის ან მო-ტობლოკის სიმძლავრის ასართმევი ლილვით (სურ. 3).

შეფუთული სენაჟის საწნებ-საფუ-თავი დანადგარის ძირითადი კვან-ძები და ნანილებია: 1 – ამძრავი; 2 – შეეკვის გარსაცმი; 4 – ბუნ-კერი; 5 – უძრავი კამერა; 6 – მოძრავი კამერა; 7 – მიმმართველი; 8 – გორ-გოლაჭები; 9 – ლარტყა; 10 – მუხრუ-ჭი; 11 – ზამპარა; 12-16 – ჭანჭიკები; 13 – უღელაკი; 14 – მოძრავი ლოყა; 15 – უძრავი ლოყა; 17 – ფრიქციული ხუნდები; 18 – ანჯამი; 19 – პოლიე-თოლენის ტარა; 20 – საკეტი; 21-22 – მოძრავი კამერის ნანილები.

სასენაჟე მასის საწნები სამუ-შაო ორგანოს შერჩევისას არჩევანი შენებზე გაკეთდა, რომელიც დგუ-შიან, ვალცებიან, რულონურ და სხვა სახის სამუშაო ორგანოებთან შედარებით კონსტრუქციული სი-მარტივით და მაღალი საიმედოობით გამოიჩინა. სამუშაო პროცესის შესრულებისას ორი ოპერაცია: სა-სენაჟე მასის დაწნებვა და შეფუთვა ერთ დანადგარში, ერთდროულად, უწყვეტ ნაკადში მიმდინარეობს, რის გამოც შესაძლებელია ცილინდრული ფორმის დაწნებილი სასენაჟე მასის ბარდანის სიგრძისა და სიმკვრივის რეგულირება.

დანადგარის დაპროექტებას სა-ფუძვლად დაედო აკადემიკოს რ. მახარობლიდის თეორიული კვლე-ვებით დამუშავებული, დაწნებილი ბალაზული მასის სასურველი სიმკ-ვრივის მისაღებად საჭირო სამუშაო ორგანოს გეომეტრიული, კინემატი-კური და დინამიკური პარამეტრების საინჟინრო გაანგარიშების საფუძ-ლები.

ელექტროძრავი 1 (სურ.3) შერჩეულია შეფუთული სენაჟის საწ-ნებ-საფუთავი დანადგარის სამუშაო ორგანოს – შენების ასაძრავად და შედგება: ელექტროძრავას, რედუქ-



სურ. 4. შეფუთული სენაჟის საწნებ-საფუთავი დანადგარი, საერთო ხედი.

ტორისა და მართვის პულტისაგან. ელექტროძრავას სიმძლავრეა 5,5 კვტ, ბრუნვის სიხშირე – 1450 ბრ/წთ, რედუქტორის ბრუნვის სიხშირე გამომავალ ლილვზე 72 ბრ/წთ-ია, ამძრავი შენეკთან დაკავშირებულია ქუროთი.

შენეკი 2 (სურ.3) – შეფუთული სენაჟის სანენე-საფუთავი დანადგარის ძირითადი სამუშაო ორგანოა. მისი დანიშნულებაა, სასენაჟე მასის მიმღები ბუნკერიდან 4 მოძრავ კამერაში 6 სასენაჟე მასის მიწოდება და დაწნევა. შენეკი ცილინდრული ფორმისაა და აქვს ცვალებადი ბიჯი. ბიჯის ზომა იცვლება 350, 320, 270, 260 მმ. ზღვრებში. შენეკის სამუშაო ბრუნვის სიჩქარეა 72 ბრ/წ, დიამეტრი – 350 მმ, სიგრძე – 1300 მმ. შენეკი ჩასმულია 400 მმ. დიამეტრის გარსაცმის. შენეკის გარსაცმზე მიღულებულია სასენაჟე მასის მიმღები ბუნკერი (4), ხოლო მის გასწრივ გაგრძელებაზე დამაგრებულია შენეკის გარსაცმის (3) დიამეტრის, ცილინდრული ფორმის უძრავი კამერა (5).

შეფუთული სენაჟის დამზადების საწყის ეტაპზე, უძრავ კამერაზე (5) წამოაცვამენ პოლიეთილენის ტარას (19) და მოძრავ კამერას (6).

მოძრავ კამერაში (6) (სურ.3) უძრავი კამერიდან (5), შენეკის (2) დანოლის შედეგად, სასენაჟე მასით შევსების მიხედვით შედის პოლიეთოლენის ტარა (19), რომლის შევსების პროცესში წარმოიქმნება ამ კამერის ფორმისა და გაბარიტული ზომების ბარდანა.

მოძრავი კამერა (6) წარმოადგენს სიგრძეზე სამ ნაწილად გაჭრილ ცილინდრს და შედგება 3-ე სურათის (21) და (22) პოზიციების ფორმის ნაწილებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან სახსრულადაა შეერთებული ანჯამებით (18) და ჩაკეტილა საკეტით (20). მოძრავი კამერის დიამეტრი არის 430 მმ, სიგრძე – 600 მმ. მოძრავი კამერის ერთი მხარე დახშულია, რომელზეც ლარტყაა (9) დამაგრებული.

მუხრუჭის (10) (სურ.9) დანიშნულებაა დანეხევის პროცესში ლარტყაზე (9), ნინასწარ მოდებული სამუხრუჭე ძალის ზემოქმედებით, მოძრავ კამერაში (6), სასენაჟე მასის დაწნეხვის სიმკვრივის რეგულირება.



სურ. 5. ელექტროძრავი მართვის პულტით



სურ. 6. სამუშაო ორგანო შენეკი

უკვე მასის ოპტიმალური სიმკვრივის სიდიდის შესაბამისი დამუხრუჭების ძალა ექსპერიმენტით დადგენილი 3.5...4.0 კნ-ის ზღვრებში იცვლება.

სენაჟის საფუთავი ტარა (19): (სურ.3) სხვადასხვა პირობებში ჩატარებული ცდებით დადგენილია, რომ პოლიეთოლენის ფირში შეფუთული ბალახოვანი საკვების ფერმის ტერიტორიაზე, საძროხესთან ახლოს კომპაქტურად შენახვისას გამოირიცხება საკვების ის დანაკარგები, რაც გახვდება ფერმიდან დაცილებული საცავებიდან (კოშკი, ტრანშეა) დაკონსერვებული საკვების გადაზიდვის დროს.

საკვების გარანტირებულად შენახვის მიზნით საფუთავმა მასალაში შეფუთული საკვების ჰაერისგან სრული იზოლაცია უნდა უზრუნველყოს.

აღმოჩნდა, რომ პოლიეთოლენის ფირი დროთა განმავლობაში ჰაერს ატარებს, რის გამოც ჰაერმეტულად შენახვის მიზნით დაწესებილ საკვებს 4-6 ფენა პოლიეთოლენის ფირით



სურ. 7. უძრავი კამერა (ა) და მოძრავი კამერა:



ბ) დახურულ მდგომარეობაში, გ) გახსნილ მდგომარეობაში.



ა



ბ

სურ. 8. მუხრუჭი. ა – წინედი; ბ – გვერდხედი.

ფუთავენ. ფენათა რაოდენობა დამოკიდებულია ბალახის სახეზე, ტენიანობაზე, რულონების ან ბარდანების დაწყობის, შენახვის პირობებსა და ხანგრძლივობაზე. შეფუთული სენაჟის შენახვის მაქსიმალური ხანგრძლივობა ორი წელინადია.

საქართველოს კლიმატური პირობებისა და ცხოველის შენახვის ტექნოლოგიდან გამომდინარე, შეფუთული სენაჟის ბარდანას შენახვის ვადა 10-12 თვეა და სრულიად საკმარისია 3-4 ფენა პოლიეთილენის ფირით დამზადებული შესაფუთი ტარა.

პოლიეთილენის ფირის ჰერმეტულობა ძირითადად დამოკიდებულია გარემოს ჰაერის ტემპერატურაზე. რაც მეტად თბება რულონი მზის სხივების ზემოქმედებით, მით მეტია მისი ჰაერგამტარობა.

სხვადასხვა ფერის პოლიეთილენის ფირი სხვადასხვანაირად რეაგირებს გამოსხივებაზე, რის გამოც რულონის ტემპერატურაც განსხვავებულია. მუქი ფერის ფირი მეტად ცხელდება, რაც ზრდის მის ჰაერგამტარობას, ამიტომ საჭიროა ფირი იყოს თეთრი ან ღია მწვანე ფერის.

ბარდანას შესაფუთავი პოლიეთილენის ტარის ზომები დამოკიდებულია შეფუთული სენაჟის სანებ-საფუთავი დანადგარის უძრავი კამერის დამტეტრზე (430მმ) და სიგრძეზე (600მმ). მიღებული ბარდანას მასა (27-35კგ) შეესაბამება 2 ფურის სადაღლამისო რაციონით გათვალისწინებული სენაჟის მაქსიმუმს.

შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის მანერათა კომპლექსი არ განიხილება სენაჟის საფუთავი ტარის პოლიეთილენის მასალის გარეშე. პოლიეთილენის ფირის ხა-

რისხი განსაზღვრავს შეფუთული სენაჟის დამზადების ტექნოლოგიის ძირითადი მოთხოვნის შესრულებას, კერძოდ, სენაჟის სანების ხარისხის შენარჩუნებას არანაკლებ ერთი ნლის განმავლობაში. უსარისხო საფუთავი მასალის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ტექნოლოგიის არსის სრული დისკრედიტაცია, ამიტომ სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა საფუთავი პოლიეთილენის ფირის დამზადებელი ფირმის შერჩევას. არ შეიძლება ამ საქმეში ნაკლებად ცნობილი ფირმის ჩართვა.

შეფუთული სენაჟის სანებ-საფუთავი დანადგარის სამუშაო პორცესი მიმდინარეობს შემდეგნაირად: სა-სენაჟე მასის მიმღებ ბუნკერში (4) (სურ. 3) ჩაყრილი, 45-55% ტენიანობამდე შემჭრარი და დაქუცმაცებული სასენაჟე მასა ამძრავის (1) ჩართვის შემდეგ შენეკით (2) მიერნდება უძრავ კამერაში (5) და ინყება მისი პოლიეთილენის ტარაში (19) დანებ-ხვის პროცესი. პოლიეთილენის ტარა (19), სასენაჟე მასით შევსების მიხედვით, შენეკით განვითარებული დამწოლი ძალით, შიგნიდან აწვება მოძრავი კამერის (6) დახშულ ძროს და მასთან დაკავშირებულ ლარტყას (9).

ლარტყა (9) მუხრუჭის ფრიქციული ხუნდებით (17) დამუხრუჭებულია ნინასწარ დადგენილი (4) სამუხრუჭე ძალით. დამწოლი ძალაცდილობს სამუხრუჭე ძალის დაძლევას, რაც განაპირობებს დანენებილი სასენაჟე მასის სიმკვრივის გაზრდას. სამუხრუჭე ძალის დაძლევის შემდეგ მოძრავ კამერაში (6) გადასული პოლიეთილენის ტარა (19), უცვლელი სამუხრუჭე ძალის პირობებში, აგრძელებს შევსებასა და მოძრავი კამერის (6) მიმმართველებზე (7) გა-



სურ. 9. შეფუთულის სენაჟის ბარდანები.

დაადგილებას მანამ, სანამ მოძრავი კამერა (6) არ გამოვა უძრავი კამერის არედან.

მოძრავი კამერის (6) უძრავი კამერის არედან გამოსვლა იმის ნიშანია, რომ პროცესი დამთავრდა.

ოპერატორი გახსნის მოძრავი კამერის (6) ჩამკეტს (20) და იღებს დაწესებილ და შეფუთულ ბარდანას, (სურ. 9) ამონტებს მის ჰერმეტულობას და გზავნის შენახვის ადგილზე, ხოლო მოძრავ კამერას ხელით გააგორებს მიმმართველებზე და დააბრუნებს საწყის მდგომარეობაში პროცესის თავიდან დასაწყებად.

ექსპერიმენტების შედეგებით: 4კნ ძალით დამუხრუჭებისას დაქუცმაცებული სასენაჟე მასის სიმკვრივე 400 კგ/მ<sup>3</sup>-ზე მეტია, რაც 25%-ით აჭარბებს ანალოგიურ პირობებში დაწესებილი დაუქუცმაცებელი სასენაჟე მასის სიმკვრივეს.

შეფუთული სენაჟის სანებ-საფუთავი დანადგარის (სურ. 4) ნარმოებაში დასანერგად საჭირო ეტაპების გავლის შემდეგ სტაბილური დამუხრუჭების ძალის უზრუნველყოფაზე აუცილებელია დანადგარის სამუხრუჭე სისტემის კორექტირება და პოლიეთილენის მასალით რამდენიმე ფენიანი სენაჟის საფუთავი ტარის დამზადებელი მაღალი პროცესიული დონის ფირმის შერჩევა.

აღნიშნული ღონისძიების ჩატარება უზრუნველყოფს შეფუთული სენაჟის სანებ-საფუთავი დანადგარის ნარმოებაში შეუფერხებელ მუშაობას.

**რეზუმები, პასული უპარატები, ტარის უზრუნველყოფა**  
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შემავის მომავალი  
საუკათასო ტრაქტორის  
ერთად!

VALTRA

YOUR  
WORKING  
MACHINE



ვიცხი კომანის ვალტრას  
ე-4 თაობის ტრაქტორები -  
სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური და  
სამეცნიერო სამუშაოებისთვის!

[www.valtra.com](http://www.valtra.com)

ნარმაზადგენელი საქართველოში:

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო  ტექნიკა

[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) info@worldtechnic.ge  
 2 90 50 00  2 18 18 81

**უკვი მოსავლისთვის!  
FOR RICHER HARVESTS!**

**შეიძინოთ სიმიდის  
სერტიფიცირებული ქართული თასლი  
ლომთაგორა!**



**ლომთაგორა  
LOMTAGORA**

w.w.w.lomtagora.com  
info@lomtagora.com  
Tel: 591 20 25 25